

# ლიტერატურული გაზეთი

№ 9 (121) 9 - 22 მაისი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

## დოკუმენტური კროზა

ლია სტურუა

\*\*\*

შემოდგომა შემოვიდა,  
სკამს გამოედო და წაიქცა  
ულამაზოდ, უგულოდ,  
გახუნებული ქალივით,  
უკვე თოვლი ჰქონდა  
კანის ქვეშ და არა სისხლი  
სისხლზე როცა წიხლებს გირტყამენ,  
კი არ კვდები, სიკვდილთან ცხოვრობ,  
წერვები გაქვს — ელექტროგამათობლის  
სპირალები, ასევე, ანთებულებს გაგლეჯენ,  
დარიშხანის გარეშე, ანუ თანაგრძნობის  
ალარ გიკვირს ეს გამოუყენებელი სიტყვა,  
სულ მალე მინაში დაწვები,  
თოვლს შეჭამ...

IV

პოეზია

ინტერვიუ

თარგმანი

გიორგი ლობჯანიძე

## ჩემი ფანჯრებიდან

1991

ლალი ჩამოვიდა. ჩემი დისპვილიც ჩაირიცხა უნივერსიტეტში და ახლა ჩემი დის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ისედაც ენერგიული, გაათქვებული ხალისით ფუსფუსებს და საქმიანობს. თან გეგმებს აწყობს. ათასი რამე გეჭირდება და, უპირველესად, შორენასთვის ბინა უნდა დაიქირავოს. მე ისევ პაატა ნაცვლიშვილმა მომიგვარა ეს პრობლემა. ჩვენი ფაკულტეტის დეკანს წერილი მისწერა: პოეტი ბიჭი ჩაირიცხა თქვენთან და ეგებ, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცალკე ოთახი გამოუყოთო. ასე რომ, ეჭვი არ მეპარება, ამ წერილით პირველივე დღეებში მივალ და ბინასაც ავიღებ. თავიდან კი რუსთავეში, ჩემს დასთან და სიძესთან ვიცხოვრებ.

რამდენიმე დღით სოფლიდან ხაშურში მივდივარ, რომ ჩემს იქაურ ბინაში ავიარო. ეს ორ-ოთახიანი ბინა, თხუთმეტი წლის რომ გავხდი, მაშინდელმა ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა, როლანდ მულაძემ მაჩუქა. უფრო სწორად, რაიონული საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტეს, ჩემთვის ბინა მოეცათ. ინიციატივა კი სწორედ როლანდ მულაძეს ეკუთვნოდა. რას აღარ წერენ ახლა კომუნისტების სიავეებზე. ცხადია, კომუნისტი დიდი ბოროტება იყო, მაგრამ ხანდახან მათშიც გამოერეოდნენ გულმონყალე ადამიანები. ყოველ შემთხვევაში, მე ხაშურის რაიკომის ეს პირველი მდივანი, როლანდ მულაძე, სრულიად უანგაროდ დამეხმარა და ვწუხვარ, მადლობის გადახდაც კი ვერაფრით მოვახერხებ.

მეორე მდივანთან ქალბატონ ეთერ ახვლედიანთან კი, შეიძლება ითქვას, ვმეგობრობდი კიდევ. ჩემს ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნი მაქვს, რომელიც დეიდა ეთერმა მაჩუქა. განსაკუთრებით ერთი — „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ მოზრდილი ტომი მიყვარს, რომელიც ძალიან გამომადგა და დღემდე დიდი სიამოვნებით ვიყენებ. რამდენჯერაც შევეხები, სულ დეიდა ეთერი მიდგას თვალწინ — არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომელსაც თავისი პარტიული სამუშაოს მიუხედავად, არასოდეს გაუწყვეტია წიგნთან და ლიტერატურასთან კავშირი.

რაც შეეხება როლანდ მულაძეს, ის განათლებით საერთოდ ფილოლოგი იყო. შესანიშნავად იცნობდა ლიტერატურულ პროცესებს და ბევრ ჩვენს გამოჩენილ მწერალთან მეგობრობდა. ხაშურში ჩამოსული ეს მწერლები კი მისი სტუმრები იყვნენ ხოლმე და ძია როლანდის მუდმივად მეძახდა, პირადად რომ გამეცნო ისინი.

VI-VII



მასპინძლის ბიჭი, თემიკო ჭიჭინაძე (ჩიჩიკა), ვაჟა გიგაშვილი, გიგი ხორნაული, მასპინძელი მოხუცი, კოკი გრიგოლავა, გოგი ოჩიაური, თენგიზ კობახიძე (შიო), თენგიზი.

ქველი ფოტო. 1963.

...ძველი ფოტო-სურათების გადასინჯვისას, მოგეხსენებათ, გვახსენდება ძველი ამბებიც... მოგითხრობთ ერთ ასეთ, ორმოცდაათი წლის წინანდელ, ამბავს...

...ამ საერთო ფოტოზე არ არის სწორედ ის, ვიხედავ ვაპირებ გაიმბოთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ფოტო მისი გადაღებულია... მაგრამ აქვეა მისი ცალკე, მოხუც მასპინძელთან ერთად, გიგი ხორნაულის მიერ გადაღებული ფოტო... ლაპარაკია ფარჩოზე, იმხანად თბილისში ფრიად პოპულარულ და მხიარულ თამაზ ანთაძეზე, რომელიც უფრო ამ შერქმეული სახელით, „ფარჩოთი“ იყო ცნობილი და ბევრმა მისი გვარი მხოლოდ მერე გაიგო, როცა ფარჩომ პირველად შემოიტანა საქართველოში ხელბურთი, ჩამოაყალიბა გუნდი, თავად იყო მწვრთნელიცა და კაპიტანიც... გუნდმა სწრაფად მოიპოვა წარმატება საკავშირო შეჯიბრებებზე და ასევე სწრაფად სპორტის მოყვარულთა სიყვარულიც და ხელბურთი ხელდახევე გადაიქცა აზარტულ სპორტულ სანახაობად...

...ფარჩოს უყვარდა ლადაობა და ერთ-ერთ სალადაო ობიექტად ნადირობა ჰქონდა არჩეული... ამიტომ, ერთხელ მე და „ჩიჩიკამ“ — თემიკო ჭიჭინაძემ შევთავაზეთ: ამდენს ზეპირად რომ ოხუნჯობ, ერთხელ წამოგვყვივი... ვახსენებ, რა ხილიცაა ეს ნადირობა-თქო... სიამოვნებით დაგვთანხმდა, რადგან ხასიათით ნაღდი სპორტსმენი იყო და თანაც ალბათ იფიქრა, აი, სალადაოს ეხლა მოვაროვებო...

იმჯერად, სწორედ გუდამაყარში სანადიროდ ვემზადებოდით... დაპატიჟება გიგი ხორნაულისაგან მოდიოდა... გიგიმ მისი დეიდაშვილი გოგი ოჩიაური დაპატიჟა თავის სანათესაოში, გუდამაყარში, დათვზე სანადიროდ (გიგი ხორნაული — შესანიშნავი მეცნიერი და კიდევ უფრო შესანიშნავი მწერალი და მონადირე, ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყარის სადათვეთის „გამგებელი“ და „კომანდანტი“... (ვისაც დათვზე არ უნადირია, ვურჩევ გიგის ნაღდი მოთხრობები წაიკითხოს და დაუსწრებლად განიცადოს ამ ნადირობის პერსპექტივა)... გოგიმაც თავისი „კამანდიდან“ სამნი გაგვიყოლა (თენგიზ კობახიძე — „შიო“, თემიკო ჭიჭინაძე — „ჩიჩიკა“ და მე — „გიგაშა“)... აქ ჩავრთეთ ფარჩოც ამ საქმეში...

...ღამე გიგის ნათესავის სახლში გავათეთ... გვიმასპინძლეს კაი მთიულური ხინკლითა და ლუდ-არაყით... ფარჩომაც არ დააყოვნა ლადაობა... მიძახის:

„გიგა-სიუ-ვილი!.. (შ)“-ს ნასტევით (ცვლიდა)... დათვი გინდა?!.. სად არის დათვი?... დათვი ზოოპარკში მოკვდა!.. აღარ არი! ფაფუ დათვი!..“ — და ასე შემდეგ...

უთენია გავედით... კაი სუსხი იდგა და სოფლის თავზე დაკიდებული ფერდობი თეთრად იყო ნაფიფქული ახალი თოვლით... რამდენიმე ბოლომდე არ ჩამოთრეული ზვინი იდგა... ერთერთ ზვინთან გოგი ოჩიაური რაღაცამ დააინტერესა... ხელით გვანიშნა, აქ მოდითო...

დათვის კვალი იყო, ახალთახალი, მკაფიოდ დაბეჭდილი, ზორბა... განიერ ტერფს წინ გრძელი ბრწყალელების ანაბეჭდებიც მკაფიოდ მოუჩანდა... მოვიდა ფარჩოც.

დაბნეულად დახედა და მეკითხება: რა არიო?... ვუბნები: რა ვიცი, ვიღაცა გამოსივრებულს ქალამნებზე რაღაცა ჩან-გალ-წრიაპებოვით წამოუცვამს და უვლია-მეთქი... დაეჭვებული მიყურებს... ჰაა, ბიჭო?!.. — ამბობს, სახეზე დიდი კითხვის ნიშანი აწერია... წყნარად უთხრეს: დათვის კვალია, ღამით სოფლის ახლო-მახლო უზოლიაღია და გათენებისას ისევე ზემოთ ნასულაო... ხმა აღარ ამოუღია, ისე ავედით დიდი ტყიანი ქედის ძირში... ტყეში კვალი იკარგებოდა, რადგან ფიფქა თოვლს ტოტებში ვედარ ჩამოვლინა... გიგიმ ადგილი იცოდა და სწრაფად დასახა შესაქრავ-მოსარეკის გეგმა... ქედის თავზე ტყე მეჩხერდებოდა და კლდის ნაშვრებიანი კეხი მოჰყვებოდა, მერე ქვემოთ მოდიოდა და ტყესაც ირიბად ჰკვეთდა... ეს კეხი შეირჩა მსროლელების ჩასახდომად... მსროლელებად დავრჩით კოკი გრიგოლავა, გოგი ოჩიაური, მე და ფარჩოც ჩვენთან ერთად... კოკის, გოგისა და მე კარბინები გვექონდა და შედარებით მეჩხერი, გახსნილ სამზირიანი ადგილები დავიკავეთ... მიმდევრობა ასეთი იყო: კოკი, მერე გოგი, მერე ფარჩო და ბოლოს მე... მოსარეკი წაივინდა გიგი, „შიო“, „ჩიჩიკა“ და თენგიზი (ბოდიში უნდა მოვინახლო, რომ სამწუხაროდ გვარი არ მახსოვს... პირველად შევხვდით და მეტი აღარც მინახავს)... ყველა თავის გზაზე წავიდა და მე ფარჩო თავის „ნომერში“ მივაცილე... აქ მომიბრუნდა და მეუბნება:

„შეჩქამა!.. მართლა რომ გამოვიდეს ეგ დათვი, როგორ უნდა მოვიქცე, წესიერად მითხარი!..“

მეც დავიქოქე და ჩავუტარე „ლექცია“: „სარეკი რომ დაიწყება, ატყდება ხმაური და შენ ძალიან ჩუმად, უმოძრაოდ და ფხიზლად უნდა იყო... იცოდე, დათვი არასოდეს მორბის დაპანიკებულად, ღორებივით შლიგინ-შლიგინით კი არ გამოვარდება... მოდის ჩუმად, ხშირ-ხშირად ჩერდება, უსმენს წინაც და უკანაც, გრძლად ირტყამს სუნებს ყველა მხარეს... სულ ეეჭვება, არ ენდობა წინ ჩასაფრებულ სიჩუმეს... თუ მომრეკთა ჯაჭვში დიდი ინტენსივობის იგრძნო (ხმაურის მიხედვით), ჯერ დაიციდის, მერე ეცდება, ჯაჭვში უკანვე გავიდეს და არხეინად დაითესოს... აქ სრულიად უხმოდ შეიძლება გამოჩნდეს... აი, ამ ლიობებში“ — ვაჩვენე მის სასროლ არეალში ღრიჭო-გასახელები — „დააცადე, ისე გამოვიდეს, რომ მთლიანად დაინახო, ანდა წინა ნახევარი მაინც, გვერდი და ბეჭი კარგად ჩანდეს... აუჩქარებლად, კარგად დაუმიზნე ბეჭში, ანდა ბეჭის ოდნავ გვერდით... ბრუნეკეს ტყვიები გაქვს, მაგრამ გატენილი ვაზნები, ლულეები — ჩოკი და ნახევარჩოკია... მიტანა ზუსტი და ჭრაც ძლიერი იქნება, ასე რომ, დანდობილად იყავი...“ (ჩემი ორლულა, ჩეხური, „ნავოტის“ თორმეტყალიბიანი თოფი ეკავა, ჩემივე გატენილი ვაზნებით)...

„მერე?...“ — მეკითხება... „მერე, თუ ზუსტად მოხვდა, დავარდებ... მეორე აღარ ესროლო, არც მივარდე

ვაჟა გიგაშვილი

სანახავად... თოფი გადატენე და ერთხანს უყურე... საერთოდ ნომერს ნუ დატოვებ სარეკის დამთავრებამდე...“

„რომ არ დავარდეს?...“

„თუ არ დაიჭრა, გაიქცევა... თუ დაიჭრა, წამოვა შენზე... არ დაპანიკდე, ჰაი-ჰარად, „ნა ფუ-ფუ“ არ ესროლო, იცოდე, ბოლო ტყვია გაქვს... მოახლოვებულს ადვილად დაარტყამ თავში ან მკერდში და გააჩერებ...“

„რომ არ გაჩერდეს?...“

„...ახლა!.. თუ მოვიდა და... ისეთს გთხლიშავს, ლავინის ძვალს ჩაგიტანს ფილტვებში...“

...ვხედავ, კაცი გათეთრდა, მიყურებს პირდაღებული... „აუჰ!.. ზედმეტი მომივიდა-მეთქი“, ვიფიქრე და ცვადე გამოსწორება: „ისე, ჩემი კარბინი თავისუფლად უნევს შენს სექტორში და თუ რამე იქნა, მეც მაშინათვე ჩავერთებ სროლაში... ნეტავი კი მართლა გამოვიდოდეს და დარდი ნუ გაქვს, მოვუვლით... ოღონდ შენზე გამოსულზე პირველი სროლის წმინდა უფლება შენია!.. ისე, რომ იცოდე, მოკლე მანძილზე შენს ტყვიებს მეტი გამჩრებელი ძალა აქვს, ვიდრე კარბინისას...“

საფარში ისე მოეწყო, როგორც ვაჩვენე და რაღაცა წაიბურღუნა... მე მგონი — „არ მინდა ეგ წმიდა უფლება, შენი იყოსო!..“

...წამოვედი ჩემს საფარში...

...გავარდა თოფი და მოსარეკი დაიწყა... შორიდან აღწევდა მოგუდული ხმაური, ხეზე რაკუნი (ძაღლები არა გვყავდა), ხანდახან სროლაც... მოსარეკი გრძელი იყო, მანძილი შორი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა... პირველივე ჩქამიდან სრულ მზადყოფნაში უნდა იყო, რადგან ნადირი შეიძლება, სულაც სამას-ოთხას მეტრში იყოს ცეცხლის ხაზიდან... ის მომრეკების მანდამაინც ზედ მოსვლას კი არ დაელოდება, პირველივე ხმაურის დაფიქსირებისა და შეფასებისთანავე დაიწყებს გასარიდებელ მოძრაობას და მოსარეკის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში შეიძლება ცხვირწინ გამოგვეხადოს...

...დამრეცი ფერდობის რბილ ნაკეცებს აქა-იქ ქვეტყის ამონაყარის ჯგუფები მოსდევდა... ერთი ასეთი კორომი ფარჩოს საფარის თითქმის პირდაპირ იყო გადაგრძელებული და მისგან ორმოცდაათი მეტრში წყდებოდა... ეს კორომი ჩემი სამზირი არეს მარცხენა კიდეს კეტავდა და, ბუნებრივია, ჩემი დაკვირვების ქვეშაც იმყოფებოდა... მოსარეკის დაწყებიდან ორმოცი წუთი იქნებოდა გასული და ამ კორომზე მზერის ერთერთი გადავლები-სას თითქმის ხელი წამკრესო, რაღაც შემოფოთება ეგრძენი... რა არი?... თითქმის რაღაც ცვლილებაა?... გაფაციცებით ჩავაშტერდი... მივხვდი!.. კორომის თითქმის ბოლოში, ახალამონაყარი წვრილი ხეების ღეროებში ადრე მზერა გადაიოდა, გამჭვირვალე იყო... ეხლა ბნელა... რაღაცა დგას... განიერი... დათვი, რა თქმა უნდა!.. თვალჩამტერების შემდეგ კონტური ირჩევა... ჩემკენ გვერდითა დგას, თავნახრილი... ვუყურებ... არ ინძრევა... ალბათ სიტუაციას ამომნებს... ფარჩოსაგან სწორედ კარგად უნდა ჩანდეს... წამიწამზე ველოდები გასროლას... ჩემგან ორასოროცდაათამდე მეტრი იქნება და მეც ნიშანი დადებული მაქვს... გადის წამები, ერთი, ორი, სამი... ყოველ წამს შეიძლება, ჰაერის შეუმჩნეველი ნაკადი ოდნავ შებრუნდეს და სუნი მიუტანოს... თუ დაიძრა, ვესვრი!.. არც ის ინძრევა და ფარჩოს სროლაც აგვიანებს... გული მენწურება... აღარ შემიძლია!.. რა ვქნა?... ვესროლო?... „არა!.. მოიცა!.. მაინც!..“ — თავს ვაკავებ და უკიდურესად გამახვილებული სიფრთხილით მივცოცავ კეხიდან უკან... გადავედი ჩაფარებულში და გავქანდი ფარჩოსკენ და... რას ვხედავ?... ეგერ არაა ეს ჩვენი ფარჩო, ზემოთ, ფერდაში!.. ესეც გამოსულა კეხიდან... გამხეცებული შესტიკულაციით პანტომიმის მთელი სცენა ჩავატარე... შინაარსი ასეთი იყო: „...რას შვრები?!.. იქ!.. შენს ცხვირწინ!.. დათვია!.. აი, ასეთი!.. ეხლავე მიდი!.. ესროლე! ჩქარა!..“

...ძირს ჩამვებული ხელები სასტიკად გაასავსავა... სახეზე სიმწრის, კბილებდაკრეჭილი გრიმასა... გიჟივით აქნევს თავს აქეთ-იქით... **არაო!..** უარზეა!.. კატეგორიულად!.. კინალამ

ტვინში სისხლი ჩამექცა და კინალამ დავიყვირე... თითქმის დავაპირე პანტომიმის გამეორება, მაგრამ უცებ დამარტყა: „...რას ხეხვებები?!.. გაგიჟდი?!.. მიდი, საქმე ნახე!..“ — და უკვე გავარდნილი ვიყავი კეხისაკენ... გავიხედე ქვეშში... არაფერი... აღარავითარი სიმავე, აღარც კორომში და არც ახლო-მახლო... გამოვვარდი ღიაზე, ავირბინე კორომთან, გავიხედე, გამოვიხედე... მშვენივრად ვიცოდი, რომ სულ ტყუილად, სულელურად ვფაფხურობდი, მაგრამ უაზროდ, ავტომატურად ვმოქმედებდი... აზრზე მოვედი და მაშინვე ნომერში დავბრუნდი... სარეკი გვრადღებოდა და რა იცი?... იქნებ კიდევანადირი ამ ტყეში?... მეორეჯერაც არ ჩავუშალოთ მომრეკებს ნაშრომი...

...თავიდან ერთი იმედი მრჩებოდა: თუ დათვმა გეზი ცოტა ზემოთკენ შეაბრუნა, გოგის სამზერ არეში მოხვდება... მაშინ გოგი მისი გამშვები არაა... მაგრამ უკვე საკმაოდ დროც გაიწურა და ასე რომ მომხდარიყო, გოგის თოფის ხმა უკვე გაგონილი მექნებოდა...

...ვფიქრობდი, რომ ჩემი ბრალი იყო: არ შეიძლებოდა ფარჩოს მარტო დატოვება... არადა, ხალხი ვაკლდა... მიუხედავად იმისა, რომ სამი კარბინი გრძელ მანძილებს კეტავდა, მაინც კიდევ ორი მსროლელი საჭირო იყო ამ ტერიტორიის საიმედოდ ჩასაკეტად... მაშინ ფარჩოს ცალკე დაყენება აღარ დაგჭირდებოდა... ეს კარგი, მაგრამ ეს მატრაკვეცობა ჩემი მხრიდან — ეტიკეტს მეტიმეტი თავგამოდება — რაღა იყო?... მესროლა რაღა, როცა ფარჩოსგან სროლა დაგვიანდა!.. მაგრამ ეხლა აქაც ერთი ეჭვი ამოტივტივდა: ვთქვათ, ჩემს ტყვიას ადგილზევე ვერ დაეგლო დათვი (ეს ხომ მხოლოდ სამ შემთხვევაში ხდება: როცა ტყვია ტვინში, ან ხერხემალი, ან გულში გავივლის), თუ ეს არ მოხდებოდა, მაშინ, გინდაც სასიკვდილოდ დაჭრილი, გააფთრებული მხეცი მოასწრებდა ფარჩომდე მიღწევას და მის დაღწევას... ასეთ შემთხვევაში ერთადერთი შანსი ზუსტი და სწრაფი შემხვედრი სროლაა... ეს კი შეუძლებელია სროლაში გამოუცდელ, ასეთ ექსტრემში პირველად მოხვედრილი კაცი-სათვის, თუნდაც შესანიშნავი რეაქციის პატრონ სპორტსმენისათვის... ჩემგან კი ისე გამოდიოდა, რომ მე ვესროდი და რისკი კი სხვაზე, გამოუცდელ კაცზე გადამქონდა... ვარაუდ ვარაუდს ინვევდა, ვარიანტს ვარიანტი ცვლიდა, თავში კორიანტელი მიტრიალებდა... ამასობაში მოსარეკმაც მოაღწია... ახლოდანვე გაისმა გასროლა და ყვირილი... ეს იყო გაფრთხილება: ...აქა ვართ!.. გამოვვართ!.. ნადირობა დამთავრებულიაო!.. და თითქმის მაშინვე, ზემოდან მოისმა ფარჩოს რიხიანი ძახილი:

„...გიგა-სიუ-ვილი!.. მოსხენ საგუმა-გოი!..“



თამაზ ანთაძე (ფარჩო) მასპინძელ მოხუცთან ერთად.

...ყველა ერთი ამას უყურებ... ვითომც არაფერი... ისევ ღადაობაზეა... მე შენ გიჩვენებ ღადაობას!.. ნახევარი თბილისის საღადაოდ გაგხდი-მეთქი“, გავიფიქრე... თან გიჟივით გამეცინა...

...მერე, როცა ყველა შევიკრიბეთ, ბიჭების დაქანცულ-განვალეულ, განბილებულ-გამნარებულ, შენუხებულ-დაეჭვებული სახეების შემხედვარე ფარჩოს ღადაობა აღარ გახსენებია, ერთი-ორჯერ დაძაბული მზერა ჩემკენ გამოაპარა და იდგა გატრუნული...

...მე კი ბიჭების დანახვისთანავე ვიგრძენი, რომ არაფრით არ შემოძლია მომხდარის მოყოლა და ფარჩოს ჩაშვება... მეც ვიდექი პანაშვილის სიფათით... თან მაგრად მრცხვენოდა ყველასი...

...ყველაზე შეჭმუნხულ-შენუხებული გიგი ჩანდა, თუმცა არაფერს ამბობდა... შენუხებული იყო, როგორც ნადირობის მასპინძელი და თანაც ყველაზე კარგად ამან იცოდა, რომ ალყაში ერთი დათვი ნაღდად მოძრაობდა და დაახლოვებით მის გეზზედაც ჰქონდა ვარაუდი... ამიტომ მან და შიომ მთლიანად აიარეს ცეცხლის ხაზის გასწვრივ მანძილი, ეძებდნენ შედარებით სუსტ ადგილებს ალყაში, სადაც შესაძლებელი იყო, დათვი მსროლელებისაგან უჩინრად გასულიყო... ეძებდნენ რაიმე კვალსა და ნიშანს, მაგრამ დილის ფიქვი ტყეში ნაკლებად იყო ჩამოღწეული და სადაც იყო, ამ დროისათვის იქაც გამქრალიყო... სხვა კი, ვერც ნემოზე, ვერც შიშველზე, საგულისხმო ვერაფერი ნახეს... მე კი ისევ განვიცდიდი საძაგველ სირცხვილს მათი ამო გარჯის შემხედვარე... განსაკუთრებით გიგისა და გოგისა მრცხვენოდა... რატომღაც ისეთი გრძობა მექონდა, რომ ესენი მიხვედრილი იყვნენ და უსიტყვოდ, თავშეკავებულიად ელოდნენ ჩემგან სიმაართელს... მაინც ენა არ მიბრუნდებოდა მომხდარის გასაცხადებლად...

...ასე და ამგვარად დარჩა დაფარული ეს ამბავი წლების მანძილზე, სანამ ერთხელ ჩიჩიკას არ გავანადი გახსენებაზე... ამ დროს წყნარ და ბრაზი უკვე გამქრალი იყო და ეს ამბავი მხოლოდღა სასაცილოდ აღიქმებოდა... ჩიჩიკამაც იცინა... განსაკუთრებით — „მოსხენ საგუშაგო“ მოეწონა... თავად ფარჩო მაგ დროს უკვე კუვეიტში მუშაობდა, არაბების ნაციონალური ნაკრების მინჯვალ მწვრთნელად...

...ასე რომ, შერჩა ფარჩოს ერთი „ჩანერილი ქულა“ — ერთი გუდამაყრელი დათვის სიკვდილს გადარჩენა...

სერჟიკა

წინამშურში დოდო აბაშიძის აუზთან ვხივართ და ვუამბობ ფარაჯანოვს ერთ სცენას „სურამის ციხიდან“:

...ერთი ქართველი თავადი სტუმრადაა მეორე ქართველ თავადთან, ნოდარის (მომავალი ოსმან-ალას) პატრონთან... მოყვანილი ყავს მწვეარი ძაღლები ყმებში გადასაცვლელად... ეხლა შენ, სერჟიკ, ქართველი თავადი არ ნარმოიდეგი დურაულ სტერეოტიპად — ლუარსაბ თათქარიძედ... მე ვგულისხმობ მამაკაცის ფიზიკურ ჯიშს, მეომრის, არისტოკრატის... ლაპარაკი არაა ცუდ და კაი კაცობაზე... დიაპაზონია დარტყმულიდან ივანე ჯავახიშვილამდე... მე ვლაპარაკობ მოდემით ჩემპიონის — ხმლის ხმარებასა და ცხენოსნობაში — ჯილაგზე... გესმის?... ხორეშ, პო რუსსკი ბუდუ?...  
„ვას!.. კარგი რა!.. სლუში, მე ქართული ბავშვობიდან ვიცი... კიარ დამავინყდა... დავაი, პროდოლჟაი!“  
... ეხლა, სერჟიკ, შენ ეგ „პაროდა“ უნდა აჩვენო, პანიმეშ?...  
სერჟიკა კი ამტკიცებდა, რომ ქართული მისი ბავშვობის ენაა, მაგრამ ლაპარაკი უფრო ჩიქორთულ რუს-ქართულ ენაზე ეხერხებოდა... მეც, უნებურად, თითქოს მისთვის უფრო კარგად გასაგებად, ამ ენაზე გადავდიოდი ხოლმე...

...საუკუნოვანი დეგრადაციის მიუხედავად, ეგ „პაროდა“, გენერაცია მაინც შემოგვრჩა... აი, თუნდაც აიღე ჩვენი ჭაბუა... ტი შენაეშ, ამირეჯიბი?...  
...კანენრო, ზნაიუ!.. პატომ?...  
... ჰოდა, ეგაა ეგ „პაროდა“ ... თან ოთხი ბიჭი ჰყავს, ზუსტად თავისი ჯილაგის... ჰოდა, ეგ არი ქართული ჯიშო, პანიმეშ?... მე მინდა, რომ შენ ეგ დააფიქსირო... თორემ, აბა, აქეთ-იქით გაიხედე... ახლად

მომრავლებული მოდგმა გავაგასიებელი, ფაშვადმოგდებული, ლოყებჩაპუტუნებელი ნახევრადლორებისა... მსუქან და მოკლე კისრებში ჰალსტუხნაყრონჭილები, შარვლების სათავეებისაგან შენუხებული, სხედან სახელმწიფო საჯაროებში და თავისდაშეუგნებლად ქმნიან უმსგავსი საქართველოს სახეს... ხმაღლე და ცხენზე ცალკე დიდი სალაპარაკოა... ეს ტექნიკები და ტექნოლოგიებიც (ხმლის დამზადება და ცხენების მოშენება) ქართული კულტურის დიდი და ძალიან „ვაჟნი“ (გადამრჩენი) ნაწილია და ეს დღემდე არაა გაანალიზებული და გაცნობიერებული ჩვენი გამდებობრივული საზოგადოების მიერ... გრძელი გადახვევა გამომივიდა... სერჟიკა მოთმინებით მისმენდა და თქვა:

...სპასიობო ზა ლეკციუ!.. ეხლა რა გინდა?...  
...მე მინდა, აეგეთი ტიპები შერჩიო ამ თავადების გადასაღებად, პანიმეშ?... ეხლა „დალშე“!.. სცენას მოგიყვები... ხომ არ მოგანყინე?...  
...არა, კაცო!.. კაკ რაზ, დალშე მაინტერესებს...  
...ჰოდა, ეხლა, ეს თავადი ტიპები შიგადაშიგ ღვინოს დაჭაშნიკებით ნრუპავენ და ალბათ სუფრის მოლოდინში ასეთნაირად ერთობიან: ქვის მაგიდაზე დგას დიდი ვერცხლის სინი, ბრონეულებით სავსე... აიღებენ თითო ბრონეულს, შეისვრიან ჰაერში და ხმლის სწრაფი სხეპვით ჰაერშივე აპოზენ ორად... ეს სხეპვა მთავარი მახასიათებელია ქართული ხმლისა და ქართველი მეხმლისა... სერჟიკ, ანე რუბკა, პანიმეშ?... ეტო ოჩენ ვაჟნო... ამ მოძრაობას მასტერსკი უნდა შესრულება და გადაღება... მშვენიერი სანახავი იქნება... ჰოდა, კარე მსხვილი პლანი: შენი საყვარელი ბრონეულები, ძირს დავარდნილი, ლალის მარცვლებით მობრჭყვიალე ნახევრები... ფერთა გამა და ფაქტურა: შავი შალის ჩოხები, ვერცხლის ზარნიშანი ქამარ-ხანჯლითა და მასრებით, ნაცვრისფერი ქვის მაგიდა და ნითელი ხალიჩები... ეს ფერთა გამა ძალიან მკაცრად უნდა იქნას დაცული... არცერთი სხვა ფერის ლაქა და მითუმეტეს — ჭყეტელა!.. არ შეიძლება... ყველაფერს ჩაშლის... ერთი სიტყვით: ჩოხის შავი ქსოვილი, ვერცხლი, ხმლის ფოლადი, სპარსული ხალიჩის მუქ-ნითელი ფერები, ქვის დიდი ფილა — ნაცრისფერი გრანიტი და კიდევ, სხვა ნითელი — ბრონეულის ლალის მარცვლები... ყველა ამ ფაქტურის მაგარი ჩვენება... შენ მაგის „მასტერი“ ხარ, მაგრად გამოგივა...  
...მალადეც, მალადეც, ვაჟიკ!.. — მეუბნება — ტი, კანენრო, ხულიგან, ნო კტომუ შე, ველიკი ვიზიონერ!.. ველიკოლეპნო!.. უჟე რუკი ჩემუტსია სნიმატ!...  
...ისევ ვუმეორებ: „...არცერთი ლაქა სხვა ფერის!.. სერჟიკ, პანიმეშ!.. ვიდერჟკა გინდა!.. შენებურად არ გააჭენო!“  
„პრავილნო გოვორიშ!.. ტი კანენრო, ჩატლახ ი იზუიტ!..“ — (იეზუიტის ნაცვრულად) „ნო ვ დანნი მომენტ პრავილნო გოვორიშ... ჯიგარი ხარ!.. მე ვამბობ, რომ სტაპრაცენტი ჯიგარი ხარ!..“ — „უცებე გაჩერდა, მიყურებს და — „ეეე!.. სლუში!.. ზნაეშ?... ტი ნა არმენა ჯიგარხანიანა პახოჟ!.. თან ჯიგარი ხარ!.. ეეე!.. სლუში!.. ხო არ გენყინა?..“  
...მე: „რატომ უნდა მენყინოს, ონ შენე პედერასტ!...“  
...სერჟიკა: „ოხ, ხულიგან ტი, ვაჟიკ, ხულიგან!.. ხულიგან ი იზუიტ!...“  
ხშირად გვიკლაობდით, ვურმახებდით ერთმანეთს...  
...სერჟიკ!.. შენ ვააბშჩე, რუჟისორიც არა ხარ!.. შენა ხარ — ვიტრინების დამლაგებელი... მოაგროვებ კაი რალაცებს, დალაგებ კარგად... ამაში ნიჭი გაქვს, ტი ნასტოიაში ხუდოჟნიკ, ნე სპორიუ... თუმცა შიგადაშიგ ამლაშებე ჭყეტელობის მიმართულებით... მაგრამ, ძირითადად, ვირტუოსი ხარ მაგაში... დალაგებ, ჩხააკ... გადაუღებ ოცდახუთ მეტრას... მერე სხვა რამეს დალაგებ, კიდევ ჩხააკ... და ასე შემდეგ... მერე გადაანებებ ერთმანეთზე („მანტაჟ!“) და ეგ არი შენი ფილმი... შენ რად გინდა სცენარი, დრამატურგია?... შენ რად გინდა მსახიობი?... მსახიობი შენ გინდა, როგორც სიფათი, აქსესუარი, ის საგნები, ნივთები, რეკვიზიტი, რომლებსაც ასე „დატომნად“ არჩევ... მაგაში „ბესპა-

დობნი“ ხარ, ვალიარებ!.. ეგრევე ხმარობ ანტურაჟს, პეიზაჟის ნაგლეჯებს... ეგაა შენი ფილმი...“  
...ჰოდა, რა გინდა?... ტევე ბუდეტ ოტვეტ იზ ვენეციი!..“ (ვენეციაში უნდა ნასულიყო მაშინ მისი ფილმი)...

...კანენრო!... ოტ ასოციაციი პედერასტოვ, და?...  
...ნუ იჩტო?... ტი, ვაჟიკ, კანენრო, ჩატლახ ი იზუიტ!.. ზნაიუ ჩტო ტი კრეპკიი მასტერ პროზი... სამ ნე ჩიტალ, ნო სლიშალ ოტ სტოიაშიზ ლიუდეი... მე თითონა ვნახე, როცა სცენარზე ვიმუშავეთ... მაგრამ მერე რა?... კტო ტებია ჩიტალ?... ოთხმოცმა ქართველმა ნაგვიტხა?... ოხ-ოხ-ოხ!.. ვენეციაში როდისმე ნაგვიტხავენ?... პროსტო, ტენჩიესკი ნეგოზმოჟნო!.. ტაკ ჩტო, იჯექი შენს „კულტოკი“ და იბრაზე!..“  
...ჰოდა, არ იყო, მართალი სერჟიკა?... მართალი იყო, აბა, რა!.. მაშინაც ვერე იყო და ეხლაც ასეა... მე კი, სინამდვილეში, სულაც არა ვბრაზობდი... ყოველ შემთხვევაში, სერჟიკაზე — არა... ალაღად უნდა ვალიარო, რომ ძალიანაც მომწონდა მისი ფილმები იყო, თუ რაც იყო, ასე რომ ხიზლავდა მსოფლიოს ბევრ კუთხეში ხალხს... მისი ფოტოკოლაჟები, თოჯინები, მოსართავები... იმიტომ, რომ მეც მხიზლავდა ეს უცნაური და სხვანაირი სანახაობა... მაგრამ ეგ იყო, რომ მიყვარდა ეს „იაზვური“ კინკლაობა, სანამ ცოცხალი იყო სერჟიკა...

...ამაზე ჟანრი ლოლაშვილიც გამახსენდა... მისი არანორმალური ოსტატობით შესრულებული ზეპირი მონოსპექტაკლები... ათასნაირ ამბებს წარმოადგენდა... მაგალითად, გაზაფხულზე მონინავედ მოფრენილი, მავთულზე ჩამოგდარი მერცხლისა და დილით, „პახმელიაზე“, აივანზე გამოსული კახეურალური ჟღერტულით გადმოსცემდა და ამ ჟღერტულში ისეთი ინტონაციები ისმოდა, რომ ყველაფერი გასაგები იყო... ფეხებზემკიდა „პახმელიაზე“ მყოფი კახელი კი ავდებული, დაუნდობელი კახური იუმორით პასუხობდა... რა იყო ეს?... საოცრება!.. როგორ გინდა, ეს ვინმეს უამბო და გააგებინო?... ანდა თათრის მონათხრობი: თავისი თვალთ რომ ნახა, როგორ გააუპატიურა ვეშაპმა კამბალა... და რატომაა კამბალა — „პლოსკი“ (ბრტყელი)... და კიდევ უამრავის ჩამოთვლა შეიძლება... ეს სპექტაკლები ხდებოდა სუფრაზე, მეგობრების ვინრო წრეში... ამ ამბებზე ისტერიკა გვემართებოდა და მერე მიჩნდებოდა დაუოკებელი სურვილი, გამეზიარებინა ახლობლებისათვის, მეგობრებისათვის, ყველასათვის... ამ მინიმონო-სპექტაკლების შესახებ ჩემი მონათხრობიც კი დიდ მხიარულებას იწვევდა, მაგრამ, აბა, ჟანრის ჯადოქრობას სად შეედრებოდა?... ერთი პერიოდი ჩავაცვივდი და გამწარებით ჩაეჩინებდი: გააკეთე ერთი მსახიობი თეატრი!.. მთელი შენი საძმაცო ყველახაირად დაგეხმარებით, ამისი ასე დაკარგვა არ შეიძლება-მეთქი... ხან დუმილით, ხან ცალყბად ნათქვამი „ჰო, ჰო!.. კარგი, ვნახოთ...“-ი მპასუხობდა... მერე, ერთხელ ძალიან წყნარად და დამაჯერებლად მითხრა: „...არ გამოვა... ეს სუფრაზე, ძმაკაცებში, რალაც მომენტი ხდება... წინასწარ მომზადებული, სცენაზე, მაყურებლის დარბაზის წინ არ გამოვა“... გაგწმდი... გამახსენდა მერაბის დანერილი, მანქანაზე დაბეჭდილი ამბები და შემეშინდა... მივხვდი, თავად უფრო კარგად იცოდა და უტყუარად გრძნობდა, რომ ეს ასე იყო და გარედან ჩიჩინს რა აზრი ჰქონდა?... მაინც უნდა ვთქვა: გული მაგრად მწყდება და ეჭვი მანვალებს... ჟანრი უმაღლესი დონის პროფესიონალი მსახიობია და ნუთუ შეუძლებელი იყო ამეების საყოველთაო, თეატრალურ სანახაობად გადაქცევა?... ისიც უნდა ვთქვა, რომ ყოველ ახალ მოყოლაზე, ახალი ნიუანსები ჩნდებოდა... იმპროვიზაცია იყო მუდმივი და დაუსრულებელი... ოღონდ ექვსი-შვიდი მოყოლის შემდეგ წყინდებოდა და ახალი „ისტორიები“ იბადებოდა... ახალი და ახალი... რომელი ერთი ჩამოვთვლო?... თუნდაც, უკვე ზეპირსიტყვაობაში გასული, მეოთხე და მეათე სხვა პირისაგან მონათხრობი, აფხაზეთიდან ლტოლვილი, კოდორიდან გადმოსული მაყვალას „ისტორია“... ეტყობა, იყო რალაცა ისეთი, რისი გადაბიჯებაც ჟანრის კატეგორიულად არ უნდოდა და ჩემი და სხვათა ვარაუდები ფუჭად დარჩება... არადა, ეხლაც მენატრება ხოლმე მერცხლისა და კახელის დიალოგის კიდევ ერთხელ ნახვა და მოსმენა (სწორედ ნახვა და მოსმენა და არა მხოლოდ მოსმენა)...

მერაბზე და ჟანრიზა

...ტარიელ ჩიზოზიძემ წაიღო მერაბის დანგრეული საბეჭდი მანქანა, გაარემონტებინა, თითქმის განახლებული მოუტანა... ეს იყო საშუალება (თავად მერაბისგანაც „სანქციონირებული“) მისი დეპრესიისა და პროსტრაციისაგან გამოყვანისა... ჩაეჩინებდით, რომ ენერა გახსენებები, მოგონებები, ეპიზოდები, რაც დაგროვების შემთხვევაში, რალაც მე-მუარების მაგვარს შეადგენდა და შეიძლება, კაი რამეც გამოსულიყო... მაგრამ მთავარი ეს შედეგი კი არ იყო, არამედ მისი შინაგანი ინტერესის გამოცოცხლება და რალაც ქმედებით დაკავება... თუ ეს პროცესი იმუშავებდა, შედეგი, მერაბის დეპრესიიდან გამოყვანასთან (მთავარი ამოცანა) ერთად, ფრიად საინტერესო ტექსტიც აღმოჩნდებოდა... მაგრამ მერაბმა ვერ შეძლო... ვერ შეძლო თხრობა ისე, როგორც ამას ზეპირად თხრობისას შერებოდა... ზეპირად თხრობა კი ისეთი იყო, რომ როცა მერაბი ჩემთან მოვიდოდა და დასალებად ვსხდებოდით, ჩემი გიორგი გარბოდა და თავის ძმაკაცებს ურეკავდა: მერაბ გაჩერდილაძე მოვიდა, ეხლა დაინყებენ მოყოლას (ესე იგი, ჩემი და მერაბის, ჩვენი დარტყმული ხობმების დუეტში გახსენებების) და ხო აზრზე ხართო!.. ცოცხანში სუფრას ეს პატარა ბიჭები ემატებოდნენ და ჩვენც ამ გიჟობების გახსენების აზარტი გვემატებოდა და იყო ხორხოცი, ხარხარი და ყმული... და მაგარ დროს ატარებდნენ ბიჭები და ჩვენც, რა თქმა უნდა... ჰოდა, ეგ იყო, მერაბმა ვერ შეძლო, ნანერში განეხორციელებინა ის ზეპირი მონათხრობები... ნანერ ტექსტში ჩნდებოდა რალაც ოფიციალური, „ლიტერატურული“ გამართულობა, რაც სრულიად აუფერულედა, კლავდა ამბის სიცოცხლესა და ემოციას... ეს მუდმივად ტანჯავდა მერაბს წერის პროცესში და ბოლოს ამან ისე დაღალა და გამოფიჭა, რომ შეჯავრდა ეს საქმიანობა და მიატოვა... ის, რაც დარჩა დაბეჭდილი, მკვდარი, ნანვალეები ტექსტი იყო და ჯობდა, არც ნაგვიტხა... ერთ დღეს გაირკვა, რომ მერ-



ლია სტურუა

პირიპით

ზემგრძობიარე ფოტოაპარატი თვალებში  
 ყურებში — სამრეკლო,  
 ზარებს ენებად,  
 კონვენციური პოეტები აბიათ.  
 რას ზეიმობენ?  
 სახლიდან რომ ფანჯარა ხტება,  
 რომელიც შენ ხარ?  
 სულ არ იდექი ამ ფანჯარასთან,  
 ქინძისთავზე სისხლის წვეთით  
 და ასეთი რადიკალური გადანყვეტილება!  
 რატომ?  
 ჰიპერბოლას გინდა მისთხოვდე?  
 ბოლო შვილის გაუქმებული პროექტით  
 (ტელევიზორი ხარვეზიანად აორსულებს),  
 თვალებს იატაკი გამოაცალო  
 და ცის მეტი არაფერი აღარ იყოს?  
 უკანასკნელი საყრდენი — ატკიებული ფეხსაცმელი...  
 სამრეკლოს ყურები უკეთია,  
 რითმებზე გამახვილებული,  
 ფანჯარაში უხარისხო ფერები შემოდის,  
 და ფოტოაპარატიდან ვან გოგი გამოფრინდება,  
 რომ მზე გაახუროს  
 ჰიპერბოლამ ასეთი ჩიტებიც იცის,  
 ოლონდ, არა სიმჩატეში სავარჯიშოდ,  
 უფრო მაშინ, თავი საფუძვლიანად  
 რომ გტკივა, ბნელ ოთახში ზიხარ  
 და სინყნარეს სწავლობ...

იუღას ხე

მამლები — გაუმართლებელი ეგზოტიკა,  
 მალვიძარა საათების თანხლებით  
 მუშაობენ პროფესიონალი მკოცნელები,  
 ხელფასს ვერცხლით უხდიან,  
 სინჯი აშკარად იკითხება  
 მაგრამ საქმე დანვრილმანდა;  
 უმანკო ჩასახვის ამბავს ვინ განაზოგადებს,  
 ფარდობითობის თეორია ხომ არ არის,  
 როცა თავშია ღმერთი,  
 ვახშმად — ვიოლინო, ლალატის გემოთი,  
 ხალხურ სიმღერას,  
 სასწრაფოები და სახანძრო მანქანები  
 თუ აკივლებენ, თორემ  
 ადამიანები შვიდ ხმაში?!  
 კიდურებზე იყო ნათქვამი ლურსმნები  
 და არა გლანდებზე!  
 ამ სისხლიან ვოკალს ხომ ვერ აკოცებ  
 და კანონგარეშე გამოაცხადებ.  
 ხელფასი დაგიგროვდა — ვერცხლის მადანი,  
 აგეფარება, როცა ხეების მოგდევნ  
 და ბავშვები, ბავშვები,  
 შაქარყინულის მამლებით პირში —  
 მომავალი ძეგლებით პატარა საფლავებზე  
 ამ ცოდნას ჯერ ნუ მისცემ!  
 ერთ ხეს მაინც დაელოდე,  
 გინდა, იმას, ბიბლიურს,  
 გინდა, სხვას,  
 ბავშვების პირებით ვარდისფერს,  
 შეახში ზედ, ალიბი გაიკეთე,  
 დაბერებული ქალებისთვის და კაცებისთვის!

ცოცხალი ხმა

ზაფხული რომ დაგეჯახება  
 და თავს ქიმით კი არ გაგინითლებს,  
 ცეცხლით!  
 სახანძროებს სხვა ცეცხლზე უშვებენ,  
 მდინარე ერთჯერადია,  
 სუიციდის მცდელობაც მარტო  
 ერთხელ ამართლებს,  
 უიღბლო პოეტს ფეხქვეშ  
 ხაზი თუ გაუსვებს — სიმრუდის რადიუსი...  
 მანამდე ბრონეული კვეთია,  
 სიმჟავიდან სიტკბოსკენ წაიყვანს,  
 ალისფერს მიაღწევს და გადადგება —  
 ზამთრის აქცია  
 აღმატებითი ხარისხების წინააღმდეგ.  
 ან რას ვერჩი გამჭვირვალებას?  
 უსხეულო ამინდებს,  
 ანემიურ და პლატონურ სიყვარულებს?  
 რა არის ეს? სიზმარი, სიბერე,  
 თავშეკავებული აგონია?  
 ყურებში მინუსიანი სიმღერა ტყუის,  
 თავზე წითელი ბიბილო უფრო მართალია?  
 სააღდგომოდ რომ წამაცალონ?  
 სად არის ცოცხალი ხმა?  
 გრძელდება გიჟების ჰოსპიტალიზაცია  
 და ზამთრის აქციები  
 აღმატებითი ხარისხის წინააღმდეგ...



**მშრალი ხიდი ანუ „იყიდათ რაჲ“!**  
*ირაკლი სამსონაძეს*

მშრალი ხიდი წყალზე დგას,  
 გეოგრაფია არ აქვს,  
 აქ რომ მოხვიდე და სამშობლო გაყიდო,  
 ლალატად არ ჩაგეთვლება,  
 ოროთახიან ბინაზე ძვირი არც ღირს,  
 მერე მოჭრილი ფეხებით გტკივა...  
 — იყიდება ორი ობელისკი!  
 მათხოვარი პოეტი რომ თაბაშირში ამოავლო  
 და ზედ შეაყენო?  
 მაინც უნდოდა ძეგლობა.  
 თირკმელის რითმა ვერ იპოვა,  
 ვერც მუშტარი,  
 ასეთ დისონანსს მეორე მათხოვარი  
 თუ იყიდის.  
 პარადოქსი? სოციალური მოტივი  
 მშიერი პოეტის შემოქმედებაში?  
 ამ თემაზე დაგეშილი ბავშვები,  
 კენჭებით იოლად გაჩენილები,  
 რამ სიშორეზე ჩატანებულები  
 უნივერსიტეტების კედლებში  
 ბაკალავრიატის მკერდამდე, მაგისტრატურის ყელამდე,  
 ოქროს წყალში რომ ამოავლო,  
 აქაც ანტიკვარიატის ფასს დაიღებენ.  
 მოვა ინვესტორი და ამ გაუგებრობას  
 მდინარეს ჩაუგდებს ლაჯებში,  
 აქაურების 80 პროცენტი თვითმკვლეელია,  
 მინის ეშინოდათ, წყალი  
 უფრო რბილად კლავს  
 — იყიდება მინერალურ ბოთლებში  
 განანიღბული მდინარე!  
 დასალევად ცოტა ნერვიული,  
 ბოთლს დანაყავენ, დაგაყოლებინებენ  
 დილას ტანი ლოგინიანად გტკივა  
 თუ ადგომა შეძელი,  
 მინა ჩაიყენე ხმაში!  
 ორგანობად ვედარ, იქნებ,  
 ტექსტებად გიყიდონ.  
 რომელიმე წიგნი  
 რადიკულიტზე გაქვს დაკრული  
 ყველაზე პილპილიანი გვერდით,  
 ბავშვებსაც სცივათ, თან ავადმყოფ ადგილებში  
 ისეთი დამხმარე ღმერთი ყავთ,  
 იქნებ, წიგნის ინპლანტაციამ გაამართლოს?!  
 ბოლოსდაბოლოს, კლოუნობა შენი ხელობაა.

ზიზზაგები

ქარმა აწია ცა,  
 ისეთი უზრუნველად ლურჯი,  
 თითქოს, მის უკან მინა არ იგულისხმება,  
 შიდა სივრცეში დედ-მამა ჩამიყარა,  
 მორიგი დაზავების შემდეგ,  
 ფსკერზე გატრუნულები,  
 ჩემს ცნობიერების ნაკადს აკონტროლებენ:

სპილენძის დაფდაფები ესმით,  
 შიგ მოყოლილი ფუტკრები —  
 ჯვარედინი რითმების თაფლი,  
 დამტვრეული ლექსიც ზევით მიდის,  
 ოლონდ, ზიგზაგებით და უშაქროდ,  
 ცის უკან მინას აშკარად ხედავს,  
 ცენზურა დამარხა,  
 თავისუფალი ლაჟვარდით ანათებს,  
 იმდენ მუშაობას, იმდენ ლიტერატურას,  
 შიდა სივრცეში ჩაყრილ იმდენ ნათესავს,  
 რამდენ სკამსაც მოგუხებებ,  
 პარტერი თანაბარია, იარუსები — დემოკრატიული,  
 ზეანული ამფითეატრი საკონტროლო გასროლასავით!  
 აქედან ვუყვარვარ  
 სცენაზე ათმარცვლიანი სტროფები მუშაობენ,  
 სიხარულის მომგვრელი,  
 ზიგზაგებს ვერ ენდობი,  
 ქვესკნელში ჩაგიტანენ...

არა კაც კლა

ღმერთო, მისახსოვრე ჰანგი  
 მალაღმარდოვანი ყოფის!  
 რომელსაც არ შეჭამს ჟანგი  
 და ქუნის ძაღლების ცოფი,  
 ცეცხლზე მოადულე ბანგი,  
 ნაერთი სიტყვის და შხამის!  
 სად იყო რიგი და რანგი  
 იმ დემიურგობის ლამეს?  
 როცა ჭირდებოდა მთვარე  
 ჩემს გეომეტრიულ სევდას  
 და პიკასოების ჯარი  
 ღმერთის შეგირდობას წევდა  
 იქნება, მაშინაც, შიში,  
 ბლოკავდა პირდაპირ ეთერს,  
 როცა ჩამენვთა ტვინში  
 შენი გენეტიკის წვეთი,  
 ბავშვების მოზღვრის ნიჭი  
 ხორცისგან, თოვლისგან, ცისგან,  
 პირველი, ნემსით ბიჭი  
 როდესაც მიგლეჯდა შიგანს  
 ამხელა სამოთხეგავლილს  
 და ვაშლის წერტილზე შემცდარს,  
 ჯერ გამაჩენინა თავი,  
 მერე ნარკოტიკზე შეჯდა.  
 რძეები, ვაშლები, მკერდი...  
 როგორ არ მოსწყურდეს ცოდვა?  
 და ვირტუალური რეტი  
 აგიჟებს, აქეზებს, მოსდევს  
 ფეხქვეშ ნიადაგის ზიზლი  
 უკვე მოახვია თავზე  
 სამკუთხედს კლავენ და სისხლი  
 კვადრატულ ვედროებს ავსებს  
 ცხადში კი ახლოა რთველი,  
 ღმერთო, ბალახია სველი,  
 თუნდაც, წარმოსახვით მკვლელებს  
 გაუხმე ქვიანი ხელი!

მოთხრობა

როცა სახელნაცვალ საკუთარ თავს უცხოთვით გადმოვხედავ და ხანგრძლივი წვიმებით დაობებული ტანი სულიდან ჭიაყელასავით გამომაქვს, როცა სიახლოვესა და სიმორეს შორის ადგილნაცვალ ნარსულში გაღვივებული ხორბლის მარცვლივით ვახსოვარ ყანას რომელმაც მერე, უკვე შორეულ მომავალში ჩემი მოთბული თმისგან დაწნული და ბელტებიანად ამოგლეჯილი მოლოდინით ამოვსებული ზაფხულგამოვლილი კალათები ქალაქის დახლზე გასაყიდად უნდა შემოდგას

— როგორმე უნდა გავიხსენო, რა მოხდა მერე.

როგორმე უნდა გავიხსენო, საკუთარი თავის გაშვება სამყაროსხელა შიშში, საიდანაც ან სიკეთემოგონებულები, ან თვალდაკარგულები ბრუნდებიან და ჩემს ტანში შებუდებული ყველაზე დიდი მტრისთვის საკუთარი თავისთვის მოვიგონო ცხოვრება.

უნდა შეძლოს და გამიხსენოს. უნდა შევძლო და გავუჩუქმდე.

რომ მერე წვიმა მოვიდოდეს. რომ მერე თოვლი. რომ უცებ ქარმა ჩამოყარა. უცებ რომ დაღლა. რომ გუშინ დგახარ, სეზონური დღეები თვალე უცებ და რითმა მოგენატრა, უცებ და — აღარ. — რომ მერე კარი გამოალე უბრალოდ, ჩუმიად. იქნება თითი მიიტანო ცხვირამდე ბნელში. მერე რომ თავი მოგენატროს სხვაში და — ჩვევა. რომ მერე გაქრე და ზედმეტი სისველით გასრე. ნანყვეტი. აქ თვალი დახარე. აქ უნდა იძინო. დილაზე. დაღლა ისეთი. ვერაფრით ერევი. ისუნთქე — ჭა არის გაღმა და შავი და უძირო დღეების მორევი.

პეპლები. მუცლიდან გაღვიძებს ფრთხილი პეპლების. ქარია. ან, უნდა მხედავდე. ან — უნდა გახსოვდე. სათქმელი. და თითქოს სიტყვები ხმაურში გეპნევა გგონია — მახეა.

და ტანში სიტყვები შიგნიდან. ეს იქნებ განგაში. და თითქოს შიგნიდან ირღვევი. ეს თითქოს სიღრმემდე. და აი, ეს ოთახი, და აი, ეს კედელი. — ამლამებ. თითქოს შორიხლო იდგეს გზა, —

ვერაფრით გიძლებდეს. რომ მერე წვიმა მოვიდოდეს. რომ მერე თოვლი. რომ უკან ხელეებს გაიწვიდე და უცებ — წინ ხარ. რომ ხვალე უკან მიდიოდეს და მაინც თვლიდე მოსასვლელ დღეებს, გასასვლელ გზას,

დათოვლილ წინკარს ნაბიჯით ფრთხილთ უმონებებე გაბზარულ მალეებს რომ მერე გაქრე და სიზმარში თავიდან იშვა. რომ მერე უკან გენოდეს შენივე „მალე“. და მერე შენ და შენი თავი აღარსად გიშვებს. ეს იქნებ ხმაური შიგნიდან. ეს თითქოს ზანზარებ. ეს იქნებ ტუნების მოკუმვა და თვალის გაქცევა. და უცებ ყანაა — ყელიდან მიწამდე გაზრდილი და ხორბლის მაგივრად საცერში ცხოვრება იცრება.

... როცა თავნაცვალ, სულიდან ჭიაყელასავით გამოლოდებული მოვალეობით, — საკუთარი ტანი გამოვძვრები და ქალაქის დახლზე გასაყიდად

შემოდგმული კალათებიდან ჩემი მოთბული თმის სუნს ვიგრძნობ გამახსენდება, რომ ჩემი ყველაზე დიდი მტრისთვის საკუთარი თავისთვის ნათხოვარი დაბადება უკვე დიდი ხანია შორეული მომავლიდან

შენში გადმოვინერე — ... რომ მერე წვიმა მოვიდოდეს. რომ მერე თოვლი.

EMPIRIA

3. მე შემძლია მანძილები გამოვიგონო. კომპიუტერის ეკრანს ნელ-ნელა მოვცილდე და უცხო ქალაქის ნაადრევი დაზამთრებიდან ჩემი ქალაქის სეზონურ შემოდგომამდე ჭოგრიტივით განელილი ვიდეოთვალის ჩრდილოეთის საზღვარზე, ომში წასული ჯარისკაცისთვის სანგარში დავმალე.

აქ ყველაფერი მარტივია. შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ, ომზე, რომელიც უკვე მოხდა, წლებზე, რომლებმაც მიგვატოვეს, დროზე, რომელშიც ისე გვეძინა, — არც გავრხეულვართ, — ერთი სიტყვაც კი არ დავცედა გადასარჩენად. რა იოლია, შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ, ყველა შესაძლო, თუ გარდასულ დამარცხებაზე და ყველაფერზე, რაც არასდროს არც კი მომხდარა.

კატო ჯავახიშვილი

და მაშინ, როცა მანძილები თავად დამოკლდებიან, და ყველა წაგებული ომის სანაცვლოდ, ყველაზე აკრძალულ გზას მოძებნიან, ქალაქის ყველა ქუჩას შენი ხმა დატბორავს და ყველა აკრძალვის ნიშანს ფეხზე დავიკიდებ, რადგან ჩემი წლობით ნაშენები სიფხიზლე, არაფერია იმ ღრმა ნაფაზთან შედარებით, რომელიც ფილტვებს მიბინძურებს, და როცა ბორდიურზე ჩამომჯდარი

ყველაზე ადამიანურის საპოვნელად, გეტყვი: რომ ყველა ადამიანური სიბინძურე საკუთარ თავში დავაგროვე, რომ ყველა სისუსტე და სიმბდალე

საკუთარ გზაზე გავატარე, რომ ყველა რესურსი უკვე დავხარჯე, ვიყავი მკვლელიც, ნაძირალაც,

ავაზაკიც, მეტისმეტად ლამაზიც და ზედმეტად უშნოც, მეტისმეტად მომთმენიც და ზედმეტად ურჩიც, მეტისმეტად ადამიანიც და ზედმეტად მხეციც, — გამოაგრძელე ეგ ჭოგრიტი და დამინახე.

2. თუკი მანძილის ნაცვლად ახლა მეზრდება თმა და თუკი თვალბის ნაცვლად ახლა მანძილებს ვახელ, თუკი მახსოვს, რომ ერთხელ უკვე ვიცოცხლე. ვფანტავ გასავლელ წლებს და უკვე ერთხელ გამოცვლილ სახლის წინ სხვა ქუჩაა. სხვა გამზირი. სხვა დროა. სხვა გზა. სხვა სინამდვილე. სხვა სიცოცხლე, რომელიც მახსოვს. სხვა გათენება. დაღამება. კაკუნი კარზე. სხვა სიხარული. სხვა დუმილი. სიჩუმე. სახეს სხვა ქარი გამიგროლებს, რომელიც უკვე, ოდესღაც იყო, სუნი ჰქონდა ბაბუას ყანის. სხვა მონატრება არის უცხო, და მე არ მიკვირს, რადგან მე მახსოვს ნაქურდალის გემო და... — მყავდე, ეს ნიშნავს: თვალებს იქით გავლიო წლები. — გფიქრობ, ეს ნიშნავს: სიტყვებს იქით, შეგრძნებებს ვმალავ. სადმე თუ მაინც აკრძალვების ნიშნები დგანან. იქნებ ქარებმა წააქციოს, — მომავალ დრომდე. ადგილს თუ ველარ ვპოულობდე ვერცერთი ვერსად. მძიმე თუ იყოს ჩვენი ტვირთი გასავლელ გზაზე. — წადი, ეს ნიშნავს: უკვე იყო. ახლა სხვა დროა. — მძინავს. ეს ნიშნავს: ახლა არის. ამ დროში. მყავდე.

1. აქ ღმერთები არ ბრუნდებიან. შეგიძლია ჯიბეებში ჩაიტენო ზღვისპირა ქალაქების სანაპირო და როცა, ზურდებივით აჩხრიალდებიან მოგონებები, ტალღებით ამლამდებიან გზები, ზედაპირზე ამოტივტივდებიან ზღვაში დაკარგულები, რომლებსაც მე და შენ ერთად დავიჭირებთ, რადგანაც გვჯერა, ეს ცხოვრება იმ ხმელეთზე ნაოსნობაა, რომელზეც მილიონი წლის წინათ, ერთმანეთი გადავცურეთ, რომ შემდეგ, მომავალში გამოვლიძებულებს პოვნა აღარ გავგვირგებოდა, ეს როცა, არ არსებობდა დედამიწა, არ არსებობდა გალაქტიკა, არ არსებობდა ღმერთი, რომელმაც დედაკაცი და მამაკაცი ერთმანეთზე ქლიავის ახალი ჯიშით დაამყნო, რომ შთამომავლობა გამოეგონებინა, არ არსებობდა ფილოსოფია, რომელმაც შეიმუშავა თეორია, რომ ჩვენ გავჩნდით ნითელბალნიანი მაიმუნებისგან, რომლებმაც შემდეგ გამოიგონეს საზღვარი, გამოიგონეს ცივილიზაცია, გამოიგონეს თავდაცვა და სწორედ ამიტომ გახდნენ ადამიანები, ეს მაშინ, როცა, არ არსებობდა ღმერთი, და კაცმა თქვა: — ღმერთი მოკვდა, რომ სიკვდილის წინ მისი არსებობა გაემართლებინა. და როცა კარგად დავიწყებული წარსულიდან ყველა ჩვენი შესაძლო დაბადება გაცხადდება, და როცა, დამოკლებული მანძილები თავადვე გამოიგონებენ გზებს, და არანაირი ლიტერატურა, თუ ენა აღარ იქნება საჭირო ერთმანეთის გასახსენებლად, — ჯიბეები ამოიტრიალე.

0. თვალგახელილს უნდა მეძინოს. გუშინდელი მორჩენილი ძილი ბებიაჩემის გაკეთებული ქლიავის ჩირივით მზეზე უნდა გავფინო და ჭიაშეპარული მონატრებიდან ნელ-ნელა გამოვავრო შენი თითებით მოტანილი, გემებჩაძირული ხმელეთის მყუდროება.



-1 ნებადართული არის სიფხიზლე. სხვა ყველაფერი აკრძალულია!

საჩუქარი

როცა იცი, ცხოვრება კინოთეატრში გასული ფილმი კი არა, თანდაყოლილი უძღურებაა, სადაც საგნებს ერთმანეთით ვასათაურებთ, რომ საკუთარ თავში დაკარგვისას მოგონებებმა ყელზე დაკიდებული

ეყვანივით გაინკრიალონ და თვალში ჩავარდნილი ადამიანი ტბის ფსკერიდან მშრალი იმიტომ ამოვიყვანოთ, რომ მერე ჩვენს ტანშივე გავაჩინოთ, ჩვენს მხრებშივე გავმართოთ, ჩვენს მოლოდინშივე გადავარჩინოთ, — რა შეიძლება მე შენ გაჩუქო?

როცა იცი, მონატრებიდან გამორიყულები იმსიმძიმე სევდას დავატარებთ, ხერხემალში რიყის ქვეები გვიჩხრიალებს და საკუთარი თავისგან პირქვე დაცემულები ფეხზე მხოლოდ იმიტომ ვდგებით, რომ სხვის გადასარჩენად სამყოფი ძალა ჩვენს სისუსტეს გავუტოლოთ,

ჩვენს დაცემას გავუთანაბროთ, ჩვენს შეცდომებს ვაპატიოთ, — რომელ საგანში შეიძლება გარდავისახო? როცა იცი, შიმშილი მხოლოდ სურვილი კი არა, შეიძლება ნებით უკან ნაღებული ხელიც იყოს, რომელშიც იმდენი ლოდინია, რამდენი სასიცოცხლო გზაც გამოვტოვეთ, იმდენივე აკრძალვაა,

რამდენი სასიკვდილო უღელტეხილიც გადავლახეთ, იმდენი შიშია, რამდენი სიტყვაც გადავყლაპეთ, — რომელ ფურცელზე დავატიო?

როცა იცი, ყანა მხოლოდ მობიბინე ხორბალი კი არა, ქვენარმავლებით სავსე ოქროსფერი ქვაბია, სადაც შემთხვევით ჩაძინებულებს სიზმრებივე ლალატობენ და გამოვლიძება,

როგორც ცხელ მუზლზე ხელის შეხება, შეიძლება გადაარჩენა იყოს, — რომელ დროში გადაგაწყდე? როცა იცი, ყველა წელთაღრიცხვა ტყუის, იმ უახლესის გარდა, რომელიც დროით არ თარიღდება.

რომ ყველა ადამიანი ტყუის იმათ გარდა, ვინც ტყუილი ჯერ ვერ მოსწრო და საკუთარ თავში ნაპოვნი სიჩუმეცა და სიყვარულიც შეიძლება შეუმდგარი შეხვედრებით ავიხილდეს, რომ ხელუწყულმა გადაგდებულ გზებში საკუთარი თავი ამოვიცნოთ და საკუთარ თავებშივე ავხედეთ, — რომელ დროში უნდა ავიხედე?

როცა იცი, რომელიმე ცხოვრების მდინარე უნდა გამოითხოვო, უთქმელი სიტყვები ლიფსიტებით გაუშვა და ფერად კენჭებზე სახმელეთო გემოვით გაიჩქქეო თავი, როცა შენს ცხოვრებაში შემთხვევით შემოპარულებს ენაგადაყლაპული შიში თვალებიდან გადმოუფარდებათ, რომ მე — შენი ყველაზე დიდი სიმართლე

და უსამართლობა — როცა ამ შიშს გზაზე შევხვდები, არ დავიმუნჯდე, — რა შეიძლება მე რომ გაჩუქო?

უნდა ავდგე და საკუთარი თავი გაჩუქო. მოგეყუდე. ნუ გეშინია.

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაგალითად, ასე გავიციანი გურამ ფანჯიკიძე, რომლის „სპირალი“, ჩემი დის წყალობით, იმდენჯერ მქონდა მოსმენილი, რომ მთელი წიგნი ლამის ზეპირად ვიცოდი. ისე, მე თვითონ მისი ნაწერებიდან ყველაზე მეტად მაინც „თვალის პათიოსანი“ მიყვარდა.

რესტორანში ვისხედით და უფროსები ათას რამეზე საუბრობდნენ. მაშინ რობაქიძის წიგნი დიდი ხნის აკრძალვის მერე პირველად გამოცა „მერანმა“ და საუბარი, ძირითადად, ამ მოვლენას უტრიალებდა.

გურამ ფანჯიკიძე ამბობდა — ნავიკითხე ეს „გველის პერანგი“ და „ფალესტრა“ და ვერაფერი ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ყოველ შემთხვევაში, რომ ამბობდნენ, აი, მოვა რობაქიძე და, რა ჯავახიშვილი და რის ჭაბუა ამირჯიბი, ყველას გაახუნებსო, პირიქით, დღევანდელი გადასახედიდან ძალიან გადაპრანჭული და არაფრისმთქმელი გამოჩნდაო.

რობაქიძის თქმული რომანი მეც უკვე ნაკითხული მქონდა და დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. ისე მარბუბდა მისი უჩვეულო წერის მანერა, რომ სრულიად საპირისპიროს ვფიქრობდი ჩემივე დღევანდელ პოზიციასთან შედარებით. საერთოდ, „მერანის“ გამოცემამ საზოგადოება ორ ნაწილად დაჰყო: ერთი უპირობოდ ხოტბას ასხამდნენ რობაქიძეს, მეორე კი სრულებით ვერ იღებდნენ მას და აკრიტიკებდნენ.

ერთი ხაზურული ჭკვიანი ადამიანისაგან ასეთი რამეც კი მოვისმინე: „აი, ახლა, ვიყიდე ორი წიგნი: ლეილა მესხის „ფაიფურის თოჯინა“ და გრიგოლ რობაქიძის რომანები. პირველი დიდი სიამოვნებით ნავიკითხე, მეორემ კი ხელში შემეკლა და წერები დამაგლიჯა. მითხარით, რას ჰქვია დიდი მწერალი?“

მაშინ მივხვდი, რომ იმ იასამინისფრად თმაშეღებილი ქალბატონისათვის რაიმეს ახსნას აზრი არა ჰქონდა. ჩემს მეგობარს, დათო ნიქარიშვილს კი რამდენჯერმე იმავე საკითხზე ცხარედ ვეკამათე.

დათოს ისიც კი არ სჯეროდა, რომ წიგნი ბოლომდე მქონდა ნაკითხული, ამიტომ მთელი პასაჟები ოსტატურად გამომიკითხა. როცა დარწმუნდა, რომ ორივე რომანი კარგად ვიცოდი, ჩამეძა — აი, „გველის პერანგი“ ასეთი რამ არის: „გრანტის მასა „ელვინდ“ და რას ნიშნავს ეს „ელვინდი“.

მართალი გითხრათ, ამას კი აღარ ჩავეკვირვებოდი და ნიქარიშვილმაც აიჩივმა, აბა, რა მოგწონს, თუკი არ გესმისო?!

რა თქმა უნდა, შინ დაბრუნებულმა სასწრაფოდ გავარკვიე, რომ „ელვინდი“ ალვანდის მთათა სისტემას გულისხმობდა ირანის ჩრდილოეთში.

დათო ნიქარიშვილისაგან განსხვავებით, გურამ ფანჯიკიძეს შეკამათება ვერ გაუბედავს, მაგრამ ვერც დავეთანხმე და ვუთხარი: მე, პირიქით, ძალიან მომეწონა და მგონია, რომ მართლა დიდი მწერალია-მეთქი. „რა იცით თქვენ, ახალგაზრდებმა!“ — მოწყალედ გამიღიმა. ვეცადე, საუბარი სხვა თემაზე გადავტანა. ვუთხარი: რატომ? მაგალითად, ძალიან მიყვარს თქვენი მეუღლე, როგორც მთარგმნელი-მეთქი...

თვითონ ჩემი საყვარელი მწერალი არასდროს ყოფილა და ტყუილს ვერ ვაკადრებდი. აი, დიდი ფანჯიკიძის კი უდიდეს პატივს ვცემდი და ვეცადე, სიტუაციიდან თავი ასე გამომიყვანა.

— მერე თუ დალის თარგმანები გიყვარს, ვერ ხვდებით, რა განსხვავებაა ნამდვილად დიდ მწერალ თომას მანსა და გრიგოლ რობაქიძეს შორის? — მითხრა და ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

იმ წუთას რალაცნაირად მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, გამიხარდა, რომ თომას მანსა და ჩვეულებრივ ნიჭიერ მწერალს თვითონ თურმე ერთმანეთისგან შესანიშნავად განასხვავებდა.

რესტორნიდან შინ რომ მივბრუნდი, თაროდან მაქს ფრიშის ორი რომანი — „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“ — გამოვიღე და სულ-მოუთქმელად ჩავიკითხე დალი ფანჯიკიძის ბრწყინვალე თარგმანი.

საერთოდ, ასეთი შინაურული შეხვედრებიც არ მსიამოვნებდა. რალაცნაირად მღლიდა, მაგრამ ჩემი ნამდვილი ტანჯვა რაიონულ ღონისძიებებზე ლექსით გამოსვლა იყო. იმ დროს ხაზურში მართლა ჩქეფ-

და კულტურული ცხოვრება, რომლის ნაწილსაც პერიოდულად გამართული პოეზიის საღამოები წარმოადგენდა და ამ საღამოზე ორი ხაზურული ვუნდერკინდი, როგორც მაშინ მე და ეკა ბაქრაძეს მიგვიჩვენებდნენ, აუცილებლად უნდა გამოვსულიყავით. არ ვიცი, გარედან თავი როგორ მეჭირა. ბევრს იქნებ ეგონა, მიხაროდა კიდეც ამ საღამოებზე ლექსის ნაკითხვა, მაგრამ შინაგანად ეს ყველაფერი ისე მთრგუნავდა, თავის სორო მილიონი მილირდა, რომ დავმალულიყავი.

1987 წლის 19 აგვისტოს „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩემი 41 ლექსის დაბეჭდვამ, პაატა ნაცვლიშვილის შესანიშნავი წინათქმით, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მანამდე, დაახლოებით ერთი წლით ადრე, ამავე გაზეთში ჩემზე ერთი წლით უმცროსი პოეტის — ეკა ბაქრაძის ლექსები დაიბეჭდა და ლამის მთელი საქართველო ამაზე საუბრობდა. ყველა არცევედა, რამ გამოიწვია ხაზურში პოეზიის ასეთი უჩვეულო აფეთქება. ვინ იყო ეს ორი ხაზურული „ცინგლანის ღლაპი“, რომლისთვისაც ქებას და, ბევრის აზრით, გადაჭარბებულ ხოტბას არ იშურებდა — უჩვეულოდ გემოვნებიანი და

გიორგი ლობჯანიძე

ჩემი ფანჯიკიძიდან

სიტყვაძუნწი პაატა ნაცვლიშვილი. საერთოდ, ჩემი და პაატას ურთიერთობა თავიდან მძიმედ აუწყო. თვითონ ეგებ აღარ ახსოვდეს, მაგრამ პირველად მასთან ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკარმა, ირინე კორბესაშვილმა ჩამიყვანა თბილისში. მაშინ 10 წლისა ვიყავი და ცხადია, ისეთს არაფერს ვწერდი, რომ ყურადღების ღირსი ყოფილიყო.

ბუნებრივია, იმ ჩვენს პირველ ნაცნობობასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

მეორედ, პაატასთან უკვე მურად მთვარელიძემ წარმადგინა. 12 წლისა უკვე მქონდა რამდენიმე საინტერესო სტრიქონი, თუმცა მაშინაც პაატა დიდად ვერ დავაინტერესე და უფრო, ალბათ, მურადის პატივისცემით მითხრა: დროდადრო შემომიარე ხოლმე და ახალ-ახალი ნაწერები წამოიღეო.

მე იქიდან დაძმარებული გამოვბრუნდი და რომ არა მურადი, ლექსების წერაზე თუ საერთოდ ხელს არ ჩავიქნევდი, ალბათ, ჩემს ნაჯღაბნს აღარასოდეს არავის ვაჩვენებდი.

მით უფრო, ჩემმა მესამე დამ, რომელიც საერთოდაც გამოირჩევა პირუთვნელობითა და მწარ-მწარე ლაპარაკით, მითხრა: რალა მოგივიდათ, ის კაცი თავში ქვას ხომ არ ჩაგარტყამთ და უკან ისე ხომ არ გამოგიშვებთ? ვერა ხედავთ, რომ არ მოსწონს შენი ლექსებიო?! — თქვენობით მე და დედაჩემს მოგვმართავდა, რომელიც სიტუაციას ასევე მშვენივრად ხვდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში შვილის „მარცხთან“ შეგუება ძალიან უჭირდა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ ყოფილა იმის დიდი მომხრე, რომ ლექსები დაიბეჭდა. რასაკვირველია, უხაროდა, როცა რაიონულ გაზეთში ან მაშინდელ მოსწავლეულ გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ რამეს მიბეჭდებდნენ, მაგრამ ეტყობა, უშინადა, ქებამ არ ნახადინოსო და ყოველთვის მარიგებდა:

— არ გეგონოს, ვინმეს რამეთი აღემატებოდე. ღმერთი ყველას აძლევს რალაცა ნიჭს. ზოგს ღურგლობა ეხერხება, ზოგი ბალ-ვენახს უფლის. და შენც, ეტყობა, ეს ლექსების წერა დაგანათლა. თუ, რალა თქმა უნდა, ეგეც ნიჭიაო! — დასძენდა ხოლმე სკეპტიკურად და უცნაურად უბრწყინავდა ალალი თვალები...

ალბათ იმან მიშველა, რომ ჩემზე ეს ამბები ნაკლებად მოქმედებდა. თბილისიდან დაბრუნებულს პაატა ნაცვლიშვილიც მალევე დამავიწყდა და ჩემი „მარცხიც“. ყურებში მხოლოდ ხანდახან მიწყოდა ჩემი დის სიტყვები და იმასაც თამაშში ან კითხვაში გართული კი ვაგნავარობდი და ხანდახან, ცხადია, მურადსაც ვაკითხებდი.

რამდენიმე თვეში ისევ დამიგროვდა მოზრდილი დასტა და პაატას ის დასტა მურადმა უჩემოდ ჩაუტანა. სამი თვის შემდეგ კი ახალი ლექსებით „ახალგაზრდა

კომუნისტის“ რედაქტორს უკვე დედასთან და უფროს დასთან ერთად მივადექი.

პაატამ ფოტოკორესპონდენტს დაურეკა და ქუჩაში სურათის გადასაღებად გამიყვანეს. სურათის გადაღებას იმთავიდან ვერ ვიტანდი და ბადრი ვადაჭკორის, სესანისძენა ფოტოხელოვანს, სასურველი კადრის დაჭერა ძალიან გაუძნელდა. თავს ზემოთ არ ვწევდი. ბოლოს გვითხრა — კარგი, ნაბრძანდით, რაც გამოვივინა, ეს არის, რალაცას ავარჩევო. ნამოვევით და უცებ შორიდან ვილაცა გვეძახის. ბადრი უჩემოდ უკან აგვედევნებოდა, დამიძახა და თავისკენ მიმახვედა. ასე გადაილო კადრი, რომელიც დიდი სლაიდით დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტის“ გასული გვერდზე ჩემს ლექსებთან და პაატას არაჩვეულებრივ წინათქმასთან ერთად.

ჩემი ლექსების დაბეჭდვა კი, მგონი, ყველაზე მეტად სწორედ ჩემს მესამე დას გაუხარდა, რომელმაც იმ 19 აგვისტოს თვითონ შეიძინა რუსთავის საგაზეთო ჯიხურებში გასაყიდად გამოტანილი „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლამის მთელი ტირაჟი.

პაატას წინათქმას ცრემლების ყლაპვით, ხმამაღლა კითხულობდა და

გულწრფელად უკვირდა, რომ ასეთი რამეები მის ძმაზე დადებოდა. კითხვა რომ ჩამთავრა, მე სიამაყით გადახვედი და ჩაუღლაპარაკე — აბა, აკი არ მოსწონსო!

დედაჩემმა, ეტყობა, იგრძნო, რომ ჩემი ამპარტავნება იმწუთასვე უნდა მოეთოკა და მითხრა: „ნეტა რა მოეწონათ!“

არ ვიცი, რა მოეწონათ, მაგრამ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პუბლიკაციის მერე თავს საშინელი განსაცდელი დამატყდა. ქუჩაში ვეღარ გამოვიდოდი. ზოგი უბრალოდ თვალს მაყოლებდა, ზოგი პირდაპირ მაჩერებდა და მეკითხებოდა: „შენ ის არა ხარ?“ თავიდან ზრდილობიანად ვპასუხობდი, მაგრამ მერე რამდენიმე მოვატყუე კიდეც, რომ ვილაცაში ვეშლებოდი... იქნებ არც მოვატყუე, რადგან მაშინაც მჯეროდა და ახლაც მჯერა, რომ ვისაც ისინი გულისხმობდნენ, ის ნამდვილად არ ვიყავი...

საბოლოოდ იმან მიშველა, რომ ლექსების დაბეჭდვიდან რამდენიმე დღეში ყირიმში პიონერთა ბანაკ „არტეკში“ გამიშვეს და ერთი თვის შემდეგ, როცა იქიდან დაბრუნდი, პირველი საყოველთაო ეიფორია ჩემს ლექსებთან დაკავშირებით უკვე კარგა ჩამცხრალი დამხვდა.

სკოლაში კი დამახვედრეს დაახლოებით 700 წერილი, რომელსაც ჩემს სახელზე სწორედ სკოლის მისამართზე აგზავნიდნენ ჩემი ლექსების მკითხველები — ძირითადად, ჩემი თანატოლი გოგონები. როგორც წერილებიდან ჩანდა, ისინი ლექსებზე მეტად ბადრი ვადაჭკორიას მიერ დიდი წვალბებით, მაგრამ ასევე დიდი ოსტატობით გადაღებულ ფოტოს მოეხიბლა.

რაც მთავარია, ყველა წერილი სკოლის ადმინისტრაციის მიერ უკვე გახსნილი და დახარისხებული დამხვდა. მასწავლებლებს საგულდაგულოდ ნაკითხათ ეს ბარათები და რამდენიმე მათგანი ჩემთვის კიდევაც დაემალათ.

მოგვიანებით გზავნილები მაინც გამომცა სასწავლო წაწილის გამგემ, ოღონდ გამაფრთხილა, პასუხების დაბრუნებისაგან თავი სერიოზულად შემეკავებინა.

ცენზურა შეეხო აშკარად გამოხატული სექსუალური შინაარსის შემცველ წერილებსა და ციხიდან გამოგზავნილ რამდენიმე ბარათს, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით მკაფიოდ დამამახსოვრდა, თუმცა, რადგან „დუნოსათვის“, იგივე „ვას-მოი პოლკისათვის“ ანუ ჩვენი სასწავლო წაწილის გამგისათვის პირობა მქონდა მიცემული, პასუხი არც ამ წერილზე დამიბრუნებია.

მწერდა ერთი პატიმარი, 27 წლის ბიჭი, რომელიც, ფაქტობრივად, აღსარებას მეუბნებოდა და თან თავის ლექსებს მიგზავნიდა. ლექსები მართლაც ბრწყინვალე იყო, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მომეჩვენა და არ ვიცი, მათი ხელახლა გადაკითხვა რომ შემეძლოს, ახლაც იმავე აზრზე ვიდგებოდი თუ არა.

ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა წერ-

ილში გამკრთალმა ერთმა ფრაზამ, სხვა ფრაზებს შორის თითქოს შემწინველად ჩაკარგულმა: „მე ჩემი ცხოვრება ნათხოვარი პალტოსავით ვატარე“ — და ეს სიტყვები და სინანული თითქმის მთელი სიცოცხლე მომეყვება.

სწორედ ამ ფრაზის გამო გადაწყვიტე, არასოდეს მეტარებინა ჩემი ცხოვრება ნათხოვარი პალტოსავით და შეიძლება, რალაცები მცდარი, მაგრამ ჩემი, საკუთარი, ტანზე მყარად მომდგარი ყოფილიყო...

მეორე მხრივ, ჩემთვის აშკარა იყო, რომ ვერ ვუძლებდი სხვათა ცხოვრებას. ამისათვის არც ასაკი მყოფნიდა და არც გამოცდილება. ლექსები ლექსებად, მაგრამ სხვა მხრივ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, მიყვარდა ჩემი კლასელები და მათთან თამაშს არაფერი მერჩია. ამ პუბლიკაციის გამო კი ჩემგან რალაც განსხვავებულს ქმნიდნენ და მოითხოვდნენ.

მეორე უბედურება ის იყო, რომ პოპულარობამ თავიანთსმცემლებთან ერთად მოშურნენი და ავისიმოსურენიც ბევრი შემძინა. ჯერ ერთი, დაიწყო გაუთავებელი მსჯელობა იმაზე, რომელი რომელს ვჯობდით — ეკა ბაქრაძე თუ მე?

კიდევ კარგი, პოეზიას მაშინაც არ ვუყურებდი როგორც სპორტს და საკითხი მე თვითონ შინაგანად ასე არასოდეს დამიყენებია. გულწრფელად მომწონდა და მიხაროდა ეკას ლექსები, მაგრამ მე იმიტომ ვწერდი, რომ მეგონა, ჩემს დასაწერს სხვა ჩემსავით ვერავინ გადმოსცემდა.

ეს ამბები რომ ატყდა, ბედად, ერთი საინტერესო ამბავიც დაემთხვა. ზაფხულის დასაწყისში ეკას კლასი ლაშქრობაზე წამოეყვანა მათ დამრიგებელს, მათიკო მასწავლებელს. მათიკო ძველი, გამოცდილი პედაგოგი იყო. კარიერის დასაწყისში ერთხანს ჩვენს სოფელშიც ემუშავა და, თუ სწორად მახსოვს, მამაჩემის მასწავლებელიც კი ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში, დედაჩემს მისი დანახვა ძალიან გაუხარდა, თან გზის მაჩვენებლად გამაყოლა და მათიკო მასწავლებელს სთხოვა, უკანა გზობაზე აუცილებლად შემოგვიერთო. ჩვენ წავედით, მთელი ნაბახტევის მინდვრები მოვიარეთ და როცა ხალისიანი ჟივილ-ხივილით სოფელში ჩამოვბრუნდით, დედაჩემმა არაჩვეულებრივი სუფრა დაგვაგვიყვანა.

ეკა, როცა უფროსები არ აკონტროლებდნენ, ძალიან ბუნებრივი და საყვარელი ბავშვი იყო და დედაჩემზე, ეტყობა, ამან ძალიან იმოქმედა. სტუმრები რომ გავაცილებთ, მკაცრად გამაფრთხილა: არასოდეს შევიგო, აპყვე იმ ამბებს, რასაც ამ ბავშვზე შენამდე მოიტანენ! უხვად, რა კარგი გოგო ყოფილა! თან გახსოვდეს: შენ ბიჭი ხარ, ის კიდევ გოგონაო!

საერთოდ, არ მინდა, უმადურობად ჩამეთვალოს ყველა იმ ადამიანის მისამართით, ვინც მაშინ დამეხმარა, მაგრამ, ალბათ, მაინც უნდა ვთქვა, რომ სწორედ ჩემი ამ გამოცდილების გამო სასტიკი წინააღმდეგი ვარ ბავშვის ნაწერების ადრეულ ასაკში დაბეჭდვისა. იმდენ რამეს გიფუჭებს, ისე გთრგუნავს ნაადრევი პოპულარობა თუ აჟიოტაჟი, რომ შეუძლებელია, ამის საპირონოდ ბეჭდვამ რაიმე ხეირი მოგიტანოს.

ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, თუ (ღმერთმა დაიფაროს და!) მომავალში ჩემი შვილი კალმისაკენ გაიწევს, ეს ამბავი, ჯერ ერთი, არაფრით გამახარებს და, მეორეც, ყველანაირად შევეცდები, მისი ნაწერები საზოგადოებას ადრეულ ასაკში მაინც მოვარიდო.

ნიჭი ძალიან იდუმალი რამ არის. ის შენს ნამდვილ სახლს ჰკავს. ბავშვობაში ლექსების ყოველი დაბეჭდვას ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მდევნიდნენ თუ ჩემდაუნებურად საკუთარ თავს ვდევნიდი ამ სახლიდან...

ლექსების წერისას კი დღემდე არ მტოვებს იმისი შეგრძნება, თითქოს წინა ღამით ნანახ სიზმარს ვყვებოდი.

და როგორ ფიქრობთ, ჭკუათმყოფელმა ადამიანმა რამდენ კაცს, საერთოდ, ვის შეიძლება მოუყვეს თავისი სიზმრები?! კოლექტიურ სამსჯავროზე გამოტანა სიზმარსაც უკარგავს იდუმალებას და მთხრობელს, თუ მთლად შლევად არა, ცოტა დაცურებულად მაინც მოგაჩვენებს...

ბიბლიოთეკაში მივდივარ, ნანი დეიდასთან. ხაზურში სამი ბიბლიოთეკაა და სამივეში ჩაწერილი ვარ. ორი საბავშვოა და ერთი ცენტრალური. სამივეს თანამ-

შრომლები მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით ამ „საბავშვოების“ ქალებთან მისვლა მიხარია. პირველ საბავშვოში მანანა, ელიკო და რუსიკო დეიდები არიან, მეორეში — ნანი, თამარიკო და ჯილადა. ყველა ერთმანეთზე სიყვარულიანი და კარგი ადამიანია. ამ მეორე საბავშვოს ნანი ჩარეკიშვილი ჩემი დის, ლალის მეზობელია, ერთი დობე ჰყოფს მათ ეზოებს და ნანისთან გვაქვს მე და ჩემს დისშვილს მთელი ბავშვობა გაატარებულა. მოგვიანებით, ნანიმ, საერთოდაც, მონათლავ შორენა და ასე კიდევაც დავეხმარებოდა.

ბიბლიოთეკაში გია ზვიადაძე მხვდება და ძალიან მიხარია. გია ახლა უკვე სასულიერო სემინარიის სტუდენტია და წვერიც მოუშვია, მაგრამ დიდი ხნის წინათ, როცა ერთმანეთი ვაგიცნობდით, ჯერ კიდევ ბავშვი იყო და ხაშურის ახალგაზრდულ ნაკრებში ფეხბურთის თამაშობდა. პერსპექტიულ მოთამაშედაც ითვლებოდა, მან კი, ყველასათვის მოულოდნელად, ფეხბურთის თამაშს თავი გაანება და სასულიეროში სწავლა გადანიშნა, თუმცა მისი არჩევანი მე არ გამეკვირვებია. ერთმანეთი ბავშვობაში ვნახეთ პირველად. აღარ მახსოვს, ნანიმ თუ თამარიკომ, ყოველ შემთხვევაში, მეორე საბავშვო ბიბლიოთეკის რომელი-ღაცა თანამშრომელმა ერთხელ მითხრა: აქ კიდევ ერთი ჭკვიანი ბიჭი დადის. შენსავე ისიც ობოლია, ოღონდ, შენგან განსხვავებით, ის საბავშვო სახლში იზრდება. ძალიან უცნაური ბიჭია, მაგრამ, მე მგონი, რომ გაიცნობ, მოგეგონება და დამეგობრდებით. ბევრს კითხულობს.

ფეხბურთელი ბიჭისა და ჩემი მეგობრობა ვერაფრით წარმოგვიდგინე, მაგრამ გია პირველივე ნახვისთანავე მომეწონა და რაღაცნაირად შემეყვარდა. ფეხბურთზე ჩემთან არასოდეს სიტყვა არ დაუძრავს, სულ ღმერთზე მელაპარაკებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ნალაპარაკები ჩემზე ძალიან მოქმედებდა, მაშინ მერჩივნა, ისევ ფეხბურთზე ესაუბრა.

საქმე ის იყო, რომ გია ისე გელაპარაკებოდა მიღმიერ სამყაროზე, თითქოს იქ შინაური კაცი ყოფილიყო, თითქოს ეს იყო მისი ნამდვილი საცხოვრისი და ამ ქვეყანაზე რაღაც ავი ბედისწერით მოხვედრილი, ახლა ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რა კარგი იყო იქ, საიდანაც მოდიოდა და რა ცუდი იყო აქ, სადაც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა...

მე კი ჩემი ტრანსცენდენტული გატაცებების მიუხედავად, მაინც ამ ქვეყნის კაცი ვიყავი. უფრო სწორად, მიყვარდა ეს ნუთისოფელი და ცხოვრებას სასჯელად კი არა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც უფლის საჩუქრად აღვივიამდი.

გარდა ამისა, მე ყველაფერში დაეჭვება მჩვეოდა, რწმენასთანაც შეკითხვების გზით მივდიოდი და, გიასგან განსხვავებით, არ შემეძლო, უხილავი ერთბაშად და უპირობოდ მერწმუნა.

ბიბლიის კითხვისას დაგროვილ შეკითხვებს კი, რა თქმა უნდა, გია ზვიადაძეს ვუსვამდი და ზოგი შეკითხვა ჩემს მეგობარს იმდენად მკრეხელური ეჩვენებოდა, რომ ჩემი უსჯულოება აშკარად მოთმინებას აკარგავინებდა.

მე კი მეტი გზა არა მქონდა, უფრო სწორად, რწმენისკენ მიმავალი ყველა გზა ჩემთვის მაშინ სწორედ გიასთან მიდიოდა, რადგან ხაშურში ჩემს ბავშვობაში სულ ერთი მღვდელი იყო, მამა აკაკი, რომელსაც ყველა მინაგოს ეძახდა. თუმცა არა, შემეშალა: იყო მეორეც — ჯუმბერია. მაგრამ იმას მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. მამა აკაკი კი რამდენჯერმე სოფელშიც მენახა. მამაჩემსაც სწორედ მან აუგო წესი და მიუხედავად ხალხის ავადებული დამოკიდებულებისა, მე ეს კეთილი მოხუცი რაღაცნაირად ძალიან შემეყვარდა.

გვიან მივხვდი ამ სიყვარულის მიზეზს. შეიძლება, დიდი თეოლოგიური განათლებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ თავის საქმეს პატიოსნად ემსახურებოდა. ნამდვილი მსხემივით დადიოდა სოფელსოფელ და არცერთი დაბადება, ქორწილი თუ სიკვდილი უშისოდ არ ჩაივლიდა.

მინაგო დაბადებასა და სიკვდილს შორის მოხეტიალე კაცი იყო და თავისი საქმის სანაცვლოდ, ბევრი ახლანდელი მისი კოლეგისაგან გასხვავებით, არაფერს მოითხოვდა. მოგვიანებით ვაგარკვეე მისადამი ჩემი პატივისცემის კიდევ ერთი და, ალბათ, უფრო მთავარი მიზეზიც:

დროთა განმავლობაში, როცა ხალხი ეკლესიისაკენ შემობრუნდა და რწმენაც მოდურად აიტაცა, ბევრმა მღვდლობაში

დიდი სარფა დაინახა, მამა აკაკი კი სრულიად ურწმუნო საზოგადოებას ღვთისაკენ თითქმის უანგაროდ მიიხმობდა და მათ ქირქილსა და ქილიკს არაფრად მიიჩნევდა. მე ვიცი, რა ძნელია ქართლელების როყოი ქილიკი და რამხელა რწმენა გჭირდება ადამიანს, რომ იქ ამ ყველაფერს არათუ გაუძლო, არაფრად მიიღო.

მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ რელიგიურ საკითხებში ჩემი მთავარი დამკვალიანებელი მაშინ სწორედ გია ზვიადაძე იყო და ძალაუფლებურად, უნდა გამეძლო მისი შემოყვარებისათვისაც, როცა რამე არასათანადო მოტივირებული ან მკრეხელური მოეჩვენებოდა. მოკლედ, თან თავისკენ მიზიდავდა და თან უკიდურესად მაღიზიანებდა მისი უჩვეულო თავდაჯერება.

მე ცოდნის ერთადერთ წყაროდ მაშინაც წიგნს ვაღიარებდი და როცა რაღაცაზე ვკითხავდი, საიდან იცი-მეთქი და ზვიადაძე თვალებს ზემოთ ალაპყრობდა, მზად ვიყავი, მიმეხრჩო. ოღონდ ყოველთვის მახსოვდა, რომ ობოლი იყო და ჩემი თავისგან გასხვავებით, ის ყოველთვის რაღაცნაირად მებრალეობდა, თითქოს იგივე ცოდვის კალოს ჩემს გაბურძნულ თავზეც არ ეტრიალოს.

გია რომ სემინარიაში ჩაირიცხა, შორიდან გავიგე და გულით გამიხარდა. იმის შემდეგ კი პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს და, რა თქმა უნდა, მივეულოცე, მითხრა: კარგია, რომ სტუდენტი გამხდარხარ. ამ დღეებში საფარაში წასვლას ვაპირებ და თუ გინდა, წამოდიო. შევთანხმდით, რომ წავიდოდით და იქ ჩემს მოძღვარს, მამა სერგისაც მოვინახულებდი.

საფარაში პირველადაც გიამ წამიყვანა. ეს ჩემს სტუდენტობამდე რამდენიმე წლით ადრე მოხდა, მეცხრე თუ მეათე კლასში ვიყავი. მე, გიას მეგობარი — დათო, თვითონ გია, გიას მიუღწევი ლალი და ჩემი საერთო მეგობარი ცირა დიდებულიძე დათოს მანქანით წავედით სამცხეში.

ადრეული გაზაფხული იდგა. ვნების კვირა ახლოვდებოდა და გიას რჩევით გადავწყვიტე, ის დღეები მონასტერში გამეტარებინა.

გუდა-ნაბადი უცებ ავიკრიფე, ჩემს დას კი დაუზარე, სად მივდიოდი, მაგრამ სკოლაში, ცხადია, არაფერი მითქვამს. ახლა შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ იმ დროს კომუნისტები ჯერ კიდევ მყარად იდგნენ ვნებზე და მთელმა ჩემმა მოსწავლეობამ ისე ჩაიარა, რომ აღდგომის კვირას სადაგი დღე საგანგებოდ გადმოჰქონდათ და კაი დედის შვილი იყავი, გაკვეთილები გაეცდინა ან, მითუმეტეს, ჯიბეში და ჩანთაში წითელი კვერცხები გდებოდა.

მწარედ მახსოვს, ერთხელ სკოლის დირექტორის მოადგილემ როგორ გვიპოვა რამდენიმე ბიჭს შეღებილი კვერცხები და, ამ სიტყვების პირადაპირი მნიშვნელობით, თავზე დაგვათხლიშა.

ამიტომ სკოლაში იმის გამოცხადება, მონასტერში მივდივარო, ხარაკირის უდრიდა. ჩემს დას ექიმი მეგობარი ჰყავდა, დავანერჩინე ცნობა, რომ ავად ვიყავი და... სამედიცინო გავემუშე.

მახსოვს, იმ გზამ ჩემზე გამოგნებლად იმოქმედა. ახალი გაზაფხული იდგა და ბორჯომის ხეობაში ხეები უკვე გაფოთლილიყვნენ, სამცხეში კი ჯერ კიდევ შემორჩენილ ლილოჭრილოებზე თოვლის ფითლებს შუა კონახურის ბუჩქები ბრდღვილებდნენ.

მონასტერმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თითქოს უეცრად სულ სხვა სამყაროში მოვხვდი, სადაც არათუ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყავი, სხვანაირად უნდა გემეტყველა. ამიტომ როცა გია ზვიადაძის ნაცნობმა, იქაურმა მორჩილმა, ლევანმა ზვიადაძეს ფეხბურთის მატჩებზე გაუბა ლაპარაკი, მახსოვს, ამან უკიდურესად გამაღიზიანა. არადა, ეს ლევანი ძალზე კარგი ადამიანი იყო. ნამგზავრებს მოგვხვდა, დავაპაურო, ცოტა ხანს დავგასვენა და გიას უთხრა, თუ შენი მეგობარი აქ დარჩენას აპირებს, შუადღის ლოცვამდე მიდი და მონასტრის წინამძღვარს — მამა სერგის — ნებართვა სთხოვეთო.

წინამძღვრის სენაკები ტაძრიდან მოშორებით იდგა. მეორე სართულის კიბეები ავიარეთ და ზვიადაძე ერთ კართან შეჩერდა. მაშინ პირველად მოვისმინე, როგორ ითხოვენ შესვლის ნებართვას მონასტრის საძმომი. ზვიადაძემ ოდნავ

გასაგონად ჩაიჩურჩულა: „ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ!“ — და რამდენიმე წუთმა გაიარა, სანამ კარს იქიდან ასევე სუსტი დაძახილი შემოგვესმებოდა: „ამინ!“

კარი შევალეთ და ხის ტახტზე ჩამომჯდარი, თავით ფეხამდე შავით შემოსილი, უჩვეულოდ მაღალი და ლამაზი კაცი დავინახე. ოღონდ მისი სილამაზე, ცხადია, მაშინ ვერ აღვიქვი, რადგან თვითონაც შავგვერემანს ტანთაც ყველაფერი შავი ემოსა და ამ სიშავემ უცებ რაღაცნაირად დამაბრმავა. შემეძინდა და უკან დავიხიე.

მამა სერგი წამღერებით ლაპარაკობდა და ისე გვიყურებდა, რომ ჩვენი დანახვა აშკარად არ ესაიბოვნა. უფრო სწორად, მზერამი იგრძნობოდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვან საქმეს მოვწყვიტეთ და ერთი სული ჰქონდა, ჩვენგან თავს როდის დაიხსნიდა.

გიას თხოვნაზე, თუ შეიძლება, ჩემი მეგობარი ვნების კვირას აქ გაატარებსო, უარი არ უთქვამს, ლევანს დაუძახა და უთხრა, სად უნდა დავებინავებინე. მორჩილთა სენაკებში, ერთ პატარა ოთახში შემეძღვნენ და საღამომდე თავი დამანებეს.



მონასტერში საოცარი სიმშვიდე და ნესრიგია. ლევანმა ლოცვანი მომცა და ახლა დიდი მონდომებით ვიზუპირებ ყველაფერს, თან ვსწავლობ და თან წასწავლს უკვე ტაძარში ვიმეორებ. დღე დილის ხუთ საათზე იწყება და ვცდილობ, ამ რეჟიმს შევეჩვიო. აქ, საერთოდ, ძალიან ცოტა სძინავთ — ოთხი-ხუთი საათი. მონასტრის წინამძღვარი კი, მგონი, სულაც არ იძინებს. მონასტერი დიდი არ არის, არქიმანდრიტი სერგი და ერთი მორჩილია. ძირითადად კი, სტუმრები არიან. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც ინსტიტუტიდან შრომით სემესტრზე გამოუგზავნიან და ახლა, ლამისაა, მოწყენილობისაგან თავისი დაემაართოთ.

ორი ძმაკაცი განსაკუთრებით გამომწვევად იქცევა. თავიდანვე არ მომივიდნენ თვალში.

მონასტრის ჩრდილოეთით დიდი ტყე იწყება. ტყესთან ხის მაგდა დასა და საღამომობით მონასტრის სტუმრებიც აქვე ვიკრიბებით. სტუდენტები სიგარეტს ეწევიან და ლაპარაკობენ. ერთი მათგანი, დიმიტრი, სიგარეტს მთავაზობს. მე უკვე კარგა სტაჟიანი მწველი ვარ, მაგრამ გადავწყვიტე, ამ ვნების კვირას თავი შევიკავო და ამიტომ ჩემზე რამდენიმე წლით უფროს სტუდენტს უარს ვებუბნები.

— უყურე შენ! რა ნესიერია! — ჩემზე ამბობს ისე, რომ თან თავის ძმაკაცს უყურებს, — შენ, ალბათ, არც სვამ და არც ქალებში დადიხარ! — ორივე იცინის და რაღაცნაირი ქედმაღლური თანაგრძნობით შემომცქერის.

სმით ნამდვილად არ ვსვამ, ქალებში სიარულს რაც შეეხება, დიდი გამოცდილება არც ამაში გამაჩნია. პასუხის მაგივრად ვწითლდები და დიდი ხანს ორი ძმაკაცი ავადებულად ხარხარებს.

— მოიცა და, შენ მართლა გნამს ღმერთი? — მეკითხება ისევ ის შავგვერემანი, გამხდარი ბიჭი და ისეთ ღრმა ნაფაზს ურტყამს, ლამისაა შუაზე გადაიპოს.

არ ვიცი-მეთქი, გულწრფელად ვპასუხობ.

— აბა, თუ არ იცი, აქ რამ მოგიყვანა?! ეს შეტენილი შრომითი „აბეზალოვკა“ რო არა, აქ რა გამაჩერებდა, ზღვაზე შევბერავდიო... რა ნამებო ეყრებიან ეხლა იქ უფასოდ! — მორიგი სიბრძნეს მაფრქვევს თავზე და თვალს ისევ ეშმაკურად მეგობრისკენ აპარებს.

ეს დიმიტრი კახელი ბიჭია, ჭუაძე. მისი ძმაკაცი, შედარებით თავშეკავებული, მეგრული კუჭავაა, საბა ჰქვია.

ვდგები და მოვდივარ. ჩემს სენაკამდე კარგა მანძილი უნდა გავიარო. სადღაც შუაში კი სატრაპეზო დგას. შიგნით შევდივარ. ღუმელი ენთება და ცოტას მაინც გავთბები-მეთქი, ვფიქრობ.

იქ მონასტრის სტუმარი ქალები ტრიალებენ, რომლებიც ჩვენგან განცალკევებით, მოშორებით მდგარ შენობაში ცხოვრობენ. ლონდა ჯიქია, თინა ჭაბუკიანი და ირინე დვალი. ლონდა და თინა ტელევიზიის თანამშრომლები არიან. საბავშვო პროგრამების რედაქციაში მუშაობენ და ამან ძალიან გამახარა, რადგან იქ ჩემთვის საყვარელი ერთი ქალბატონი — რუსუდან გამსახურდიაა მთავარი რედაქტორი.

ლონდა ჩემი „ნერგელი“ უფროსი მეგობრის — ნათელა მეხრიშვილის — მეგობარიც აღმოჩნდა და საერთო ენა მალე გამოვხახეთ; მაგრამ მე მაინც ირინე დვალთან ურთიერთობა უფრო მახალისებს. ირინე პროფესიით აღმოსავლეთმცოდნეა — ირანისტი — და გულს ვუნწყალებ, იმდენ რამეს ვეკითხები. ისიც ქრისტესმთიერი სიყვარულითა და მოთმინებით მპასუხობს შეკითხვებზე, ათას რამეს მიხსნის და მაკვლიანებს.

ვსხედვართ, ვლაპარაკობთ და უცებ მონასტრის წინამძღვარი შემოდის. მისი დანახვა ყოველთვის რაღაცნაირი მონინებით მაგვებს, ცოტა კიდევაც გავგრძობვარ. სიტყვაძუნწი ადამიანია. მიტოსავით ისიც კახელია, ჩეკურიშვილი, ოღონდ ამ უწვერული სტუდენტისაგან განსხვავებით, სიღარბისლითა და სიღინჯით არის სავსე.

— მამ, შენ ლექსებსა წერ, არა? — მეკითხება მამა სერგი.

კი-მეთქი, ვპასუხობ და ყურებამდე ვწითლდები. თან ჩემ თავზე ვბრაზობ, რომ ამხელა კაცმა გამათლება ვერა და ვერ მოვიმალე.

— ეგ ცუდია! კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ უკეთესი გახდები, თუ ლექსების წერას გადაეჩვიე! — მეუბნება ცივად, უემოციოდ.

— რატომ, მამაო, რას ვაშავებ? — ვეკითხები, მაგრამ ჯინით კი არა, გულწრფელი ნდობითა და ინტერესით.

— ჩვენ არ ვიცი, რამდენი რამით გვათამაშებს ეშმაკი! — მეუბნება და მაგრძნობინებს, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას არ აპირებს.

ლაპარაკი მართლაც სხვა თემაზე გადადის. რაკი მონასტერში პირველად ვარ, საეკლესიო კანონიკას ცუდად ვიცნობ და ყველაფერი მაინტერესებს. პრინციპში, ისიც კი არ ვიცი, როგორ უნდა ვილოცო სწორად და ამის საკითხავად, აბა, მამა სერგიზე უკეთეს ავტორიტეტს სად ვიპოვნე?

ჩემს შეკითხვას კი მონასტრის წინამძღვარი ისეთი მისტიკური იგავით პასუხობს, რომელიც არასოდეს მაგინყვდება და რომლის გამოც წინამძღვარიცა და მონასტერიც ლამის სამუდამოდ შევიყვარე.

თხრობის მანერა ისეთივე ნამღერებული აქვს, როგორც საერთოდ ლაპარაკი, ნელა გვიყვება და თან სიერცემი იმზირება, თითქოს რასაც ჰყვება, იმ ამბავს თვალნათლივ უყურებდეს.

„ერთ წმინდა მამას უწერია: ერთმა კაცმა ღვთის არსებობის შესახებ შეიტყო, გადანიშნა ყველაფრისათვის თავი დაენებებინა და თავი მთლიანად უფლის სამსახურისათვის მიეძღვნა. მიატოვა სახლ-კარი და ერთ უკაცრიელ კუნძულზე გადაბარგდა. დღე და ღამ ლოცვად იდგა და უმეტეს დროს მარხვაში ატარებდა.“

დიდმა ხანმა გაიარა და კუნძულს ერთხელაც მისიონერთა გემი მიადგა.

მისიონერებმა კაცი ნახეს, ვინაობა და იქ ყოფნის მიზეზი გამოჰკითხეს. როცა შეიტყვეს, იქ რისთვისაც განმარტობულიყო, ჰკითხეს, აბა, როგორ ლოცულობო და, განდევილმა ეს რომ აუხსნა, ლამის გაგიჟდნენ, ასე ლოცვა ვის გაუგონიაო.

ადგნენ და კაცს სწორი წესით ლოცვა და პირჯვრის გადაწერა ასწავლეს. მერე კი ისევ ხომალდში ჩასადნენ და გატყურეს. დარჩა კაცი მარტო, ლოცვა წამოიწყო და უცებ დაავინყდა, რაც მისიონერებმა ასწავლეს.

ინვალა, ველარ გაიხსენა და ხომალდს უკან გამოუდგა. ზღვაზე ფეხით გარბოდა და როგორც იქნა, კიდევ დაენია. მისიონერები გაოგნებულნი შეჰყურებდნენ. ჰკითხეს, რა გინდაო? კაცმა უთხრა, დამავინყდა, სწორად როგორ უნდა ვილოცოო.





გიორგი ლობჯანიძე

ჩემი უანჯრებიდან

თან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ ერთადერთი სწორი გზა ეკლესიური ცხოვრებაა, მხოლოდ ასე შეიძლება, რომ გადარჩეს ადამიანი. მშობლებს ძალიან დიდი ნინააღმდეგობა გაენიათ, მაგრამ საბოლოოდ ერთადერთი შვილის ურყევ ნებასთან მაინც ვერაფერი გაენწყოთ. ყველაფერი მიეტოვებინა და საფარაში წამოსულიყო.

სხვა ნებისმიერზე ადვილად დავიჯერებდი ამ ცვლილებას, მაგრამ დიმიტრი ჭუაძის ასეთი მეტამორფოზა, მახსოვს, მაშინ სასწაულის ძალას მივანერე. ამ სასწაულში არც თუ უკანასკნელი როლი კი მამა სერგის მტკიცე რწმენასა და, გნებავთ, მის პიროვნულ მომხიბლობასაც ეთამაშა.

საბა და დიმიტრი ახლა სწორედ არქიმანდრიტივით დინჯად და წამღერებით საუბრობდნენ. მაგრამ კი არ ჰბაძავდნენ, რაღაცნაირად ბუნებრივად გადაეღოთ ეს მანერა, როგორც მადლისა თუ ეკლესიური ცხოვრების ერთ-ერთი ნივთიერი გამოვლინება.

მათმა შემხედვარემ უცებ ვირწმუნე, რა ძალა აქვს სულიერებით ანთებულ და მოქმედ ადამიანს. მამა სერგი განდევნილების მიუხედავად, მუდამ გამოირჩეოდა სიკეთის თვისების განსაკუთრებული ნიჭით. რაც საფარაში სიარული და ვიწწყე, ჩემ თვალწინ ერთი მიტოვებული და იავარქმინილი მონასტერი სერგის მონდომებითა და ძალისხმევით სულიერების აყვავებულ და მოვლილ კერად გადაიქცა.

პირველად იქნებ მაშინ გავაცნობიერე, რომ მე სწორედ მოღვაწის ასეთი ტიპი მიზიდავდა: თავის გარშემო სიბჭვასაც კი ერთი ხელის გადასმით უცებ მსხმოიარე ბაღნარად რომ აქცევს...

სერგიმ პირველად ის იკითხა, ლექსებს კიდევ ვწერდი თუ არა, და როცა ვაიგო, ამ ეშმაკობისათვის თავი ჯერაც არ დამეხებებინა — რბილად, მაგრამ კვლავაც გვარიანად დამამუხანათა.

საღამოს კი, ტრაპეზის შემდეგ, თავის საოცარ ამბავსაც მოგიყვია: სტუდენტობა უკრაინაში გაეტარებინა, იქაურ უნივერსიტეტში იურისპრუდენციას შეისწავლიდა და როგორც თვითონ თქვა, ძალზე მძიმე ცხოვრებას ეწეოდა.

დეტალები არ დაუკონკრეტებია, მხოლოდ ოხვრით გვაგარძნობინა ამ სიმძიმის ხარისხი.

თქმით კი ეს გვიტხრა: ბოლო კურსზე ჩხუბი მოგივიდა, მაგრამ მცემეს და რაღაც ჭაში ჩამაგდეს, რომლის ლუკიც, უკეთეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ თუ იღებოდა. გონზე კარგა ხნის შემდეგ მოვედი და როცა დავინახე, სად და რა ყოფამიც ვიყავი, ლოცვა წამოვიწყე. ჩემბურად ვლოცულობდი, ვამბობდი: ღმერთო, ოღონდ ახლა გადამარჩინე და აქედან გამიყვანე და საერთოდ შენს გზაზე წამოვალ-მეთქი. კარგა ხანმა გაიარა და მე შეუჩერებლად ვლოცულობდი. უცებ მოხდა სასწაული, რაღაცა ძალამ ჭის ლუკი გადასწია და საშუალება მომცა, სამზუოზე ამოვსულიყავი. ეს ჩემთვისაც კი ისეთი დაუჯერებელი ჩანდა, რომ ბევრი აღარ მიჭოჭმანია, ავდექი და სასწავლებლად სასულიერო აკადემიაში გადავედი.

მონასტრის წინამძღვრის ამბავმა გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ ამბის შთაბეჭდილებით მეც მთელი ღამე არ დამძინა. სენაკის კუთხეში ვიდექი და ვლოცულობდი. თან მახსოვს, ღმერთს ვამუნათებდი — ღმერთო, ყველას რაღაცა ნიშანს აძლევ, აგრძნობინებ, რომ მის გვერდით ხარ, მე კი რატომ მიმატოვე, რატომ ერთხელ, მინიშნებით მაინც არ გიგარძნობინებია, რომ აქვე მყავხარ-მეთქი.

მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, ახლა კი ზუსტად ვიცი და მტკიცედ მჯერა, რომ სწორედ ღვთის ნიშანი, მისი გვერდით დგომის დასტური იყო ჩემთვის ყველა ის კარგი ადამიანი, რომელთან შეხვედრის ბედნიერებაც მერგო ცხოვრებაში. ამ ადამიანთა შორის კი, რასაკვირველია, ერთ-ერთი გამოირჩეული ბრძანდებოდა ჩემი პირველი მოძღვარი მამა სერგი. მიუხედავად იმისა, რომ მონასტრიდან წაჩქარევად მომიწია წამოსვლამ, რადგან მივხვდი, რომ ეშმაკი მართლაც ყველას

მისიონერებმა უთხრეს: როგორც აქამდე ლოცულობდი, ისე განაგრძე. ვერა ხედავ, წმინდანი გამხდარხარ! წყალზე ფეხით სიარული შეგიძლიათ!

მაშინ ამ მონათხრობმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. ჩემმა ძვირფასმა მოძღვარმა ამით უაღრესად მნიშვნელოვან რამეს მიმახვედრა: მთავარი იყო, გულწრფელად მელოცა და ღვთისთვის დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორ ვილოცებდი.

თუმცა ეს იმასაც არ ნიშნავდა, რომ არ ესწავლებინა, რა როგორ უნდა გამეკეთებინა. სწავლას დიდი ხანი სჭირდებოდა და მამა სერგიც ხან დარიგებით, უმთავრესად კი პირადი მაგალითით მასწავლიდა, როგორ მოვექცეულიყავი.

წელ-წელა ძალიან შევეთვისე, ერთადერთი ისღა მიკლავდა გულს, რომ მოძღვარი პოეზიასა და პოეტებს არაფრით სწყალობდა. უფრო მეტიც, ამ საქმიანობას ეშმაკეულად თვლიდა და დაბეჯითებით მიმეორებდა, რომ კალამი სასწრაფოდ უნდა მომეშორებინა.

ერთი-ორჯერ, ტყის პირას ჩამოგვდარმა, მთხოვა, ჩემი რამდენიმე ლექსი წამეკითხა. შევეცადე, ისეთი ლექსები შემერჩია, რომ ძალიან აღვირახსნილი არ მოვჩვენებოდი. მან კი ეს „კდემამოსილი“ ნიმუშებიც გულსუნადინოდ მოისმინა და ბოლოს ერთი ღრმად, თანაგრძნობით ამოიხორა.

ის აღარ უთქვამს, რამდენი რამით გვათამაშებს ეშმაკიო, მაგრამ ეს ამოოხვრა რაღაც უფრო მძიმე შეფასებას გულისხმობდა.

კვირის ბოლოს ზიარებაზე მისულსაც დამაყვედრა — აბა, ლექსებს რომ წერ, როგორ გაზიარო, მაგრამ საბოლოოდ, ეტყობა, შევეცოდე და ეს ცოდვა თავის თავზე აიღო.

ის აღდგომა არასოდეს დამავიწყდება. ალბათ იმიტომ, რომ მაშინ პირველად გავიმარჯვე საკუთარ თავზე, მთელი კვირა გავძელი უსივარტოდ და არც სხვა რამ ხორციელ ცდუნებას ავყოლილვარ. ერთადერთი ჭუაძე და მისი ძმაკაცი ჩამრჩნენ ხინჯად და თავს ვუჯავრდებოდი, რომ მათი ქირქილის პატიება ბოლომდე მაინც ვერ მოვახერხე.

მონასტრიდან მომავალს გული მწყდებოდა ყველაფერზე: საოცარ ბუნებაზე, ტყეში ჩაფლულ ულამაზეს ტაძარსა და ჩემს მშვიდ სენაკზე. მორჩილი ლევანი და მამა სერგი კი უკვე გზაშივე მენატრებოდნენ.

მეორე გაზაფხულზე საფარაში ისევ ავედი. გზაში შემიგვიანდა და ამიტომ მონასტრის შებინდებისას მივადექი. ლევანი შემომეგება. ბარგი სენაკში დავანყვე და ტყის მხარეს კლდედან გამომავალი წყაროსკენ გავემშურე. მორჩილების კელიებთან ორი საბურღი შემოსილი ახალგაზრდა ბიჭი დავინახე. თავიდან უცხოებად მივიღე, მაგრამ ახლოს მისულს მოულოდნელობისაგან გული ამიჩქარდა: საბა კუჭავა და, რაც მთავარია, დიმიტრი, სწორედ ის დიმიტრი ჭუაძე, მე რომ მეუბნებოდა წინა ზაფხულს, ღმერთი თუ არ გნამს, აქ რა მოგარბენინებდაო. მორჩილის სამოსელში გახვეულები იდგნენ და ამჯერად უკვე არა ქედმაღლურად, არამედ ალაღად მილიმოდნენ...

ოდნავ მოგვიანებით ისიც გამოირკვა, რომ ბიჭები ძალიან გამოცვლილიყვნენ. სადღაც გამქრალიყო მათი როყიო ტონი, სხვათა გაკილვის სურვილი და ხორციელი ვნებები, რომლებთან გამკლავებაც ვერ კიდევ ერთი წლის წინ ამკარად უჭირდათ. დიმიტრის ვკითხე, რამ გადაგანყვეტინათ აქ დარჩენა-მეთქი და მითხრა, შენ რომ წახვედი, იმის მერე კარგა ხანს დავრჩით, მამა სერგი ახლოს გავიცანით და მას-

სხვადასხვა რამით გვეთამაშება, მონასტერში დაყუდებულებს კი ისეთი განსაკუთრებული ოინებით, რასთან შედარებითაც პოეზია მართლაც „თამაშად და მიჩანს მღერად“, მამა სერგის სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა დღემდე შემომრჩა.

თუმცა იგი, მას შემდეგ, პრაქტიკულად აღარ მინახავს. სულ რამდენჯერმე და ისიც რაღაც შემთხვევით შევხვდი.

საქმე ისაა, რომ როცა მომდევნო წელს ისევ მივედი საფარაში, მამა სერგი იქ აღარ დამიხვდა. კახეთში გადაეყვანათ სამსახურად, მისი საქმე კი უკვე ბერად აღკვეცილი დიმიტრისათვის გადაებარებინათ.

ერთი ღამით დავრჩი ჩემს ძველ სენაკში, მეტი სურვილი კი აღარ გამჩენია.

ამას ხელი ერთმა უხერხულმა ამბავმაც შეუწყო. საღამოს, რატომღაც, გულზე დარდი შემომანვა. გადავწყვიტე, მონასტრისაგან მოშორებით ტყეში გამესეირნა და სიგარეტი გამებოლებინა. ტყის სიღრმისკენ წავედი და რადგანაც უკვე ბნელოდა, ცოტა შემეშინდა.

მონასტრის ტულაღეტი, უფრო სწორად, ორგანოფილიებიანი ფეხისალაგი იქვე, ტყის განაპირას იდგა. ვიფიქრე, გარეული ცხოველებისაგან ასე უფრო დაცული ვიქნები-მეთქი, ერთ-ერთ კაბინაში შევედი და სიგარეტს მოვუკიდე.

უცებ გვერდითა კაბინიდან ნერვიული ხველება მომესმა. მერე კი ვილაცია გარეთ გამოიჭრა და კარი გამეტვებით მიიჯახუნა.

ბედის უკუღმართობით, მონასტრის ახალ წინამძღვრსაც სწორედ მაშინ გასჭირვებოდა, სიგარეტის ბოლს კი შეეწუხებინა და გარეთ ამიტომაც გამოვარდა. თუმცა, დამლოდებოდა, რომ თვალდათვალ ენახა, ვინა ვბრძანდებოდი ასეთი თავხედი.

მოკლედ, მაშინ მე თეოდორემ დღე მანია, არავის ვუსურვებდი. კი არ შემავიწყებდა, პირდაპირ მლანძღავდა და ღვთის გარეგანს მეძახდა. მე კი ჩუმად ვუყურებდი და რის მამა თეოდორე, ჩემს წინ ისევ ის ძველი დიმიტრი იდგა, იმაზე უარესიც...

სიგარეტი რომ ცუდია, მე დღეს ბევრზე უკეთესად ვიცი, მაგრამ მაშინ იმასაც მივხვდი, რომ გაცილებით უარესია, როცა ადამიანი ისე წმინდადებდა, რომ ეს წმინდე ავიწყებს, როგორი ცოდვილი და ამღვრეული იყო გუშინ.

ასეთი ადამიანისა დღემდე ავაზაკზე მეტად მეშინია...

ეს მე, ცოდვილს, თორემ დიმიტრი რომ სწორ გზაზე იდგა და მე — მცდარზე, მერე და მერე თვალნათლივ გამოჩნდა: ის ახლა ყოველმხრივ დადასებული სასულიერო მოღვაწეა, მე კი ერთი მუჭა მტვერი, რომელიც დღემდე ლექსებს ვვლანბნი და სიგარეტს ვეჭაჩებ...

ჩემი მოძღვარი კი ბოლოს 1992 წლის ცივ ზამთარში ვნახე.

მაშინ ისე გამოჩნდა, რომ მართლა ამათამაშა ეშმაკმა და სანაპიროზე ჩავედი. ახლა როგორც მახსოვს, წყალში გადახტომას ვაპირებდი. მივდივარ, თან ადგილს ვარჩევ და ამ დროს ჩემს გვერდით მკვეთრად დამუხრუჭდა მანქანა. იქიდან ჩემი მოძღვარი გადმოხტა ანაფორის ფრიალით და ხელი დამიქნია. გაოგნებული დავრჩი, გავეცანე და პირდაპირ გაშლილ მკლავებში ჩავუვარდი. მომეფერა, თავზე ხელი გადამისვა და მუჭში 50-მანეთიანი ჩამიტენა...

იმ ფულით თავს მთელი თვე თავისუფლად გაიტანდი...

მეუფე თეოდორეც ბოლოს თბილისში ვნახე.

2001 წელს უწმინდესისა და უნეტარესის პირველი და ისტორიული ვიზიტი მზადდებოდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. მე ვიყავი მისი უწმინდესობის თარჯიმანი და ამიტომ ვიზიტის დეტალების შესათანხმებლად ხშირად მიწევდა საპატრიარქოში სიარული. ერთხელაც უწმინდესის მისაღებში ვიჯექი და თეირანიდან პასუხისმგებელი მუშაკების ზარს ველოდებოდი. ამ დროს მეუფე თეოდორე შემობრძანდა. ერთი შემომხედა, თავი ოდნავ დამიქნია მისაღებების ნიშნად და... ველარ მიცნო.

ცირა ყურაშვილი

უჯრულა თავშალი

დაბმვსდა სიბერემოვლილი მამიდა.

გადაპრიალებული სახის კანით, ცისფრად მოჟუჟუნე თვალებით, სუფთა და კრიალა ხელ-ფეხის ფრჩხილებით. ეგ იყო მხოლოდ, თითქმის ყველაფერი დავიწყნოდა თავის ცხოვრებიდან. რომ მეკითხა, იქნებ გახსენებოდა კიდევ, უბელო ცხენს რომ აჭენებდა სიყმანვილისას და ეს ამბავი ჟანგმოკიდებულ საკეტებსაც გაულებდა ბავშვობის სხვა მოგონებებსაც. აი, ზეკრის გოგირდის აბანოები, კვერცხისგულისსუნისანი აბაზანებით, გოგირდოვანი წყლების ჩქაფუნით, აბაზანაში ნეტარ გალალღაღებით, ნაუცბადევი ელდით — ორთქლიანი ნაკადის ნქრევა აბაზანაში შემოგლინავს უხსენებელთა. მიგრეხ-მოგრეხა მათი, კლაკვნა, ანდა ლივლივი თან გადაჰყვება ნაკადს ქალთა ნაბან-მნიკულში. აბანოს თავზედ წამოდგმული ხის სასტუმრო, ხის იატაკით, ხის კედლებით, სახურავი-კეცის ლორფინის, აყალო მინისფრად გახუნებულ, მიჯრით მინყობილ კრამიტებისა. გადასავლელი იქვე ბოგირზე, ლაშურას თავზე, მერე საცალღეო გზა, თუ ბილიკი, შეღმართი, ფიჭვის კორომი სისვისფერი ბუმბლით მოსილი. კრიალა ცა, ფიჭვების სუნთქვა, ნაბლი და ძელქვა, განთიადის იალკალი, მარქათალებით მფეთქავი და ტოტიდან ტოტზე მხტომილა თრითინების ფუმფულაკუდით ატაცებული. ფერდზე ქოხოლა, მათი ქოხოლა, თუ ქოხირა, ქოხზე უფრო ღარიბული რაღა იქნება. ქვემოთ, დაბლობში კაკლის ხეები, ღელე ლაშურა, შქერის ხეებით ჩაქარგული, გადაფარული. ამ ღელეში თავს იხრჩობდა ბებიაჩემი. აქვე, ლაშურას მეორე მხარეს წყარო ბაბუაჩემ მალაქიასი, ასეც იყო ამოკვეთილი, სანამ ლაშურა გადაშლიდა მკლავთა გადასმით — „მალაქიას წყარო“, „წყარო მალაქიასი“. შემორჩებოდა გარეშემოს „მალაქიას ნაყანები“, „მალაქიას ნიგვზები“, „მალაქიას ხეხილი“, პიტუნო, თუ პიტუნო, პიტო ხე და ახალნერგი, აპიტონიკებდა, რგავდა, გადარგავდა, უფრო სწორად, სხვისაში რგავდა სხვისთვის, რგავდა, ტოვებდა, იძენდა-ფანტავდა, პოულობდა-კარგავდა, საკუთარი საზოგადო ეგონა, ბაბუაჩემ მალაქიას, ნიადგ ბახუსს შეთამაშებულს — საზოგადო კი ისეც საზოგადო იყო.

აი, ბებიაჩემი ლაბანია — აქეთ, ოჯინჯარზე დაკიდებულ ქვაბთან მოტრიალე, იქით მაგრობალი დედლებით გარსმხვებული ჯიჯლაყას, ქათანაცერას, სუქანას და მოლოქას მხალს კეპავს ხის მოზრდილ გობზე. თუ ოჯახისთვის, თუ დამსვენებულთა პირის ტემოსთვის გახურებულ კეცებზე დაყრილ მუგუზლებზე თვალბამომწვარი. ახლაც თავს გადასდებს და დამსვენებულთა მჭადების ცხობით ფულს შეამატებს თავის ზანდუკს, ნითლებს, თუმნიანებს, ახალი სახლი უნდა ბებოს, აღარ უნდა ძველი ქოხირა. ამის მერეა, ლაშურას რომ მიეშურებს, მიექანება. რა ერქვა იმ კაცს? ვისზეც ეჭვობს მერე ბებია, დირექტორი და დიდკაცი იქაურობის, ვთქვათ თვითონ ის არ შეპარულა იმ ქოხირაში ბებოს ფულისთვის, ცოტაა განა, ვინც მონუსხა დიდკაცის სიტყვამ და სხვისი ცოდვით სული დაუნვა?

თავს იხრჩობდა ლაშურაში, რას დაიხრჩობდა, ზაფხულში კოჭზე თუ შემოგვწედა. გაზაფხული თუ იყო მაშინ, აბომბორებულს, აბორგებულს გამოსტაცეს ბებიაჩემი და მერე უსამართლო სასამართლო, მეთაკილე მოსამართლით, თანამშრომლებით, რას იპოვიდა იქ სამართალს მართალი ქალი? მხოლოდ ზეცაა, ჩვენი კოშკი სადაც იდგმება.

და აი, მამა, პატარა, სახემოთხუპნული, შავთვალა ბიჭი, აბანოს სარკმელს აბლოტებული, მოჭვრიტინე ცხელი წყლის ორთქლში გახვეული დედაკაცების. აი, მამიდაც, მაღალი და ჭრელთვალა გოგო, მკერდზე ნანწავით, მუქარანარე დაძახილით: ძირს ჩამოდი, ბიჭო, გუჯია! და მერე მისი მონაყოლი: „ვერ ჩამოვსხი, აბანოს კარნის ვერ ჩამოვფიქვე გუჯიე!“ და იქნებ დედას ეცებდა ბავშვი, ბებიაჩემი ლაბანიაც მოცლიდა, თბილ აბაზანას მიაკითხავდა, არც მას აწყენდა გოგირდოვან წყალში ქანება, დამსვენებულთა მჭადე-

ბის ცხოვრებას სიცოცხლეს ხომ არ ანაცვალავდა?

ზეკრის ცხოვრება, აბანოების კვერცხის გულისსუნიანი წყლების ჩქაფუნში, ნიფლიხების, ფიჭების და ნიგვზების სუნში. ხმელ შამბკაჭაჭში, თუ კაჭახუნში. თბილად ჩაცმულ, ნებიერად მოსიერად დამსვენებლბთან, ფიჭვის ხეებქვეშ „ჩაკარტიჩების“ მსურველთათვის ერთი „აბრაჰა ფოტოგრაფი“ ხომ აქაცა ჰყავთ, გრძელფეხებიან, ბორდოსფერ პლუშით მოფუთვნილ ყუთში თავშერგული, რომ თითო ჩიტი გამოუფრინოს. და პარჭუქებით მოფუთვით და მსვენებლბთან, ცეცხლზე შეხუხვულ ხორცის სუნში, ირგვლივ გაფანტულ, კეცზე დამწვარ ნაბლისა და ნიგვზის ნემოში, ვინ და საიდან არ იყრიდა თავს გოგირდის აბანოებზე და ინტერესსაც რა გამოლევდა მათადმი მკვიდრი გოგონას მიერ.

დაბადებული აბანოებთან, გათხოვილი იქვე, მაღალმთიან სოფელში, როცა ჩვენსას ჩამოვიდოდა, მთის მკაცრ ცხოვრებას დაგვიხატავდა, კლდის ტინებიდან როგორ ცვიოდა, იჩხებოდა ხეობაში მათი ხარ-ძროხა. აქედან მახსოვს სიტყვა — „ზარალი“ და მერე ჩვენს წარმოსახვებში, დაღრღინებულ კლდეებზე, კლდებანარაზე, თუ კოლოფებზე (ამ მხარეში ხომ კლდოვან მთას კოლოფიასაც უწოდებენ) დაბაკუნობდნენ მისი თხები კუნტრუშიბეკნით და სასანაულით მაინც კოლოფებზე რჩებოდნენ, მსხვილფეხა, კი ღრეში ცვიოდა.

მიკითხვ-მოკითხვის, ბარგის ამოლაგების შემდეგ მამიდას ყველანი აბანოში მივყავდით. უგოგირდო აბანოში, და ეს „აბანო“ ბავშვის ისეთ მოწინებულ გრძნობას აღძრავდა, როგორც „კანტორა“, ანდა სიტყვა „კოოპერატივი“. იქ, ვინრო, მაღალ, ორთქლით დანამულ კარადებქვეშ ქოშები ეწყო, სააბანოვე ხის ქოშები, აქა-იქ ზონარანყვეტილიც, უნდა გეპოვნა სალი ქოში, სიხარულით აღმოგეჩინა, რომ საზოგადო აბანოს ნამდვილ ნევრად გეგულავა თავი და დამტკბარიყავ იმ სურნელით, აქაფებულ მარწყვის საპონს რომ სდიოდა მამიდის ხელში და წლების მერე აღმოგეჩინა, მეზობელი ქალიშვილის ხელში დანახულ პანია ბალიშს (ის არ ისვამდა მარწყვის საპონს, ბალიშს ხვრეტდა და გამონურულ სურნელოვან, აქაფებულ სითხეს თავზე ისხამდა). ერქვა საუცხოო სიტყვა „შამპუნი“. დაგხსომებოდა იმ თაღებში საუბრის ექო, ცხელი წყლის ორთქლში მკრთალად მჩანი თეთრი ქალები.

რომ ვბრუნდებოდით აბანოდან ნითელ ლოყებით და მის შავნითელმწვანე თავშალს ქარი არხევდა, ვხვდებოდი, აბანო ბევრად მეტი იყო მამიდასათვის, ვიდრე უბრალოდ ტანის დაბანა. ასე იყო მთელი ბავშვობა. კიდევ გაშლიდა თავის რვეულებს, დედას მისცემდა — ეს ცოცხლის ნააკითხები და ვკითხულობდი მამიდის ნაჯავ თითებით შექმნილ მიაშიტობას. მას ხომ უფრო მეტი უნდოდა, ვიდრე ხენა, თესვა, მთის სოფელში ძროხების მწყემსვა.

და გავაგრძელებ: თბილი წინდები, სვიტრი ვუყიდოთ, მოვინახულოთ, აჰა, ფული, კიდევ რა უყვარს მამიდას, თუ გაიხსენებ? — მითხრა ჩემმა ძმამ.

ლამდებოდა, როცა „ცივიები“ ავიარეთ. დათოვლილი იყო გზა, ხოლო ის ადგილი, რომლისთვისაც „ცივიები“ შეერქმია მთის სოფლის მოსახლეობას, მოყინული, ხეობაში მდინარე ხანისწყალი მოსჩქეფდა. ძველ მანქანაში ბენზინის მძაფრი სუნის იდგა, მთის სოფლის გზებზე საჯავყავოდ მართლაც გამძლე ავტომობილი გვექირავა.

საბარგულში ტომარა ფეცილი, ზეთიანი ბიდონები, მაკარონები და ვერმიშელი, შაქარი და ტკბილეული, თბილი ჩასაცემილები გველაგა, მამიდის მოსანახულელებლად ხელდამშვენებული მივდიოდით. ვფიქრობდით, ასე ერთჯერადად გადაგვეხადა სიკეთე ჩვენი ბავშვობის იმ უთვალავი დღეებისათვის, როცა მამიდა მტვრიან შარაზე ჯავყავა ავტობუსიდან ჩვენთვის ბარგს ჩამოგვამდა, ამ ბარგს ჭიპკრიდან სახლამდე ნელ-ნელა აკლდებოდა სიმძიმე: ტყის შავ, თუ მავუთნასმით საგანგებოდ გაშავებულ გოჭს საღორეში უთავისუფლდებოდა ადგილი, აკრიახებულ, ფეხებგაკრულ ქათმებს საქათმეში, კვახებიანი ტომარა სარდაფში რჩებოდა, დანარჩენ ბარგს: პარკი ლობოს, ხმელ

ლობოს, თაფლიან ქილებს, სულუგუნს, მჭადის ფეცილს ჩემი და ჩემი დედამამიშვილების მრავლობითი მზერა ზევრავდა. მამიდის სიკეთემ ხომ მთელი ბავშვობა სული ჩავვიტევა, ავდრიანი დღეები მოგვიმზიანა.

მაგრამ მას უკვე დავინწყნოდა ეს ყველაფერი, მხოლოდ მცირეოდენი რამ ახსოვდა ჩვენი და მისი ბავშვობიდან. იჯდა სანოლზე ვარდისფრად ალუბული, ლამის უნაოჭო ღანვებით, და მაინც ისე, როგორც პატარა, მოხუცი ჩიტი, სუფთა, კრიალა ხელფეხფრჩხილებით, სიბერის-მომვლელ შეილრძალვარამდახვეული. მეხსიერების ძველ ზანდუიდან გაუჩხრეკლად ამოჰქონდა ჩვენი სახელწართაულები, მამის მიერ შერქმეული და მამიდისვე მომგვანებული: ჩემთვის — ცოცხალი და პაატასთვის — პატატული, მას უკვე აღარ ადარდებდა, არც ფეცილი, ზეთი და შაქარი, არც რამ ქვეყნის სიდუხჭირე, გულში იხუტებდა ჩვენგან მიძღვნილ უჯრულა თავშალს, გვიყურებდა და მღეროდა.

### წყალდიდი

სელისბულისსიფართო ეზო გვაქვს, ხომ ვთქვი — ხრიოკი, მწირი და მყარად დატკეპნილი. არა, არ გვეოფნის, განვრცობა სჭირდება ჩვენს სახტომ-სათამაშო ადგილს და, აი, წყალჭალაც აქვია, ჩვენი ბავშვობის მდინარით. ვინრო ბილიკით



დავეშვებით ჭალაში, ჯერ გვირილიან მინდორზე გავიკუნტრუშებთ, მერე დამრეც ფერდს ჩაუყვებით და თხმელის ბუჩქნართან მოვიჩრდილებთ. თხმელა ამოყრიდა მდინარის ნაპირას, ნაცრისფერი ლიპების ახლო-მახლო, სილა-ქვაში და მის სუსტ, თხელ, დრეკად ტოტებს მობანავეთა სველი პირსახოცები, პატარა საცვლები გადაჰფენია. ნიაჟი არხვეს ამ სუსტ ტოტებს და ქანაობენ მასზე საცვლები, როგორც სიცოცხლის ჩუმი დროშები. ნაცრისფერი ლიპებზე მდინარის პანია კაპილარები გადმონანილებულა, ამ კაპილარებში ჟრუანტელივით გაირბენენ ლიფსიტები და მზის გულზე გამთბარ ლიპე-გუბები ვერცხლის გლინივით ჩაიპნევიან.

ამ თბილ ნიაღში სხვა არსებებიც იჩეკებიან: ნერტილები თავა კუდიანები, ეს ნერტილები გუბებში დაჰქრიადა კუდეებს იქნევენ. ჩემი პატარა ძმები მათზე თითს იშვერენ და ამბობენ: ე, ე, თავკომბალები! უფრო პანანინები დედის კალამსაც ამოჰყვებიან ლურჯ მელნით სავსე თეთრ სამელნიდან, ლექსის პნკარებში ალაგალაგ სტოვებენ კუდეებს, ამ დროს დედა ლექსებს „უთეთრებს“ მამას მაღალ ჟურნალში.

წყლის ჩქერში დედა ჩამდგარა, ხის ბოგა-ხიდს ხელებით ეჭიდება, სველი თხელი თმა თავზე მიჰკვრია, ჩქერი აქანავებს, არბილებს და თევზით მოქნილს აჩენს მის ტანს და კაბას. და აჰა, ხიდიდან ჩვენც ჩახეტებით მის სიახლოვეს, შემინებულნი სველ კაბაზე დავეკიდებთ, რომ ჩქერმა შორს არ

გავგისროლოს და გავგიტაცოს. დედა ცალი ხელით ბოგას ეჭიდება, მეორე მაჯა ჩვენი წყალმაშველია, ტანს წყალში აცურებს თევზით. მისი კაბა წყალში იზმორება, როგორც მძინარე გაღვიძებისას. ქარი იტაცებს წყლის შხეფებს, სველ კაბის სუნსაც და ბრუვდება ჰაერი ამ გრილი სუნთქვით. ხიდქვემოთ ჩქერი ჩქარია, ძალზე ჩქარია ჩქერი, სხლტება, მიფრინავს. თუ დაყვინთავ, ხიდქვეშ გაძვრები. მაგრამ ხიდქვეშ ძრომიას ჩვენ ჯერ რას შევძლებთ? ჯერ დედის მაჯას და მის კალთას ვებლაუჭებით.

ეს ხიდი, ჩემი სიზმრების შტრიხი, ოდესმე ბენჯის ხიდად ქცეული, მასზე გადავივლი, თუკი შევძლებ, ამ სამყაროდან თავდაღწეული.

გალმა ხის სახერხი ქარხანაა, ფიცრით ფარდალადად შეჭედილი. ქარხნის მუშები ხიდის ბოლოს, ნაპირთან პურმარილს შლიან იშვიათად, უფრო საღამოს, ნამუშევარზე, ნახერხმეფრქვეულ, ჩახუჭუჭებულ მკერდს ჯერ წყალზე ჩამოიბანენ, მერე გაღვანლვადებიან კიდევ მდინარეში ნაცრისფერი, თითქმის მუხლამდე დაშვებული ფარფალია საცვლებით, სწრაფად გასცურ-გამოსცურავენ, რადგან ქალთა საბანაო, თუმიც ხიდი მათი ნამუშავეია... მოვა წყალდიდი, გაიტაცებს ამ ბოგა-ხიდს და მეტად აღარც გააკეთებენ, დაენანებთ შრომა წყალწასაღებად.

ქარხანაში რელსებია, მასზე ვაგონეტები დგას მოჭრილ ხეთა გადასახიდად.

ჩაფლულა, ბაბო ბებოს შვილიშვილი წევს, მშრალ ლიპეზე ქათქათა პირსახოცგაფენილი, პირისახეც თეთრი ქსოვილით შეუბურავს, მზეს ეფიცება. მას ნანა ჰქვია, სანახევროდ თბილისელია. ისე მაღალი და ჩამონაკვეთულია მისი ტან-ფეხი, ბავშვის უნებურ მოწინებს იწვევს. ის ხომ მაღალი ქალიშვილია. და თუ მოჭრილ ნაძვებს, ფიჭვებს არ შევადარებ, პირველად ვხედავ მზისგულზე ასე მწოლ გოგოს. სხვა გოგონები არასოდეს წვანან ნაპირზე, მორიდებულად სხედან თხმელისქვეშ, ან ლიპებიდან პინკად ჩაჰყოფენ ფეხს მდინარეში. ფეხის წვერი აქაფებენ ტალღებს, იციინან და მაღულად მზერას ელიან.

მერე გამოვლენ ქარხნის მუშები და იმ ადგილას, სადაც ნანა იწვა, პურმარილს გაშლიან. მანამ კი ნახერხს ჩამოიბერტყენ გულმკერდის ნაცრისფერი ხავსიდან, წინ ნაშვერილი ხელებით, ნაცრისფერი, ფარფალია საცვლებით, წყალში შეცურდებიან. მათ ნამუშავე ბოგა-ხიდაც მოეჭიდებიან შეძახილებით, ყვინთვითა და წყალში დგაფუნით. წყალდიდი მოვა, მაინც მოვა მერე წყალდიდი და გარტაცებს ამ ბოგა-ხიდს, მეტად აღარც გააკეთებენ, დაენანებთ შრომა წყალწასაღებად.

გათქმუნდა და წყალდიდი მოვა, ნაცრისფერ ფლატეს მოადგება გულამღვრეული, ღრიალით მოაქვს, მაღალ სოფლიდან, მთებიდან დაშვებისას მოხელთებული, ოფლით და ჯაფით ნაწყობი და ნაგროვები მთელი ხე და ტყე, ზოგჯერ თავთხელშიც შემოაგდებს, დაატრიალებს და აქ უნდა იმარჯვოს ვინმემ, კაუჭი მოსდოს, ნაპირისკენ შემოითრიოს მორი, როგორც ვეება ლოქო. შეშა გვჭირდება, ჯერ ცისფერი ალი არ ანთებულა ამ ჭალისპირზე, გზების გასწვრივ მხოლოდ ლამპიონები ანათებენ. ძველი, ათასგან სპირალგადაბმული ელექტროქურა დიასახლისის ჯოჯოხეთით და ისიც, ალუმინის მოკაუჭებული სათბურა, წყლით სავსე ემალის ლაგინს რომ აცხელებს, სახიფათოა, თითს მიაკარებდაგაჟრუალებს. ბუხარი სჯობს, ვინ დაინუნებს ბუხარში ნამზადს, ახლაც კეცში არ ხაფხაფობს დედის ხელით დაკრული ხაჭაპური? მეორე კეცში წინილაა შენითლებული და მაგიდაზეც ნივრის, მკვახე ყურძენ-ისრიმის და მაცვლის წვენით სანახევროდ მომთავრული თასია, შემწვარი წინილა რომ ჩაარბილოს, ჩააბუჭბუჭოს. არც სტუმარია, არც არაფერი, მაგიდის გვერდით მდგომი ტაბლის სტუმრებიც ჩვენ ვართ და მასპინძლებიც. მაგრამ ვჩქარობთ, ნებისად და გუნებისად არაფერს არ ვჭამთ, ვჩქარობთ ჭამისას, რადგან ათასი საქმე გვიცდის გარეთ: კოლოფების და ჭიების ძებნა ანკეხებისთვის, ერთი ჩვენგანი ტყემლის ხეზეც უნდა აცოცდეს, იქედან სჩანს მდინარის ფერი, ამღვრეულია, თუ დაინმინდა? ამღვრეულია? და იყო მერე ამღვრეული, ჩვენ რას შეგვიშლის? ნაპირზე მაინც შეიძლება თამაში, ცქერა, როგორ აგორებს ხანისწყალი აყალოფერად შეღებულ ტალღებს და მერე ერთხელ, დიდობაში ეს მდინარე დამესიზმრება, ოღონდ ფართო, ზღვადქცეული, მასზე წვრილ ხიდი, უნდა გადავიდეთ და გადავალ...

დამწენდილზე, კი სულ ტაატიტ ჩამოვივლიან კამერებით დიდი ბიჭები, ტრაქტორის საბურავებიდან გამოსხნილ შავ, გახეთქვამდე დაბერილ კამერებზე მეფეებივით ნებიერად მინოლიტები, ოღონდ მათ „ტახტრევენებს“ სული რომ არ გამოეპაროთ, დაზიანებულ ადგილებზე რეზინის ოთკუთხა ნაჭრები აქვთ გადაწებილი და მუხუემის დაყოლებიდან „კოპაძეების საბანაოს“ მოიზომავენ, „სვანიძეების ორემსა“ და სათავესაც ჩამოსცდებიან, შემდეგ წყაროებს, სადაც დედაჩემი პომიდორებს რეცხავს ჩვენთვის, რომ ყველსა და პურს მივატანოთ მდინარეზე მოშინებულთა. ყოველ საღამოს ემალის ყვითელ ჩაიდანასაც ავსებს წყაროს წყლით... რეზინის მრგვალ, გასკდომამდე გაბეჭდილ „ტახტრევენებზე“ ნებიერად მინდობილებს ჩამოატარებს მდინარის წყალი „ქალთა საბანაოზეც“, სადაც ჩვენ ვართ, ჩვენგან „ბიჭების საბანაოს“ ჩაცურდებიან, მეტზე არ სწვდება თვალსაწიერი, იქით რა ხდება, ჩვენ აღარ ვიცით, იქით მიდის, შორს მიდის და თვალთაგან იკარგება ჩვენი მდინარე.

საქართველოს ისტორიამ, ლიტერატურამ არაერთი შემთხვევა იცის იმისა, რომ თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეები იმავდროულად პოეტური სიტყვის ერთგული და გამორჩეული მსახურები იყვნენ.

მინდა უბრალოდ და გულწრფელად გამოვხატო ჩემი აზრი, ზოგი რამ ვთქვა ერთ მათგანზე, ამჟამად მოღვაწე არქიმანდრიტ მამა ადამზე (ვახტანგ ახალაძეზე).

თავიდანვე მინდა ვთქვა – ძალზე ფართოა მისი ინტერესების სფერო; გარდა იმისა, რომ ღრმად არის ჩახედული ფილოსოფიასა და ისტორიაში, გახლავთ კლასიკური მუსიკისა და მხატვრობის ჩინებული მცოდნე, დიდ საეკლესიო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, მამა ადამი ასევე თვალსაჩინო მეცნიერი და მედიკოსია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უზარმაზარი დამსახურება მამა ადამისა, რაც ერთი ახალი, უმნიშვნელოვანესი მეცნიერული დარგის საფუძვლიან შესწავლასა და მსახურებაში გამოვლინდა და რამაც თავი მოიყარა მის ხუთასგვერდიან, შესასურსი ცოდნითა და შემართებით დაწერილ ნიგნში „ბოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი“ (თბილისი, კობრა და აღენაუერის ფონდისა და თამარ მეფის უნივერსიტეტის გამოცემა, 2012).

„ბოეთიკაში...“ არაერთი უმნიშვნელოვანესი, საჭირობოროტო პრობლემაა დასმული, სხვადასხვა კუთხით შესწავლილი და პირუთვნელად გაანალიზებული. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ხელოვნური განაყოფიერება, ევთანაზია, დაბადებამდელი სიცოცხლე, ძალადობა, ნამება... ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადღებას იქონიერებს დამოკიდებული კატასტროფაზე, რაც დღევანდელი მსოფლიოს ერთ ნაწილთან ერთად საქართველოს უშუალოდ ემუქრება და მასზე დაუქრება სასიცოცხლოდაა აუცილებელი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. ამის გარეშე ჩვენს ერს მომავალი აღარ ექნება.

მეტად დასანანი და გულდასაწყვეტი, რომ ორი წლის წინ გამოცემული ეს დიდებული, ჭეშმარიტად უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი დღემდე ჯეროვნად ვერ შეაფასა ჩვენმა საზოგადოებამ, ასევე მეცნიერებმა. იგი, რამდენადმე, დედა ეკლესიის ყურადღების მიღმაც დარჩა.

ახლა კი მოკლედ, შეკუმშულად ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რაოდენ ფაქიზ დამოკიდებულებას ატარებს მამა ადამი პოეტური სიტყვისადმი.

2012 წელს გამოცემულმა მისი ლექსების მოზრდილმა კრებულმა „მარადისობის მონატრება შეზინდებისას“ იმთავითვე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის დამფასებელი მკითხველი საზოგადოების ცხოველი ინტერესი, უდიდესი ყურადღება და ფართო გამოძახილი ჰპოვა. ამაში ნამყვანი როლი უდავოდ უაღრესად თვითმყოფადმა პოეტურმა ენამ შეასრულა.

ნიგნში სრულად გამოიკვეთა ავტორის პიროვნება, მისი, როგორც შემოქმედისა და მამულიშვილის მრწამსი, ვისაც დიდად ანუხებს ჩვენი სამშობლოს დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობა და ხვალის დღე, ვისი მთელი მონადინება, ძალისხმევაც საქართველოს ჭრილობების მოშუშებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენაა მიმართული.

ახლახან წავიკითხე მამა ადამის (ვახტანგ ახალაძის) მეორე კრებული „ორმოცი ლექსი“ და მისი პოეტური აღმადრენით ადრე მიღებული შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამძლივდა.

ახალმა ნიგნმა ახალი სუნთქვა მოიყოლა!

„ორმოცი“ ადამიანთა ცნობიერებაში საკრალური, სიმბოლური რიტუალია და იგი შესაძლოა შეესაბამებოდეს ორმოცი დღე-ღამის მანძილზე ქრისტეს უდაბნოში ყოფნას, როცა მის ცდუნებას ამაოდ ლამობდა ბნელი ძალა.

მამა ადამიც მტკიცე, ურყევი რწმენის მქონე პიროვნებაა, ყველა გაჭირვებულის შემწე, ქომაგი, უამრავი კეთილი საქმის ნამომწევი და ბოლომდე მიმყვანი; ძნელად წარმოიდგენ, იგი რომელიმე ცდუნებამ, ქვენა სურვილმა სძლიოს, რადგან ღვთისა და ქვეყნის მსახურება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, თავის უპირველეს მოვალეობად გაუხედა.

თავიდანვე მსურს გამოვაცალკევო შემოქმედის ტრაგიკულ ხედვრზე ოსტატურად ჩაფიქრებული ლექსი „ეკლესია“.

აქ უცნაური სურათია წარმოსახული, თუმცა იმგვარად უცნაური, როგორსაც

მხატვრული ქმნილებისთვის დამახასიათებელი პირობითობა არა მარტო კარგად ჰგუობს, იხდენს კიდევ: პოეტს, ლექსების კითხვისგან „ქანცვანყვეტილს ავანსცენაზე“, ვარდების თაიგულს კი მართმევენ, მაგრამ ქუჩაში ამოვარდნილი ქარი ვარდის ფურცლებს ფანტავს და შინ მიბრუნებულს ხელთ არაფერი რჩება „ეკლესიის გარდა“. ფრიად ორიგინალური, უაღრესად მთამბეჭდავი, ღრმა აზრის შემცველი და სიმბოლურია ლექსის ფინალი, რომელშიც მშვენიერებისა და ხელოვნებისთვის თავშენიერული პოეტის ბედი იკითხება:

და ყოველ დილით ღამენათევი წყალს უცვლიდა – ინახავდა ნაჩუქარ ეკლებს გოლგოთისთვის...

სწორედ ავტორის ამ ზღვრამდე მისულმა ღიაობამ, გულწრფელობამ, მსხვერპლად ქცევის მზადყოფნამ დაანერინა ჩემი სიყრმის მეგობარს, ბრწყინვალე პოეტს დავით ნერედიანს მამა ადამის ახალ კრებულზე დართულ მცირე, მშვენიერ ნინათქმაში: „პოეზიასთან მისი დამოკიდებულება ყოველდღე უშეღავათოა, ყოველის მომცველი და განმსჭვალველი“.

ლამაზად შეკრული და „მირკანის“

### ემზარ კვიციანი

## ახალი ნიგნი, ახალი სუნთქვა

მიერ გამოცემული ეს ნიგნი – „40 ლექსი“ – ნაადრევად გარდაცვლილი დიდად ნიჭიერი მხატვრის მონოზონ ზოილეს (იდა თვარაძის) საუცხოო სურათებითაა მადლოფენილი, სადაც თვალს გვჭრის ხასხასა ლურჯი ფერი (იის, სუმბულის, გლიცინის, ისპანის, ლილიოს ნაზავი) და სამოთხის სადარი სილამაზით, დაცვარული მწვანე ფოთლებით მოგვირისტებული უეკლო თაიგულები შემოგვანათებენ... მამა ადამის ეს არჩევანი პატივის მიგებაა ნასული მეგობრისა და ძვირფასი ადამიანის ხსოვნისათვის (პირველ კრებულში აკი ლექსიც უძღვნა). გაახლდება ტკივილი და ბუნებრივი სურვილი, ჩვენმა საზოგადოებამ ამ იშვიათი სურათების შემქმნელის – იდა თვარაძის – უნატიფეს ნახელავთა გამოფენაც იხილოს და აღბრუნდეს!

პოეზიის მადლი ათას რამეში ვლინდება. ყველაზე მეტი ფასი აქვს იმას, როცა ბაგეზე მომდგარის ართქმა არ ძალგდის და შენი მდელვარე სულიდან წლობით ნაგროვები, უძილო ღამეებში ნალოლიავები სურათები ღვთაებრივი ნათელივით გადმოიღვრება.

ეს დაუოკებელი წადილი იგრძნობა ამ ნიგნის პირველი ლექსის პირველსავე სტრიქონებში, ავტორისათვის ყველაზე წმინდა, იდუმალ, ღვთაებრივ არსებასთან შეხმინებად რომ გვესახება და ძალთა წარმოუდგენელი დაძაბვით მონათმენ ტკივილს გვიმხელს:

ვერ შევძელი მეტარებინა ბაგეებით დუმილი შენზე – ეს სიჩუმე ვერ დავიტიე! დასისხლულიყვენე, დამსკდომოდნენ, მტკიოდნენ კიდევ ჩვენი თხელი, გალურჯებული ბაგეები – ჩემი და შენი...

სრულებითაც არ არის გასაკვირი – დღევანდელი დიდი ქალაქის სულისშემხუთველ, სამოგით გაჟღენთილ უჭაერო გარემოში, შუშისა და რკინა-ბეტონის ახორბლილ კონსტრუქციებს შორის, „ლითონის ქოლგის ქვეშ“ მოქცეულ ადამიანს სუნთქვა უჭირდეს და ძველ, პატრიარქალურ, სოფლურ ყოფაზე ოცნებობდეს, სადაც ყველაფერს განუმეორებელი გემო, სურნელი ჰქონდა, ბუნების ღვიძლ შვილად გრძნობდი თავს, არ გწამლავდა მიუსაფრობისა და მარტოობის შხამი. ამ დამთრგუნველ განცდას დაუფარავად, მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს დიდი თავისუფალი ლექსი „ფერების ჭადრაკის თამაში მეგაპოლისში“. აქ ვერაფერი ინარჩუნებს თავის ადრინდელ იერს, ელვისებურად იცვლება:


ბაბბა, თავდაპირველად ვარდისწყლისაგან, ჩემი სახის კანთან თითოეული შეხების მერე შავდება – რუხდება – ჭუჭყისფერდება – ემსგავსება ჩემი ფილტვებიდან ამოგლეჯილი ქსოვილის ნაჭერს...

ბნელისა და ნათლის, სიკვდილ-სიცოცხლის გაუთავებელ, მარადიულ ჭიდილს ვერც „ბაბილონის შთამომავალი ცეცხლოვანი მეგაპოლისი“ აუვლის გვერდს და თავბრუდამხვევ მეტამორფოზებს, უპირატესად, მრუმე, თაღბი, მწუხარების მაუსყებელი ფერები მოსავს; მოასპარეზეთათვის გამლილი ვეება დაფის შავ-თეთრი უჯრედები მახვილის დამტევ მეტაფორად არის მოაზრებული:

...და ამ უხილავი, შეუცნობი, არგავგონილი

ფერთა ომის მიღმა იმალება უდიდესი მისტერია – ეს სიცოცხლე და სიკვდილი თამაშობენ ფერების ჭადრაკს...

მოსალოდნელი იყო, მამა ადამი კვლავაც მიუბრუნდებოდა და თავისებურად შეასხამდა ხორცს ბიბლიურ, სახარებობისეულ მოტივებს; ძველ, საუკუნეებში გამოცხადებულ ურყევე სიბრძნეს ახალ სა-მოსელს მოუძებნიდა, თავისებურ სიღრმეს შესძენდა (გავისხენოთ მისი „ზაქეს ფიქრები მიმწუხრისას იმ დღეს, უფალი რომ ეწვია სტუმრად“, ან „მარადისობის მონატრება შეზინდებისას“). ახალ კრებულში შესული ამგვარი ლექსებიდან არაჩვეულებრივი სიმკვერივითა და მოქნილობით გამოიჩინება „ვნების კვირა“.



სხარტად ჩამოსხმული ყოველი ფრაზა ჯვარზე სანამებლად განწირული მაცხოვრის მინიერი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ასიმბოლოვებს, ყველაფერს ზედროულობის ტვიფარი აზის:

ვნების კვირა და თენდება ოთხშაბათი თეთრად – ვარდისფრად, ერთი მათგანის ამბორისყოფად, მოციქულის მახვილის ქნევად, გეთსიმანიის ზეთისხილის ხეთა სირცხვილად და იესოს გამცემთა კრილოსნად იქიდან დღემდის... ოთხშაბათიდან პარასკევამდე ხუთშაბათია.

..... პასეკი მოდის და თეთრად გვათენდება ნითელი პარასკევი.

ქრისტეს მოძღვრების ქვაკუთხედს ურთიერთსიყვარული და უპოვართა თანადგომა, სიბრალული წარმოადგენს. ამის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ მამა ადამის მთელი შემოქმედება: ნახეთ, რა განსაცვიფრებლად ემარჯვება უჩინარ, მოვალეობას შეწირულ, რეალურ პიროვნებათა ხელშეახლები პორტრეტების ხატვა! ასეთ დროს ლექსს ნოველის სახე ეძლევა. მრავალთაგან ერთს გამოვაცალკავებდი. ესაა „ანიკო გეგაძის გარდაცვალებაზე სოფელ არჩულში“.

თავიდანვე ცხადი ხდება, რაოდენ თავმდაბალი, საარაკოდ მორიდებული ყოფილა მთელი ოჯახის ტვირთის წარბეუხრელად მზიდველი ქალბატონი: სკამზეც რომ კიდევ ჩამოჯდებოდი, ფეხისგულეებსაც არ დაასვენებდი და უფესსაცმოლ ტერფებს ცერებს დააყრდნობდი, ხმის ნახევრითაც არ ილაპარაკებდი, სატკივარს მუათედს გაამხელდი, გაჭირვებას – მესხელს და დარდ – ვარამს – ამაზე კიდევ უფრო ცოტას.

ბუნებრივია, ასეთ ღვთისმოსავს ისიც ესიკვდილება, რომ მისი კუბო მამაკაცებმა მხარზე გაიდონ, სოფლის სასაფლაოზე მიიტანონ, სამარეში ჩაასვენონ და მერე ჭირისუფლებმა ბოლომდე აღასრულონ მიცვალებულისადმი მისაგები ყველა წესი. მანამდე კი ჭაპანყვეტამი გალექული მისი ცხედარი განიერ კუბოშია ჩასვენებული და საბრალოდ გამოიყურება:

ნევხარ ახლა შენთვის უჩვეულოდ ფართო სანოლზე და ისეთი პატარა ჩანხარ, გული შეეკუმშება კაცს, კუბოშიაც მორიდებული, თითქოს კუთხეში ბელურასავით შეყუჟული,

მშვიდი ღიმილით (შენს ტკივილებს ხომ შენვე უსაშველვე სიკვდილით), პანია, უბრალო ხის ჯვრით ნატანჯ და ნაჯაფარ ხელეში...

ჭეშმარიტი შემოქმედი ბავშვურ ხასიათს, გულუბრყვილობას სიცოცხლის მიწურულამდე ინარჩუნებს, სიზმარით გამოქრალ ყრმობას ხსოვნად ინახავს და არც იმაზე იტყოდა უარს, როგორმე რომ დაებრუნებინა ის ნეტარი დრო. მამა ადამი ასეთ შემოქმედთა იშვიათ რიგს მიეკუთვნება. ამის თვალნათლივი დასტურია მისი ერთ-ერთი საუკეთესო და მოცულობითაც სხვებზე მეტი თავისუფალი ლექსი „დამაბრუნეთ, ბავშვობაში დამაბრუნეთ“. აქ ჩანს, თუ რა გაუსაძლისი ტკივილების ატანა უწევს ნიდაც ცხოვრების შუაგულში მოტრიალეს, ათას საშინელებათა შემყურეს. შორეთში დარჩენილ ზღვის სანაპიროზე „ტალღებთან და ნიჟარებთან მოჩიფრიფე, მარტოხელა, ბებერი ნავი“ ეგულება და იმას ანდობს თავის „ყრუ ვედრებას“:

დამაბრუნეთ ბავშვობაში! ჩემს ყრმობაში დამაბრუნეთ, რომელიც სულაც არ იყო თქვენი ბავშვობისნაირი...

..... მე გაბრუნდებით, რომ ისევ გავიზრდები, თუმცა ვიცი, რომ მერე

ისევ მომინდება ნასული ბავშვობის კინოფირის უკან გადახვევა... მაინც მოვითხოვ – დამაბრუნეთ! დამაბრუნეთ! ხომ მოგეცით პირობა... პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ისევ გავიზრდები.

სულ ერთ ბუნებს დავისვენებ, სულს მოვითქვამ და ისევ შეგეძლება მიძიგნოთ...

„ორმოცი ლექსის“ ნაკითხვის შემდგომ მე მხოლოდ ზოგიერთი არსებითი მომენტი მოვიჩინე, რადგან ამ ნიგნის ძირითადი პათოსი, მიზანდასახულობა ისედაც აშკარაა და მკითხველი ჩემი განმარტებების გარეშეც გაითავისებს ამ ლექსების ღირსებას, მრავალთაგან გამორჩეულ იერსახეს.

უმთავრესი მაინც ის არის, რომ რასაც მამა ადამი წერს, ყველაფერი შთაგონების, ამქვეყნიური და ზესთასოფლიური სილამაზის შეგრძნების, ნამდვილი ტკივილისა და ამ ტკივილთა თანაგანცდის შედეგად არის დაბადებული და ცოცხალ ნერვს ეხება, გალევებს, უამრავ საფიქრალს გიჩენს.

არ იქნებოდა მართებული, სულის ამ მხურვალე ღაღადისს, მლოცველის ბაგეთაგან დამრულ სტრიქონებს მაინცდამაინც და მხოლოდ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, ტრადიციული ლექსთწყობის კუთხით შევხედოთ... ამ ლექსთა ავტორის პოეტური ენის თავისებურებები ცალკე წერილის საგანი უნდა გახდეს.

ხოლო სახეებში თამამ აზროვნებას, წარმოსახვის ზღვარდაუდებელ ძალას, მეტაფორათა, სიმბოლოთა სიღრმესა და მრავალფეროვნებას რაც შეეხება, აქ პოეტური ნიგნის ავტორი იმდენად ღაღად გრძნობს თავს, ბევრ ვინმეს შემურდებოდა.

თავად განსაჯეთ: ჰორიზონტს შეჯარულ ლუშისფერ ღრუბლებმა ალისფერ-ნითელი ჯვარი ამოაჭრეს მზის დისკოსს, ჩამავალს. ....

და ვით დაივიწყოს რითმებმა მზის დისკოს – ღრუბლებში ჯვარცმული! ამ ლექსში, ქართულში, ის დარჩეს, ის იყოს!

ქრისტიანე და მე

არც წიგნი მინდა, არც კინო... არც სოფიკო და სოფია...  
აღარ მალელებს აზრები – ზღაპრები – ფილოსოფია...

ასე უთქმელად გაგიშვი მე, მართლა ასე დებილმა...  
ნეტავი მაგ შენს კალთაში ეგ თავი ჩამადებინა!

ქალბატონი ცხოვრება

Ars longa, vita brevis.\*

ქალბატონო ცხოვრება,  
სადმე არსად დავარდეთ,  
ქალბატონო ცხოვრება,  
თქვენ მე დამაავადეთ.

ქალბატონო ცხოვრება,  
ბევრი მტანჯეთ-მეფერეთ,  
აკი გვექონდა ოცნება,  
აღბათ ვერ შეგეფერეთ.

ქალბატონო ცხოვრება,  
მე თქვენ კრძალვით გეხებით,  
მაგრამ ნუ გაოცდებით,  
ვერასდროს გამეყრებით;

ქალბატონო ცხოვრება,  
ფასს რად უწევთ აქციებს?  
თქვენ მე დარდით მომცელეთ,  
მე თქვენ ვარდად გაქციეთ!

\*ლათ. ხელოვნება გრძელია, სიცოცხლე მოკლე.

მარტოობის ოქტავა

მარტოობის, მარტოობის მეშინია  
მეშინია მომავალზე ფიქრის  
გარეთ დარი ჩემზე უფრო შემოილია  
ამდენს როგორ გავუძელი მიკვირს  
ამდენს როგორ გავუძელი მიკვირს  
დრო კი მიდის, კი არ მიდის, მიჰქრის  
მარტოობის, მარტოობის მეშინია  
მომავალზე მეშინია ფიქრის.

შეურიგები

მე ყველა ჩემი ლექსი ამიხდა,  
ყველა შავ-ბნელი ტროპი ამიხდა,

ვერც ყველა ნათელ ტროპს ავერიდე,  
ჰო, ვერც სინათლეს ვერ ავერიდე...

მაგრამ მე ყველა ლექსი ამიხდა...  
ჰო, ყველა, ყველა ლექსი ამიხდა...  
და ეხლა ღამეს ვნატრობ დილიდან,  
შავ ღამეს ვნატრობ შავი დილიდან –  
შერიგებული ყველა ამინდთან,  
შერიგებული ყველა სიკვდილთან,

გია ხომერიკი

მე ყველა ჩემი ლექსი ამიხდა,  
მე ყველა ჩემი ლექსი ამიხდა.  
შერიგებული ყველა ამინდთან,  
შეურიგები მხოლოდ სიკვდილთან.

ხილვა: ოცნება

როდესაც ზეციდან  
რომელსაც უკვე ზეცა აღარ ქვია  
იღვრება სიცხე  
როდესაც ღრუბლები ძლივსლა ხმაურობენ  
ხმაგაზარულნი  
როდესაც ცა და მიწა  
მიწა და წყალი  
გახვეულია შულის ქარცეცხლში  
როდესაც მნათობი ცივი ქალივით ამოდის ზღვიდან  
და უნდა სითბო რომ წაგვართვას ჩუმად და შეპარვით  
ვდგავარ და ვიცდი  
ვიცდი თუ როდის დაიბადება  
ჩემი ბაგიდან  
ჩემი ღამაში მოყვასი ვაჟი!

წვიმა და ცეცხლი

უცნობ მანდილოსანს

არ ვიცი, როგორ, არ ვიცი, როდის...  
ნეტა კი გულის ჩაქრეს სიგიჟე...  
წვიმების მთაზე წვიმები მოდის...  
წვიმის ქვეშ წვიმის ცეცხლი გიზგიზებს!..

გუმანით ვხვდები, რომ ვილაც მმტრობს და...  
ვხვდები, რომ შენაც დაგავიწყდები;  
დემონი თურმე არასდროს თმობდა  
სიერცეს, რომელსაც ველარ მივწვდები...

აღბათ აკვნიდან დამყვა სინრფელე...  
და თავის მტრობაც დამყვა აკვნიდან;  
ხარიც, ტორეროც მე ვარ წითელი –  
წყვილი – ერთ რამეს რომ ვერ ასკვნიდა –

რატომ მოითხოვს ყოფნა სისხლსა და  
არყოფნის იქით რატომ არ მოჩანს  
გოგო, ღიმილით ჩვენ რომ გვიცავდა?..  
აჰ, მორჩა ლექსი... თუმცა არ მორჩა...

ნეტა ოდესმე თუ განათდება,  
მოვა თუ არა, ვინც მხსნელად ვცანი?!  
ათი მცნება კი უფრო ათდება –  
და უფრო სადღაც მიჰქრის ცანი...

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?  
ცას ცრემლით ალტობს წმინდა ასული!  
არის ეროსი... მაგრამ ამ ცაზე...  
უკვე წერია ცის დასასრული.

ეტყობა მართლა არის ბედი და...  
განგება არის ყოველთა ზედა...  
გული გაქცევას ღამობს მკერდიდან,  
მიჰქრის და სჯერა, რომ არ მოკვდება...

არ ვიცი, როგორ, არ ვიცი, როდის...  
ნეტა კი გულის ჩაქრეს სიგიჟე...  
წვიმების მთაზე წვიმები მოდის...  
წვიმის ქვეშ წვიმის ცეცხლი გიზგიზებს!

ულამაზესი

ვუმზერ პართენონს, ვუმზერ გულით და...  
მზისა და დროის მათრობს ალერსი...  
პართენონით დანგრეული ვარ...  
ნანგრევებით ულამაზესი...

ცაცხვები

ოთხი ლექსი „გამოვაცხვე“,  
როგორც ამბობს ერთი ვილაც,  
მიყვარს, როცა ვუცქერ ცაცხვებს,  
მიყვარს, სილამაზე მიყვარს!

ქრისტიანე

გაზაფხულივით კენარო გოგო,  
შენ სილამაზეს რამ გადამყარა?!  
მოდის, მიხსენი – შენ იცი, როგორ –  
როგორმე თავი გადამაყვარე.

ამ სევდას ჩემი წლები ამბობენ,  
სულში კი ჩუმად წკრიალებს ლოცვა,  
მე მეშინია, ჩემი ამბორი  
არ გადაიქცეს იუდას კოცნად.

მე ისიც ველარ მოვახერხე, რომ  
კამკამა მზერას ბრმად მივწვდობდი...  
ჩვენი სულები ურთერთს ეხება,  
შენი – ფრთხილად და ჩემი – ბოლომდე.


შენ შენს ცამეტ წელს ჯერ არ მისტირი,  
ოცდაცამეტიც გიქცერს შორიდან,  
შენი სახელი არის ქრისტიანი,  
ან ბეატრიჩე... ან/და ლოლიტა...

ძალზე მწარეა, განა ადვილი,  
როცა ახლოა ბოლო ვირაჟი.  
თუ სიყვარული არის ნამდვილი,  
ის მუდამ არის მხოლოდ გიჟმაჟი.

ვარ როგორც ღამის თოვლში დემონი...  
და ლოყას მითბობს ჩიტი ნაცარა...  
მინდა შენს კოცონს მთლად დავემონო...  
სხვა რაღა გითხრა? აღბათ არცა რა.

არ ვიცი, ბედი ჩვენთვის რას დაწერს...  
თქვი, რათა შენთან გავჩნდე მაშინვე,  
იმედი მაქვს, რომ შენც სევდა განეცხ,  
იმედი მაქვს, რომ არ შეგამინე.

ღმერთი შენთანა! გქონდეს წყურვილი –  
წლებსაც თავისი ჰქონიათ წესი –  
იყოს ეს ლექსი სიყვარულივით,  
სიყვარულისთვის იყოს ეს ლექსი.



მთარგმნელი

დალი იაშვილი

თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურის მემკვიდრეები ვართ, უთხრა მთარგმნელმა დალი იაშვილმა ერთ-ერთი ცნობილი პარიზული გამომცემლობის დირექტორს, რომელმაც არც საქართველოს შესახებ იცოდა რაიმე და არც ჩვენს მწერლობაზე სმენოდა. დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წუთის განმავლობაში, ბატონი ფილოდუს წინაშე, მოყოლებული „შუშანიკის ნამებიდან“, ქართული მწერლობის მრავალი საინტერესო ფურცელი გადაიშალა. სტუმრის მონათხრობს ფრანგი გამომცემელი სულ უფრო მეტი ინტერესით უსმენდა, ფინჯანი ყავაც შესთავაზა, რაც მრავლისმეტყველი შესტია პარიზელი გამომცემლისგან, რომელიც თავისი ქვეყნის ლიტერატურულ მწვერვალებს მიღმა სხვა, განსაკუთრებით კი უცნობი ქვეყნის ლიტერატურული მწვერვალების დასანახად ძნელად თუ გაირჩევა. ამ ისტორიის მოყოლა იმიტომ დავინწყე, რომ მისი გაგრძელება ვთხოვო თავად ქალბატონ დალი, რომელიც არაერთი წელია, ფრანგული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს თარგმნის, ქართულ მკითხველს სულ უფრო ახალგაზრდასა და ლიტერატურასთან და, პირიქით, მცდელობას არ აკლებს, ფრანგ საზოგადოებასაც გააცნოს ქართული კულტურა. ამბობს, მთარგმნელი ორი კულტურის შუამავალიაო. თავადაც ამ მისიას ასრულებს არა მხოლოდ როგორც მთარგმნელი, არამედ როგორც ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი და ილიას უნივერსიტეტის პროფესორი.

— 2006 წელს პარიზში ერთ-ერთი ცნობილი ფრანგული გამომცემლობის „ჟოზე კორტი“ დირექტორს ქართული მწერლობის შესახებ ესაუბრეთ, გინდოდათ, თქვენი ქვეყნის კულტურაზე ზოგადი წარმოდგენა მაინც შექმნილიყო. თუმცა მასთან ფრანგი მწერლის სიყვარულმა მიგიყვანათ, აქტიური გრაკის შემოქმედებაზე საავტორო უფლებას სწორედ „ჟოზე კორტი“ ფლობს. იმ დროს საქართველოში გრაკს თითქმის არავინ იცნობდა. მას დღესაც არ ჰყავს ბევრი მკითხველი. მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოებები მსოფლიო ლიტერატურის შედეგებადაა მიჩნეული.

— აქტიური გრაკი გასული საუკუნის უდიდესი მწერალია. მას „უკანასკნელი ფრანგი კლასიკოსი“ უწოდებენ. თუკი მეოცე საუკუნე მარსელ პრუსტით იწყება, აქტიური გრაკით მთავრდება. მართლაც უდიდესი შემოქმედია, როგორც ენობრივი, ისე თემატური თვალსაზრისით. გრაკი არ არის, პოპულარული მწერალი, ყველა ვერ ნაიკითხავს მას. არც წერდა ყველასთვის, არასოდეს მიდიოდა კომპრომისზე და ჰქონდა პრეტენზია, რომ მისი ლიტერატურა მკითხველის გარკვეული წრისთვის, ინტელექტუალებისთვის იყო განკუთვნილი. პროფესიით პედაგოგი გახლდათ, უმაღლეს კოლეჯში გეოგრაფიასა და ისტორიას ასწავლიდა. მისი ნამდვილი გვარია ლუი პუარე, ფსევდონიმად აქტიური გრაკი კი, როგორც თავად ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, უდერადობის გამო აირჩია. გრაკი ის ერთადერთი მწერალია, რომელმაც გონკურის პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიაზე უარი თქვა.

რით ახსნა ეს ფაქტი?

— ეს 1951 წელს მოხდა. იგი აღმოფთვებული იყო ფრანგულ ლიტერატურულ სივრცეში იმხანად დამკვიდრებული, მისთვის მიუღებელი ტენდენციით, „იოლად საკითხავი“ ლიტერატურის მომძლავრებით. მწერალმა ამ პრობლემას ესეების კრებულში მიუძღვნა — სახელწოდებით, „ლიტერატურა სტომაქში“. წიგნს დიდი ხმაური მოჰყვა საფრანგეთში. გონკურის პრემიაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ გრაკი კონკურსების გამართვასა თუ პრემიების მიწიჭებაში გარკვეულ ხელოვნურობას ხედავდა. მისი ბიოგრაფიიდან ყველაზე მეტად მომწონს, მისი უნივერსიტეტელი თანამშრომლები განცვიფრებულნი რომ ლაპარაკობენ ვინმე აქტიური გრაკზე, რომელსაც ეყო ამპარტავნობა, უარი ეთქვა გონკურის პრემიაზე, თავად კი იქვე ზის, ხმას არ იღებს და ლექციისთვის ემზადება. აკი, ფართო საზოგადოებისთვის მწერალ აქტიური გრაკის ნამდვილი ვინაობა დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო.

ძალიან უცნაური ადამიანი გახლდათ, მარტო ცხოვრობდა, არ ყოფილა დაქორწინებული და მთელი ცხოვრება მიუძღვნა შემოქმედებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. დანერა შვიდი რომანი, ავტორია ერთი პიესისა და მრავალი კრიტიკული წერილის თუ კვლევის. თუმცა მიმანია, რომ „სირტის ნაპირები“, რომელიც ვთარგმნე, მისი საუკეთესო ნაწარმოებია. ამ ნაწარმოების მიხედვით ლუიზიანო შაი-იმ დანერა ოპერა, რომელიც 1959 წელს დიდი წარმატებით დაიდგა მონტე კარლოში.

— „სირტის ნაპირები“ და საერთოდ, აქტიური გრაკის ნაწარმოებები ქართულად თარგმნილი არ ყოფილა. მგონი, სა-

ბჭოთა სივრცეში ის არ უთარგმნიათ. თქვენ როდის „შეხვდით“ გრაკს?

— ძალიან გვიან „შეხვდა“. უნივერსიტეტში შესანიშნავი პედაგოგები მყავდა, არც ერთ მათგანს არ უხსენებია აქტიური გრაკი, მასზე არასდროს არავინ ლაპარაკობდა. არსებობს ფრანგული ლიტერატურის ისტორია, სადაც ნახსენებია ეს



„მისარია, როდესაც კოლეგები ამხნავებენ“

მწერალი, მაგრამ სტუდენტობის წლებში არ მიმიქცევია ყურადღება, ალბათ როცა ახალგაზრდა ხარ, ცნობილი ავტორებით უფრო ინტერესდები. 90-იანი წლების ბოლოს კი საქართველოში საფრანგეთის განათლების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი პერენ-ნაფაქი ჩამოვიდა. ვკითხე, თუ ვინ იყო მისი საყვარელი მწერალი. მიპასუხა, აქტიური გრაკი. როდესაც ვუთხარი, ნაკითხული არ მაქვს-მეთქი, დამამშვივდა, თქვენ კი არა, ბევრი ჩემი კოლეგა და ბევრი ფრანგი არ იცნობს მის შემოქმედებას და პარიზში დაბრუნებისთანავე გამომიგზავნა აქტიური გრაკის ყველა რომანი. მათ შორის „სირტის ნაპირები“, რომელმაც ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. შემეყვარდა. მსგავსი დონის ლიტერატურა დიდი ხანი იყო, არ წამეკითხა.

„ინტელექტი“ როგორ დაითანხმეთ გამოცემაზე? რამდენადაც ვიცით, აქტიური გრაკს ფრანგი გამომცემლებიც არ წყალობდნენ.

— ნაწარმოების თარგმნა 2000 წელს გადაწყვიტე, მაგრამ ვერც ერთი ქართველი გამომცემელი ვერ დავითანხმე. ჯერ ერთი, წიგნი დიდი მოცულობისაა. გარდა ამისა, სრულიად უცნობი ავტორი იყო. ძალიან მიყვარს „ინტელექტი“, იმიტომ, რომ ეს გამომცემლობა არაა აყოლილი მოდას და არ გამოსცემს ეგრეთ წოდებულ პოპულარულ ლიტერატურას, რაც კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი იქნებოდა მისთვის. იმიტომ „ინტელექტის“, ბატონი კახმეგის მადლობელი ვარ, რომ დამიჯერა და გამოსცა „სირტის ნაპირები“. რაზეა წიგნი, მკითხა. სტაგნაციაზე-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც ასეა. იქ თითქოს არაფერი ხდება, არაფერი მოძრაობს, ცხოვრება ჭაობივითაა დამყაყებული. ქვეყანა აწარმოებს სამასწლიან შეჩერებულ ომს. ომია, მაგრამ არცაა ომი. წიგნს 1998 წელს ვკითხულობდი და იქ აღწერილი სურათი მეტად ახლოდგებელი თუ ნაცნობი იყო ჩემთვის, ის სამასწლიანი ომიც რაღაცას მახსენებდა. ყველა ხომ ნაწარმოებს თავისებურად კითხულობს და აღიქვამს. რომანის მთავარი გმირი, ალდო, რაღაც მომენტში ამბობს, რომ უნდა წავიდეს, გასცილდეს იქაურობას, ძალიანაც უყვარს თავისი

ქალაქი, მაგრამ ახალგაზრდა და ცვლილებები უნდა. ბოლოს სრულდება ეს სტაგნაცია, ეს დამყაყებული არსებობა და ნაწარმოები მთავრდება ისე, რომ ომი უნდა განახლდეს. ნაწარმოებში არც გეოგრაფიული გარემოა კონკრეტული, არც დრო. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ მოქმედება XX საუკუნის დასაწყისში ხდება, მაგრამ ეს გრაკისეული ხაფანგია. გეოგრაფიული გარემოც გაბნეულ — ავტორი თითქოს სამხრეთის ქვეყანაზე ყვება, მაგრამ რეალურად საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს აღწერს...

აქტიური გრაკმა პირველი რომანი — „არგოლის ციხისმთავარი“ — 1938 წელს, გამომცემლობა „გალიმარში“ მიიტანა, მაგრამ მათ არ მოეწონათ ნაწარმოები და უარი თქვეს დაბეჭდვაზე. მაშინ განაწყენებულმა მწერალმა სრულიად უცნობი გამომცემელს, ჟოზე კორტის მიმართა. ჩანს, კორტი ძალიან გემოვნებიანი მკითხველი იყო, მოინონა და გამოსცა კიდევ რომანი. მას შემდეგ გრაკმა ყველა თავისი წიგნი „ჟოზე კორტის“ გამომცემლობაში დაბეჭდა და დღეს საავტორო უფლებები გრაკის ნაწარმოებებზე სწორედ ამ გამომცემლობას ეკუთვნის. მოგვიანებით კი, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბო-



ლოს, „გალიმარმა“ გადაწყვიტა, აქტიური გრაკი „პლედის“ ძალზე პრესტიჟულ სერიის დაბეჭდა. მგონი, ის ერთადერთი მწერალია, რომელსაც სიცოცხლეშივე ეროვ ეს პატივი.

„ჟოზე კორტი“ ის გამომცემლობაა, რომელმაც თქვენ წლების წინ მიხვედით, რათა თარგმანზე საავტორო უფლება მოგეპოვებინათ. შეზღუდულ დროში ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის პრეზენტაციაც შეძელით.

— თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა რომ ვახსენე, გამომცემლობის დირექტორმა გაკვირვებით შემომხედა და დამცინავი ღიმილი გაუკრთა, მეზღაპრე ვეგონე. მერე ნელ-ნელა დაინტერესდა, გაუჩნდა კითხვები, დიდხანს ვისაუბრეთ და შემდეგ მოულოდნელად მკითხა: „თუ გასურთ შეხვედეთ აქტიური გრაკს, დავურეკავ და შეხვდით“. არ ვიცო, იმ წუთში რა დამემართა, უცებ ძალიან დავიბენი და ბატონი ფილოდუს ვუპასუხე, ვერ შევხვდები-მეთქი. სწორად გამიგეთ, მწერლების მიმართ, ნამდვილ მწერლებს ვგულსიმობ, განსაკუთრებული დამოკიდებულება, რიდი მქონდა ყოველთვის, მაშინ მივიჩნიე, რომ გრაკთან შესახვედრად, მასთან სა-

საუბროდ მზად არ ვიყავი. შესაძლოა, უფრო ახალგაზრდას ამგვარი რეაქცია არც მქონოდა. მაგრამ იმ დღეს უარი ვთქვი, გაისადაც ჩამოვალ პარიზში და მაშინ შევხვდები-მეთქი. სამწუხაროდ, ის მალევე გარდაიცვალა. რა თქმა უნდა, ძალიან მწყდება გული. ალბათ, საინტერესო შეხვედრა გვექნებოდა.

— გიორგი ლობჯინიძე სტატიაში — „სირტის ფრანგული და ქართული ნაპირები“ — წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ერთი ენიდან მეორეზე ყველაფრის გადატანა შესაძლებელია, მაინც რჩება ამა თუ იმ ლიტერატურაში ტექსტური, რომლებიც მხოლოდ ამ ლიტერატურის კუთვნილებს და სხვა გარემოს ვერაფრით იგუბს“. თქვენი მთარგმნელობითი გამოცდილებაც იგივეს ამბობს?

— საერთოდ, ერთი ენობრივი სივრციდან მეორე ენობრივ სივრცეში გადასვლა ძალზე რთულია. უნდა იცნობდე ორივე სამყაროს და ეცადო, იგივე ემოცია გამოიწვიო ქართველ მკითხველში, როგორც ავტორს სურდა, ფრანგ მკითხველში გამოეწვია.



როლანდ ბარტმა თქვა, მთარგმნელი იგივე მწერალია, ოღონდ ერთი საფეხურით დაბლა მდგომი. ბევრი ამას არ ეთანხმება. მე მგონია, რომ მთარგმნელი მწერლის აჩრდილია. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. არასდროს ვარ კმაყოფილი ჩემი ნამუშევრით. სულ მეშინია, ვაითუ, ის არ ვთარგმნე, რაც მწერალმა იგულისხმამეთქი. მთარგმნელი მედიუმივითაა, სარკესავითაა, მან თავის თავში უნდა გაატაროს სხვა კულტურის, სხვა ენობრივი სამყაროს ქმნილება და ისე უნდა თარგმნოს, რომ ის ქართული ლიტერატურის ნაწილი გახდეს და ქართველმა მკითხველმა აღიქვას, როგორც ქართული ტექსტი, მაგრამ ამავე დროს „მწერლის ხმა“ არ უნდა დაიკარგოს.

ზოგჯერ მეუბნებიან ხოლმე „სირტის ნაპირებზე“, თუ ასეთი რთული ნაწარმოები იყო, რისთვის თარგმნე, ვინაა მაგის ნამკითხავი. იმიტომ ვთარგმნე, რომ იმედი მაქვს, წიგნის მოყვარული ადამიანი გადაშლის, ნაიკითხავს და მასში თავისთვის სასარგებლოს ამოიკითხავს, რაღაცთა გამდიდრდება. ყოველთვის მიხარია, კოლეგები რომ მაშხვევებენ, მაქვებენ — ჩემი აზრით, ზოგჯერ გადაჭარბებულია, მაგრამ ყველაზე დიდი ქათინაური ჩემთვის მაინც მკითხველის აზრია ნაწარმოებზე.

ჩვენ ვიზრდებოდით ქართულ ლიტერატურაზე. ახლა რა ხდება? ქართული ენა გაღარიბდა, ინტონაცია დაიკარგა, ფონეტიკა დაირღვა. ტელევიზორს ვერ ჩართავ, ისეთი ქართული ისმის. ენისადმი უდიდესი დამოკიდებულება, ჩემი აზრით, უდიდესი დანაშაულია. ჩვენი უმთავრესი სიმდიდრე ჩვენი ენა და ანბანია. ჩვენ კი არც ერთს ვუფრთხილდებით და არც მეორეს. ფრანგი კი ძალიან, ძალიან უფრთხილდება და პატივს სცემს თავის ენას.

მე მგონი, ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კარგი ქართული თარგმანების სიმრავლე. შეიძლება, რაღაც თვალსაზრისით, ეს ქართველი ახალგაზრდა ავტორებისთვისაც კი სასარგებლო იყოს.

— თქვენ ძალიან გააზვიადეთ მთარგმნელის როლი ლიტერატურაში. მთარგმნელი ორ კულტურას შორის მდგომი ად-



მასსომს, პატარა რომ იყავი, ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიას შეგონება წაგიკითხე. მწერალი ევროპაში რომ სწავლობდა, საკუთარი თავისთვის შემოუძახნია: შენ, ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთაო! ჰოდა, რამდენი ასეთი შეგონება მითქვამს, რამდენი რამ წამიკითხავს შენთვის საქართველოზე. ხშირად გვი-საუბრია კიდევ სამშობლოს წარსულსა და მომავალზე, მაგრამ... მხოლოდდამხოლოდ საშენოდ „გამოსადეგი“ რომ „აითვისე“, ესეც გულს მტკენს; თუმცა, რაც არის, არის! დარჩეს ასევე; დიდი ილიასი არ იყოს, მხოლოდ საშენოდ მაყურებელ თვალს დავიტოვებ და... ვიქნები შენკენ მოცქერალი: როდის ჩამოხვალ სამშობლოში, როდის მიხვდები, რომ სხვა სამშობლო არა გაქვს და ყველაზე ძვირფასი ჩვენი პატარა ქალაქია, ოდესღაც ძალიან დიდი რომ გეგონა...

შენ კი არა, მეც მეგონა სიყმანვილემი ჩვენი ქალაქი ძალიან დიდი. ახლა კი... რომ იცოდე, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად გაიზარდა, მაინც... დაპატარავდა. ამაზე რომ დავფიქრებდი, ტირილი მიხვდებოდა: ჰოდა, უფრო მეტად რომ მერწმუნო და შენებურად არ გამაქილიკო, დასტურად გიგზავნი ახლახან გამოცემულ თამარ მიქაძის წიგნს — „ძალიან პატარა ქალაქში“. პანანინა მოთხრობებისა და მინიატურების კრებული კომპოზიციურად საინტერესოა და აგებული. როცა ბოლომდე ჩაიკითხავ, მიხვდები, პროფესიონალის ხელი რომ ატყვია.

თამარის მოთხრობები თუ მინიატურები პერიოდულ პრესაშიც წამიკითხავს, მაგრამ აქ, ამ კრებულში, ერთად თავმოყრილი, გაცილებით ძლიერ შთაბეჭ-

### წინო ჩხიკვიშვილი

## თამარ მიქაძის წიგნის გამო

### ციკლიდან „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაჟს“

**ჩემო ბიჭო, რა ხდება ისეთი, საერთოდ რომ ვერ იცლი სამშობლოში ჩამოსასვლელად? ვინ არ წასულა უცხოეთში? ვის არ უნახავს რომი და ვერსალი? ვინ არ შესულა „Notre-Dame“-ში — მოღუნული როგორც იუდა (როგორც კოლაუ ნადირაძე იტყობდა)...**

**ნუთუ... არ გენატრება მშობლიური სახლი ან ქუჩა?!**

იღებას ახდენს: სამწუხაროდ, თამარ მიქაძე, პოპულარული ავტორი არ არის; ესეც ავტორის ზედმინევენიტ მოკრძალებული ხასიათისადა გამო, თორემ... ამ მხატვრულ ტექსტებს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში მონაწილეობის უფლება ნამდვილად აქვთ!


თამარის მცირე პროზა ჩვენი ყოფის ყოველდღიურ ინილობინილოსაც აირეკლავს და მარადიულზეც ჩაგაფიქრებს; რიტმული თხრობისთვის დამახასიათებელი სინტაქსური ფორმები მინიატურებს კეთილმზავნებას სძენს და ლიტმობივი, რომელიც ამგვარი თხრობისთვისაა დამახასიათებელი, მკითხველში იმ განწყობას ქმნის, რომელსაც შეუძლია, წარმოსახვაში სურათებად აღბეჭდოს ის, რასაც კითხულობს. რაც უნებურად მცირე პროზის დიდოსტატის — ნიკო ლორთქიფანიძისეულ სტილსაც გაგონებს. ქართულია, მშობლიურია, ამავე დროს, ნაზავია, ევროპული ლიტერატურისა, რომ არაფერი ვთქვათ, მცირე პროზის რუს ოსტატებზე. თუმცა, ერთი რამ მინდა, გაითვალისწინო — კრებული არაა დატვირთული აშკარა გველენებით, რადგან ავტორს თავისი სათქმელი გააჩნია და არც ერუდიციით კეკლუცობს. სხვათა შორის, არც ეგრეთ ნოდ-

ბული ფსიქოლოგიური, ხშირად გაუგებარი, ახლა ასე რომ შემოვიდა მოდამი — პათოლოგიური, ბუნდოვანი ნიაღვრებით ცდილობს, „მიიტყუოს“ მკითხველი.

ამ მინიატურებისგან ბევრი მათგანი შეიძლება, კინოსცენარადაც ქცეულიყო — მაგალითად, „ილბლიანი ტარანტელა“, „ელეონორა — მეფუნთუშის ცოლი“, „ყიდვა-გაყიდვა“, „კვანძის გახსნა“ და კიდევ სხვაც, რამდენიმე...

ეჰ, ჩემო ბიჭო, თამარის ბიძა, შესანიშნავი კინორეჟისორი და კინო-დოკუმენტალისტი — გურამ პატარაია, ცოცხალი რომ იყოს, ამ მინიატურების მიხედვით მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნას, ალბათ, არც არავის დაანებებდა, მაგრამ ახლა, ეს ყველაფერი, მხოლოდ ოცნების სფეროა. თანამედროვე კინორეჟისორებს ამ პანია მინიატურებისთვის არა სცალიათ...

კრებული სწორედ რეჟისორისა და მამულიშვილის — გურამ პატარიას ხსოვნას ეძღვნება და სიმბოლურიცაა; თამარი ხშირად იგონებს ბიძასთან უკანასკნელ შეხვედრას. ბიძამის მამინ უთქვამს — შენ, ჩემო თამარიკო, უნდა დაჯდე და წერო! რაკი გურამ პატარაია გავიხსენე, არ



მინდა, გამომჩრჩეს ისიც, რომ წიგნის გარეკანზე გამოყენებულია აღიარებული ქართველი კინორეჟისორის — რეზო ესაძის ორი შესანიშნავი ჩანახატი.

რეზო ესაძე მაინც გეხსომება (მისი „ნიკიპურტები“ და კინო-შედეგები — „ნილონის ნაძვის ხე“. ეს უკანასკნელი, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მეტად თანამედროვე ხდება), ხატავს და ლექსებსაც წერს.

მოკლედ, მენდე, ღირს ამ წიგნის ხელში აღება. ერთ ღამეში წაიკითხავ და ასე, ვირტუალურად მაინც, დაბრუნდები ჩვენს ქალაქში, ახლა რომ გაიზარდა და მაინც... ასე რომ დაპატარავდა.

ყოველივე სიკეთეს გისურვებ, შვილო! დედაშენი...

ამიანია, მაგრამ მეც მისი ძირითადი წყარო მშობლიური ენა და კულტურა გახლავთ. ჩვენი ორიენტირი ქართველი მწერალია. მწერალმა უნდა შექმნას ენა, მთარგმნელმა კი — გამოიყენოს. ეცადოს, თარგმნილი ნაწარმოები მის მშობლიურ ენაზე შექმნილ ტექსტებს არ ჩამოუვარდებოდეს. თუ რა ხდება ბოლოდროინდელ მწერლობაში, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. ახალგაზრდა ავტორები ალბათ თავადაც განიცდიან, ასე რომ შეკვეცეს, შეამცირეს, გააუბრალოეს ლექსიკა, გამარტივეს წინადადებები. ამიტომ, ფრანგი ავტორების ენობრივი სიმდიდრის გადმოცემისას, ჩემი ორიენტირი კლასიკური ქართული სამწერლობო ენაა.

— **მორიაკის „იესოს ცხოვრება“ პირველი პროზაული ნაწარმოები იყო, რომელიც თარგმნეთ. ის „საუნჯეში“ დაიბეჭდა, მოგვიანებით კი „ინტელექტმა“ წიგნად გამოსცა. როცა გამოცემლობამ მწერალთა სახლში „ნობელის დღე“ გამართა, თქვენ ამ ნაწარმოებზე ძალიან საინტერესოდ ისაუბრეთ.**

— მორიაკი მორწმუნე კათოლიკების ოჯახში გაიზარდა და საუკეთესო განათლება მიიღო, რაც კარგად ჩანს მის ნაწარმოებში. ეს არის რელიგიური ადამიანი, რომელსაც სწამს იესო და ნაწარმოებში თავისი თვალთ დახატული იესოს ცხოვრებას გვიყვება. ის სახარების ტექსტს მისდევს, ოღონდ ოთხთავის სინთეზს გვთავაზობს. უხვად მოჰყავს ციტატები. წიგნი

1936 წელს გამოიცა და მაშინ კათოლიკური ეკლესია სასტიკად აუშხედრდა ავტორს, კათოლიციზმიდან გადახვევასა და ორთოდოქსობას აბრალებდნენ. ამის გამო, მორიაკი იძულებული გახდა, მეორე წინასიტყვაობაც დაეწერა წიგნისთვის, მეცნიერულად განემარტა თავისი პოზიცია, ღრმა ანალიზი წარმოუდგინა.

„იესოს ცხოვრება“ ფრანგმა მეგობარმა მარსელმა 90-იანი წლების დასაწყისი იყო. მაშინ ცოტას ჰქონდა სახლში სახარება, კითხვითაც ბევრი არ კითხულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხთავს ასე თუ ისე ვიცნობდი, ყოველდღიურად მასთან შეხება არ მქონია. მორიაკის ამ ნაწარმოების წაკითხვით კი ბევრად უკეთ გავიგე სახარების ტექსტი. ამიტომაც გადავწყვიტე, მეთარგმნა. ვფიქრობდი, ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა.

წიგნს ვთარგმნიდი თბილისის ომის დროს, იმ საბედისწერო დღეებში, როცა იძულებული ვიყავი, სახლი დაგვეტოვე ბინა. ჩემი ცხოვრების ყველაზე საძინელი დღეები სწორედ ამ წიგნმა გადამატანინა.

— **„ინტელექტისთვის“ თარგმნეთ ასევე ლე კლეზიოს ნოველების კრებული და დიუ გარის „ჟან ბარუა“.**

— ლე კლეზიო არაჩვეულებრივი პროზაიკოსია. მისი ერთ-ერთი შესანიშნავი რომანი — „უდაბნო“ — უკვე იყო ქართულად თარგმნილი. ვინაიდან გამოცემულს მხოლოდ 200 გვერდი სჭირდებოდა, ნოველების თარგმნა შემომთავაზა. ამ შემთხვევაში ბატონი კახმეე კუდავას ლიტერატურული გემოვნება ძალიან გამომადგა.

როჟე მარტინ დიუ გარის თარგმნაზე კი „ინტელექტს“ თავიდან კატეგორიული უარი ვუთხარი, მატერიალისტი ავტორია და არ მიყვარს-მეთქი. მე მას „ტიბოს ოჯახით“ ვიცნობდი და მეგონა, რომ „ჟან ბარუა“ც მსგავსი ნაწარმოები იქნებოდა. თუმცა შევცდი, ძალიან საინტერესო თხზულება აღმოჩნდა. იქაც არის მატერიალისტური ხედვა, არის რელიგიისა და მატერიალიზმის დაპირისპირებაც. გარდა ამისა, ფორმა აქვს უჩვეულო — ავტორს უნდოდა, რომანისთვის მიეცა პიესის სახე, ანუ ჟანრობრივი სინთეზი გაეკეთებინა და შეძლო კიდევ. გარდა ფორმისა, ენობრივი თვალსაზრისითაც საინტერესო ნაწარმოებია. დიალოგიზირებული სცენების გვერდით არის წერილები, დღიურები, „დრეიფტის პროცესის“ საარქივო მასალები. თვით გმირი ჟან ბარუა ჭეშმარიტების მაძიებელი პიროვნებაა. ავტორმა მისი ცხოვრების

აღწერით იმდროინდელი საფრანგეთის ცხოვრების ცოცხალი სურათი წარმოგვიდგინა.

— **პოეზია თუ ვითარგმნიათ?**

— მიცდია და, მეგონი, გამომსვლია კიდევ. მესამე კურსზე ვთარგმნე XVI საუკუნის ავტორი, ჟან ანტუან დე ბაიფი. მთარგმნლობით კოლეჯში მივედი და ვითხოვე, მოეცათ XX საუკუნის რომელიმე ფრანგი პოეტის ლექსები, პნკარედულ თარგმანს შევასრულებ-მეთქი. მომცეს. შინ რომ მივედი და დახვებდი, XVI საუკუნის პოეტი აღმოჩნდა, ნახევარი ლათინურად იყო დაწერილი. რადგან უკვე ნათქვამი მქონდა, აღარ მოვეშვი და ვთარგმნე. პნკარედი კი იყო, მაგრამ, ურიგო არ გამოვიდა. ბატონ გასტონ ბუაჩიძეს ვაჩვენე და მითხრა: რახან ამის თარგმნა შეძელი, უკვე მთარგმნელი ხარო. ღორკას რამდენიმე ლექსიც გადმოვაქართულე. 2012 წელს გამოცემლობა „ინტელექტის“ სერიაში ერთი შედეგის თხუთმეტი ქართული თარგმანი ფრანსუა ვიიონის „ოთხტაყედი“ ვთარგმნე; თუმცა წელს ბატონმა კახმეემა სენ-ჟონ-პერსის თარგმნა მთხოვა და ძალიან მალე უკან დავუბრუნე. არ გამომდიოდა. შეიძლება, არაპოეტურ განწყობაზე ვიყავი, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მიხვდით, რომ ვაფუჭებდი. ინგლისურად სენ-ჟონ-პერსი ტომას ელიოტმა, ხოლო გერმანულად რაინერ მარია რილკემ თარგმნეს; მე, სამწუხაროდ, არც ერთი ვარ, არც — მეორე. პერსი დიდმა პოეტმა უნდა თარგმნოს, რომელსაც ძალიან კარგად ეცოდინება ფრანგული. მაგრამ გეყვავს კი ასეთი? ვერ გეტყვით. ზოგს ჰგონია, რომ თუ ერთი ენაც იცი და მეორეც, ყველაფრის თარგმნა შესაძლებელია, მაგრამ ასე ხომ არ არის!

— **ძირითადად, XX საუკუნის ავტორებს თარგმნით, როგორ ირჩევთ ნაწარმოებს?**

— დიახ, თანამედროვე მწერლობა უფრო საინტერესოა ჩემთვის. ნაწარმოები უნდა მომეწონოს, რაღაც უნდა იყოს მასში ისეთი, რაც არ მომასვენებს, თავს შემახსენებს.

— **კიდევ რა თარგმნეთ?**

— ყველა ავტორი ერთი დონის არაა, მაგრამ საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის. ანრი ბერგსონის „ზრდილობა“, ფრანსუაზ საგანის „პასუხები“, დიდი ვან კოველერტის „წასვლა“, ალესანდრო ბარეკოს „აბრეშუმი“, დაი სიუსის „ბალზაკი და ჩინელი მკერავი გოგონა“ შან ხან „მტირალა ტირიფის ოთხი სიცოცხლე“, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზ-

იოს „ცის ბინადარი“ და პიესა „თოვლის ბაბუა ნავაია“.

— **როგორც ვიცი, თქვენ ქართულიდან ფრანგულადაც თარგმნით.**

— რამდენიმე ავტორი ვთარგმნე — ნიკო ლორთქიფანიძე, რეზო ინანიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ირაკლი ლომოური, გიორგი შერვაშიძე. მინდოდა, ნოველების კრებული შემედეგინა, ას ორმოცდაათი გვერდი უკვე მზად მაქვს, მაგრამ აქამდე ვერ გამოვეცი. ბატონ გასტონ ბუაჩიძეს ვთხოვე რედაქტირება, მშვენიერი იყო, მითხრა, მაგრამ რედაქტირებისთვის ვერ მოიცალა. კარგი იქნება, ფრანგი რედაქტორი თუ დავითანხმე თანამშრომლობაზე. ქართული ნაწარმოებების უცხო ენებზე თარგმნა ახლა კულტურის პოლიტიკის ნაწილია. თუმცა უპირატესობა ენიჭება ახალგაზრდა ავტორებს, ცოცხალ მწერლებს. კარგი იქნებოდა, არსებობდეს პოლიტიკა, თუ როგორი ლიტერატურა, რომელი ავტორები უნდა ითარგმნებოდნენ უცხოელი მკითხველისთვის და — პირიქით. დიდი ხანია, XX საუკუნის საუკეთესო ქართველ მწერლებს ვთარგმნი, უპირველესად, ამას ჩემი ფრანგი მეგობრებისთვის ვაკეთებ, რათა თავად გაეცნობ იმ ლიტერატურას, რომელზეც წლებია, ველაპარაკები.

— **ფრანგებიდან რომელი ავტორის თარგმნას აპირებთ მომავალში?**


— თუკი რომელიმე გამოცემული მონდომებს, სიამოვნებით ვთარგმნიდი ჟან ჟიონოს, თუმცა ეს იოლი არ იქნება. ჟიონო ძალიან ხატოვნად წერს, ყველაზე რთული კი სწორედ ხატოვანი გამოთქმების, ანდაზების გადმოტანაა. ძალიან მიყვარს, ასევე, რემონ კენოს „ზაზი მეტროში“. იმავე სახელწოდების ფილმი, ალბათ, ნანახიც გქვებათ. თუმცა, მისი თარგმნა ძნელი იქნება ენობრივი თვალსაზრისით.

ძალიან მინდა, ვთარგმნო ჟულიენ გრაკის ინტერვიუების კრებული, რომელიც „ჟოზე კორტის“ გამოცემლობაში სტუმრობისას მისახსოვრეს. კრებულის თარგმნა დავინყე კიდევ, მაგრამ არ ვამბობდი, რადგან არაერთხელ მომხდარა, დამიწყია თარგმნა და აღმოჩენილა, რომ სხვას უკვე გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება იმავე ნაწარმოების თარგმნაზე.

— **მაშინ ნუ ვიტყვით.**

— არა, ამ შემთხვევაში, სწორედაც, პრობლემა არ არის. ჟულიენ გრაკს ჩემ გარდა არავინ მოკიდებს ხელს, ასე თავს არავინ აიტყვებს, დარწმუნებული ვარ.

ესაუბრა თამარ ჟურული



ყან რუო 1952 წელს საფრანგეთის ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში დაიბადა — ქვედა ლუარაზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროს ახლოს. ნანტის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არც უფიქრია, პროფესიონალი ფილოლოგი გამხდარიყო. შინაგანი თავისუფლება სოციალურ ნორმებთან შეუთავსებლად მიაჩნდა და მუშაობა დაიწყო — ხან ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომელი იყო, ხანაც ქუჩაში მოვაჭრე. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან პარიზში გადავიდა და XIX ოლქში მდებარე გახეთქის ფარდულში მოეწყო გამყიდველად. მალე ეს ფარდული ლიტერატურულ-პოლიტიკური დისკუსიების ადგილად იქცა. და, როცა 1990 წელს გახეთქის სრულიად უცნობმა გამყიდველმა პირველი რომანი — „ღირსების ველები“ გამოაქვეყნა, აღმოჩნდა, რომ ეს უბრალო ლიტერატურული ცდა კი არა, ისეთი ნაწარმოები იყო, რომელსაც კრიტიკამ „ბოლო ათწლეულის ყველაზე გასაოცარი აღმოჩენა“ უწოდა და ავტორს გონკურის აკადემიის პრესტიჟული პრემიაც მოუტანა.

ყან რუო

# ღირსების ველები

ფრაგმენტი რომანიდან

საბრძოლო გაზი პირველად იპრის ჩრდილოეთით შტენშტრატის ფრონტზე გამოიყენეს, ამიტომაც ამ სიახლეს იპრისტი შეარქვეს. მისი გამომგონებლისთვის ის დიდება არ მოუტანია, რაც პასტერი-ნიაციამ მოუტანა პასტერს, გალიუმმა კი ლეკოკს — „Le cod“ მამალს ნიშნავს, ლათინურად „gallus“. ამაოდ დარჩნენ გერმანელი ქიმიკოსები შეურაცხყოფილი, როცა ამ სახელწოდებაში ეროვნული რეპრესიის ნიშნები დაინახეს; შურისძიების მიზნით ორმოცდაათი წლის შემდეგ ახალ მეტალს სახელი გადაარქვეს და გერმანიის უნივერსიტეტს; ადგილების სახელების ანექსიის ეს ბუნებრივი მიდრეკილება, ეს über alles, ყურადსაღები უნდა ყოფილიყო. საიდუმლო ლაბორატორიაში საცოდავ პატარა ცხოველებზე ცდიდნენ თავიანთ ქლორულ კოქტეილს; მტარვალმა მეცნიერმა — განა მისი ცდების შორიონტზე არ ჩანდა მომავალი სიკვდილის ბანაკები — იცოდა, რომ ჰააგის კონვენციას არ-ღვევდა; ქვეყნებმა, ერთმანეთის ძალების მოსინჯვას რომ მიეჩვივნენ, მოილაპარაკეს, დანახარჯის შემცირების მიზნით შემდეგი ომი წესების, რაინდული სამხედრო ხელოვნებისა და დუელის კანონების მიხედვით ჩაეტარებინათ, გლობალური მასშტაბით „ოცდაათთა ბრძოლა“ გაეთამაშებინათ ველზე, რომლის ზომაც სამი დეკატამენტის ტოლი იქნებოდა, არენის პერიმეტრიდან არ უნდა გასულიყვნენ, ზიანი რომ არ მიეყენებინათ უბრალო ხალხისთვის, ვისაც პრინციპის ასპარეზობებთან არაფერი ესაქმებოდა. მაგრამ აქტზე ხელმოწერა მშვიდობიან დროს შედგა, როცა ჯანმრთელი ადამიანი ავადმყოფზე უფრო დაძველია. აბა, მოთხოვნით ფილტვებამ-წვარ ჟოზეფს, ტკივილისგან არ იღრიალოს. გავიდა თვეები და „ოცდაათის“ ნაცვლად უკვე მილიონები იბრძოდნენ, ყოველი მეთავე დაიღუპა, სხვები სომისა და მარნის სანგრების ტალახში ცოცხლად ჩაიხარხინენ, უდილობისგან დაჩლუნგებულელებს სასიკვდილო კონტრშეტევებზე გზავნიდნენ, დაკარგული სიმაღლე რომ დაებრუნებინათ, მეორე დღეს ისე რომ დაეკარგათ, მთელ დღეობებს ერთიანად ანადგურებდნენ, უაზრო ნიველირები! მათ ისე გადაადგილებდა, როგორც გენერალური შტაბის რუკაზე ფიგურებს, შლიფფენი<sup>2</sup> გეგმა XVII გეგმის წინააღმდეგ, ერთმანეთში რქებით ჩანწული, უძრავად გაქვევებული, ორი ხარირმის შერკინება. ფონტენუასთან დაზუსტებულმა ომის წარმოების წესებმა ამ ჩხუბში სოროების ესთეტიკა წარმოშვა, ხოლო შედეგი მხოლოდ სასაკლავოს თუ შეედრება. ანგარიშით გადახდა სულ უფრო ძვირდებოდა და მიმდებოდა. ამ ბედნავსმა ქიმიკოსმა კი ხელსაყრელი მომგებიანი საქმე შესთავაზა: კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა 2,40 მარკა ღირდა, ხოლო კილოგრამი ქლორი 18 ფენიცი, სასიკვდილო ძალა კი მეტი ჰქონდა. ეკონომია ნათელი იყო, თვალს თუ დახუჭავდნენ, გამარჯვება შეიძლება, გროშებზე მოეპოვებინათ.

აი, ასე დაინახა ჟოზეფმა, როგორ ავად იპრის ველის თავზე მოხეთისხილო ფერის განთიადი. იმ დილას ღმერთი მათ მხარეზე არ იყო. მტრის მხარეზე იყო ქარიც და მომწვანო ბურუსი ფრანგების განლაგებისკენ აწევებოდა; მინაზე მიმდებ

წოლილი მიცოცავდა, შემხვედრ უმცირეს ნაპრალსაც კი ავსებდა, თხრილებში ძვრებოდა, ბორცვებისა და მავთულხლართების რიგებს თავს ადვილად ევლებოდა, ვერტიკალურ ტალღად იმგვარად მოძრაობდა, როგორც ნითელმა ზღვამ ჩაყლაპა ფარაონის საბრძოლო ეტლები.

ოფიცირმა ცეცხლის გახსნა ბრძანა. კვამლის ფარდა ეგონა, რომლის იქითაც მძლავრი შეტევა იფარებოდა. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, როცა ჯარისკაცები ქარს ესროდნენ, ასეთი რამ ჯერ არავის ენახა. სროლამ შიში კი ოდნავ გაფანტა, მაგრამ ბურუსის დარწმუნული ფარდა უღმობლად მოიწვედა წინ. მერე მებრძოლებს ზედ მოადგა; შემინებული, გულურყვილო ადამიანები ხელებით სახეს იფარავდნენ, საგონებელში ჩავარდნილნი საკუთარ თავს ეკითხებოდნენ — ჩვენას დასალუპად ეს კიდევ რაღა საშინელება მოგონეს. გაზის პირველმა ნაკადმა სანგრებში ჩასვლა დაიწყო.

ამიერიდან დედამინა უკვე აღარ იყო ის თვალწარმტაცი ცისფერი ბურთი, როგორც სამყაროს შიგნიდან ჩანდა. იპრის თავზე საზარელი მომწვანო ლაქა გაწვა. ბუნებრივია, მეათაურ განთიადს სამყაროს შექმნის პირველ დღეებში სტუმართმოყვარეს ვერ დაარქმევ და მომხიბლავი, სხვა პლანეტების შესაბურის სიცისფრე — მზის სხივების გარდატეხის შედეგი — ისევე, როგორც ჩვენი სიცოცხლე, მარადიული არ არის. ბუნების წყალობითა და ადამიანთა უმონყალობით იგი ხან მენამულია, ხანაც ზაფრანისფრად შედებილი, მაგრამ ეს სალათისფერი შეფერილობა იზერის გასწვრივ აშკარად ბოროტებისგან იყო დაბადებული. ქლორით გაჯერებული ბურუსი უკვე ერთმანეთზე გადაბმულ სანგრების გასასვლელელებში მიცოცავს, ბლინდაჟებში ფონავს (უბრალო ფიცრებისგან რომ არის ნაგები და სანგრების თავზეც გარდ-გარდმო აწყვია), ყველა ღიობს ავსებს, კაზემატების<sup>3</sup> ტიხარებს შორის, ყუმბარებისგან თავდასაცავ მინისქვეშა თავშესაფრებში მიძვრება, საქმლისა და წყლის მარაგს უღენტს და დაუნდობლად იკავებს სივრცეს; სუფთა ჰაერის ჩაყლაპვის ყოველგვარი ცდა არა მარტო უაზრობა, არამედ სიგიჟეც არის, ტანჯვას აძლიერებს. ჯერ რეფლექსური მოძრაობით გიმნასტურით ცხვირს იფარავ, მაგრამ იქ ჟანგბადის მარაგი იმდენად ცოტაა, სამ ჩასუნთქვასაც არ ჰყოფნის. ძალაუნებურად თავს ისევე მალდა წვე და ახლა უკვე მთელი მკერდით ისუნთქავ სიკვდილის მატარებელ ნარევეს. ვუსმენთ ახლა უკვე ოცი წლით ჩამობერებულ თვითმხილველთა ნაამბობს და ეს მონაც-ოლი გვეხმარება მათ მიერ განვლილი ჯოჯოხეთური გზის აღდგენაში: თვალე-ბის, ცხვირის, ყელის აუტანელი წვა, სულის შემხუთავი ტკივილი ჩნდება მკერდში, ძლიერი ხველა ლამის პლევრასა და ბრონქებს ხეთქავს, სისხლიანი ქაფი ტურებზე, ღებინება მთელ შიგნულს გიტრიალებს; ვილაც უკვე მინაზე იკლაკნება, მალე სიკვდილი დაეუფლება, უფრო ამტანები მათ სხეულებზე გადადიან, სანგრების ნაპირებს ჩაფრენილნი ზევით აცოცებებს, მოფუთფუთე ადამიანთა სხეულებიდან გამომდრმას ლამობენ, მაგრამ ფეხები



კედლებზე დამაგრებულ ტელეფონის მავთულეში ეხლართებოდა, საიდანაც მინა ცვივა და ბრუსტვერში<sup>4</sup> შემოდგომაზე გაჭირვებით დამარხულ ცხედრებს ამიშვლებს; ვილაცები აბობლებას მინც ახერხებენ, ბურუსის მწვანე ფარდის გარღვევას ცდილობენ, მაგრამ ნებოვან ტალახში ფეხი ეფლობათ, ვიდრე ფეხს გაითავისუფლებენ, გაზით იჟლინებებიან, იქცევიან, ღებინებისგან კანკალევენ, სხეული ხიხინით უცახცახებთ; იმათ კი, ვინც მოახერხა და გაზის ფარდა გაარღვია, ო, ღმერთო, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა, ომი ძველი საშუალებით — ბომბებით ხვედბა. იშვიათ ბედნიერს გაუმართლა წინა ხაზიდან თავის დაღწევა, მათ შორის იყო ჟოზეფიც — არავინ იცის, თვითონ გამო-აღწია თუ ვინმე უცნობმა მადლიანმა მია-თრია თავშესაფრამდე — მაგრამ მისი მდგომარეობა სერიოზულად საშიშია: ძალიან მიმედ არის დაავადებული და ფილტვების ამპუტაცია ემუქრება. ტურში გზავნიან, ეს ცუდი ნიშანია. ტურიდან სახლამდე შორი აღარ არის, მისთვის ომი უკვე დამთავრდა. ზოგიერთებს მისი შურთ კიდევ და მას იმდენი სიმამაცე კიდევ აქვს შენარჩუნებული, რომ დაეთანხმოს. ის, ვისაც მისი ტანჯვა არ განუცდია, მზად არის, ფილტვიც შესწიროს ქალის მზრუნველობასა და ალერსს.

ამასობაში წინა ხაზზე დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად მაროკო-ელების რაზმს გზავნიან. გაზი ჯერ არ გაფანტულა, მაგრამ უდაბნოს მცხოვრებლები მოითმენენ, ისინი ხომ თვალეებისა და ბრონქების მთუთქავ ქვიშის ქარიშხლებს მიჩვეულნი არიან.

ტურენამდე დიდი გზაა. ალალი ნელა მიინევს, რათა წამებულნი ზედმეტი ჯან-ჯღარისგან არ შეანუხო. „სასწრაფო დახმარების“ მანქანები არ გეგონოთ, უხეში პრიმიტიული ზამბარებია, გზებზე კი ლაპარაკიც აღარ ღირს. ყველანაირი ღრანტე დაჭრილთა კვენსაზე აისახება. ჟოზეფი მოუთმენლად ელის ადგილზე ჩასვლას. ახლა, როცა უკვე ვიცით, როგორ უნდა დამთავრდეს მისთვის ეს მოგზაურობა, ხომ არ აჯობებდა, გზა უსასრულოდ გაგრძელებულიყო და ჩასვლის საათიც შორს გადაწეულიყო. მაგრამ ძალიან იტანჯება. შარტრი, შატოდენი, ვანდომი — უკვე მალე იქნება.

ბოდვისას წარმოთქმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებითა და სახეზე გამოხატული შიშის გრიმასებით თუ ვიმ-

სჯელებთ, ცხადი იყო, ყველას ერთი და იგივე ჯოჯოხეთური ხილვები ანამებდა — მინაში ნახევრად ჩამარხული ადამიანები, შოშიებივით ეკლიან მავთულეში გახლართული, დაფლეთილი სხეულები, მოკლებული უკანასკნელ იმედს, რომ ოდესმე შევებას იგრძნობენ, სველ მინას ლოყით მიეკვრებიან და დაელოდებიან, როდის მოუტანთ სიკვდილი თავისუფლებას. ტყვიის მოხვედრისას (ამაო შრომა) ისე შემხტარი სხეულები, როგორც სლოკინის დროს იცის ხოლმე, აფეთქების ტალღით ჩალის საფრთხობელასავით სადღაც გადასროლილები თითქოს ცაზე იკაროსის ფრენის ტრანეპტორიას იმეორებენ. ბოლოს კი შიშისგან პირდაღებულნი გაოცე-ბაჩაყინული თვალეებით უკანასკნელად ეხუტებიან მშობლიურ დედამინას. ამასობაში გადაბრუნებული ჩაჩქანი სუფთა წყლით იესება და, როცა მშვიდობის მტრე-დი დედამინაზე დაბრუნდება, წყალი დახვდება დასალევად. მაგრამ სისხლში გასვრილი მგრგვინავი ელვით ორად გაგლე-ჯილ ცაზე ჩიტების ადგილი არ არის. მხოლოდ დროდადრო პაპანაქებამოდებულ ზეცაში ვინმე თუ აუშვებს შიშისგან გულ-გახეთქილ საფოსტო მტრედს გზავნილით და ჯარისკაცებსაც ერთი წუთით ჰგონიათ, რომ მტრედებზე სანადიროდ არიან გასულნი. როცა ფრენაშენყვეტილი მტრე-დი მიმედ ეცემა მინაზე, მტრის სანგრე-ბიდან გახარებული ჯარისკაცების ბავშვი-ური აღფრთოვანებული ყვირილი ისმის. აი, ამ წუთებში ისინი ჩვეულებრივზე მეტად გძულს, რადგან გჯერა, რომ მოკლულ ჩიტს უბედურებისგან გადარჩენა მოჰქონდა.

გოდების პეიზაჟი, შიშველი მინა, გადათხრილი და ადამიანთა სხეულებით დათესილი; დანახმირებული, ჩამავებული კუნძები მოწმობს, რომ ოდესღაც აქ ახლად აყრილი ჭალა იყო. თიხისგან შექმნილი მოფუსფუსე ტომი ისევ პირველქმნილ მტვერს უბრუნებდა; გულისამრევე ტალახს დამწვარი დენთის, გახრწნილი გვამების სუნი ასდის და ცოცხალთა სიმყრალეს ფარავს (მრავალი ცხარაა, ტანსაცმელი არ გაუხდიათ); როცა დუმდება იარაღი, სიჩუმესთან ერთად მოქროლილ ქარს მომაკვდავთა ხრიალის ხმა მოაქვს; იგი წინასწარმეტყველური გზავნილია იმათთვის, ვინც გაფრენილი სიცოცხლის ხმას დაუმარედ უსმენს და მერე თავადაც არარსებობაში მიექანებიან; ღამე ენით უთქმელ მშვიდ განცხრომას დაძაბული მოლოდინის საათებად აქცევს, მოუსვენარ ძილს წყვეტს, სიკვდილის მუქარით გუშავებს უახლოვდება, რომლებსაც გამთენიისას ყელგამოჭრილებს პოულობენ; დღე თავის დაბადებას საარტი-ლერიო ბათქებით იუნყება, რომელიც დროზე ადრე ჩამთავრდება და შტურმის პრელუდია გახლავთ; წვიმა უწყვეტ ნაკადად იღვრება, თითქოს იმ პირველი ცოდვის ლაქის ნაშლა უნდა, დედამინა კლოაკად<sup>5</sup> რომ აქცია, წყლით ამოავსოჭურვების აფეთქებით გაჩენილი ორმოე-ბი, რომლებშიც მიმედ აღჭურვილი ჯარისკაცები იხრჩობიან; წვიმა, სანგრე-ბი რომ ნაკადებად მიედინება, მინაყ-რილებს რეცხავს, საყელოსა და მალაყ-ელიან ფეხსაცმელში მიფონავს, ტანსაც-მელს ისე უღენტს, ტყვიასავით ამიმეცს, ძვლებს არბილებს, თითქოს მთელი სამ-



ყარო ღრუბლებად იქცა, ჯოჯოხეთურ ჭაობად მოუსვენარი სულებისთვის; წვიმა სანიტარული მანქანების კაპოტებზე ანკაპუნებს, დამამშვიდებელია და ალერსიანიც კი, ფარების სინათლეზე მირიადი ციცინათელებით ციალებენ — დილით კი გზებზე და ბნელ ქალაქებში მოხტუნავე მთვარის მარგალიტები, ტურის სიახლოვეს, ძველი საფრანგეთის სამეფო ბაღების ძირთან გამავალ მდინარის საწოლში შესხმარტალდებიან.

ჟოჯოხეთი არ მოკვდება. რანდომიდან ტურში მისი და მარი ჩავა, თან თავის წმინდანთა მედალიონების მთელ პარტიას ჩაიტანს, ცხოვრებაში მომხდარი თუ მოსახდენი ყველანაირი ფათერაკის თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც ჟოჯოხეთისა და მის ბედქვეშ მყოფი ამხანაგების ბალიშების ქვეშ შეჩურთავს. დრო შეარჩია, როცა სანოლგებს შორის რუსი ბალერინებით უხმაუროდ მოსრიდულ თეთრხალათიანი ექთნები ვერ დაინახავენ. ზოგს, ვისაც მხოლოდ მეცნიერების სჯერა, მისი ავგაროზე აღიზიანებდა: ერთი ვაგონი მორფი საქმეს უფრო წაადგებო, ბუზღუნებდნენ. მორფს აქოქროს ფასი აქვს. დაჭრილები მას განუწყვეტილი ითხოვენ, ექთნები კი, პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კენესის სიხშირისა და სიკვდილის სიახლოვის გათვალისწინებით, დოზირებით აძლევენ. როცა მორფი უთავადობდათ, გოგონებს ყურების დატოვა უნდოდათ და ხმამაღლა ღრიალი, ისე ხმამაღლა, ვიდრე ყველა დაჭრილი ერთად აღებული იდრი-ალბებდა. მეტისმეტად გაგრძელდა ეს ომი. ყველას აზრით, იგი ბოლო იქნება, ჟოჯოხეთისთვის და მილიონი სხვისთვის კი აუცილებლად — ბოლო.

მარი სასთუმალთან დაუჯდა ძმას და მაშინვე საქმეს შეუდგა. კრილოსანი ამოიღო, ზეცაში ტანჯვა-წამების მთავარი ზედამხედველი ამოიჩინა — რა თქმა უნდა, იგი თვით ქრისტე ბრძანდებოდა, რაც, ცხადია, სხვა წმინდა მოწამეთა, დაგლეჯილ-დაფლეთილების, ჩაქოლილების, დამდულრულების დამსახურებებს არაფრით ამცირებდა — კრილოსანს მარცვლავდა, ლოცვებს ბუტბუტებდა, ევედრებოდა, თავისი მძლავრი მხრებით ეტვირთა ძმის მკერდიდან ამოხეთქილი საზარელი სტვენაც. სამაგიეროდ კი — სამაგიეროდ კი, აბა, რა შეეძლო მიეცა, როცა არაფერი გააჩნდა — სამაგიეროდ კი, სურვილს შენირადა; სურვილს, ღამ-ღამობით რომ არ ასვენებდა მის სხეულს — თავის ქალურ სისხლს შესწირავდა. სისხლი სისხლის წლ — გაირიგება პატიოსნურია. და, მართლაც, ჟოჯოხეთი ფერი ნელ-ნელა დაუბრუნდა, უკვე სანოლგეც წამოჯდა, ჭამა კიდევ. ტურენის მინაზე გაზაფხული მოვიდა, დამდნარი თოვლის წყლისგან ლუარა გაიბერა, ჭიქაში შროშანა აყვავდა. ჟოჯოხეთი ამბობს, რომ მალე სახლში დაბრუნდება, ხალისობს. მორიგე ექთანს ეხუმრება, პირდაპირ, როგორც კი გამოვჯანმრთელდები, ცოლად შეგიერთავო. ექთანი იცინის (მასზე, სულ ცოტა, ოცი დაჭრილი მაინც აპირებს დაქორწინებას); მარი ტუჩებს კუმავს. მერე სისუსტე ერევა, ხველას იწყებს, დასვენება უნდა. ნება, ხელედას სხეულის გასწვრივ გაიშვას, თვალს ხუჭავს. ხანმოკლე გამოკეთების შემდეგ ისევ ხიხინი ანკება, სიცხე უნევს და კომპარული ხილვები ანამებს. მერე სახე ზენარივით უეთორდება და აგონია ეწყება. ამჯერად ექიმი უკვე ამბობს, რომ იმედი აღარ არის. ნახევრად სიბნელეში საცოლედ ნოდებული ექთანი, მძინარე ჯარისკაცები რომ არ გააღვიძოს, თითის წვერებზე მოდის. შუბლზე სველ ნაჭერს ადებს, ზენრებს უსწორებს, როცა ხველების შეტევისგან წამოვარდება, როგორც ბავშვს, ისე ეხვევა და პირში ერთ კოვზ სიროფს ასხამს. უთენია, როცა უფერული განთიადი უზარმაზარ პალატაში ჩაიდურება, როცა სირუმეში მდინარის ტალღების ტყელაშუნის ხმა გარკვევით ისმის, მისი თვალბუნი შიშისგან შემდგება. მარი პირველი უახლოვდება, ამ ყველაფერს ხედავს და გაოგნებულს უხსნიან, რომ ეს დასასრული არ არის და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთო. დღის განმავლობაში ჰოსპიტალში კიდევ შეივლიან და ჟოჯოხეთის დამშვიდებულ მზერას ამჩნევს.

ჟოჯოხეთი უკვე აღარ არის; მისი სახელი რელიგიურ-პატრიოტული შინაარსის ღია ბარათზე წერია, რომელიც კომერსის მრევლში საქველმოქმედო მიზნით ხუთსანტიმად იყიდება (მეზის დეპარტამენტის სუპერპრეფექტურა ნამცხვარ „მადლენით“ არის სახელგანთქმული); ღია ბარათის შავი სამგლოვიარო ზოლი აქვს შემოვლებული; თავში, სათაურად, გმირული რომანის სახელწოდება „ღირსების ველები“ აქვს წამძღვარებული, ქვესათაურად ბულვარული რომანიდან ამონარიდი: „აქ 1914-1916 წლებში ფრანგთა სისხელი მდინარეებზე დაიდო“ (ომი ისევ გრძელდება; გვირდებოდა, რომ ომის შემდეგ ნიგნი გამოვა, სადაც დაწვრილებით იქნება ყველა მოვლენა აღწერილი). ცენტრში დიდი შავი ჯვარია გამოსახული ქრისტეს მონოგრამით, ირგვლივ კი ტრაგიკული რეგიონების სახელები წერია: არტუა, სერბია, დარდანელი, მარნა და მასაი, ლოტარინგია და ელზასი, არაგონი, იზერი — თითქოს სამგლოვიარო გვირგვინი ყოფილიყო, რომლის ყოველი ფოთოლი რომელიმე ბრძოლის ველს ასახავდა და რომლის მნიშვნელობაც მსხვერპლის რაოდენობით განისაზღვრებოდა, მერე ვიმი ისეთივე დიდი ასოებით ეწერა, როგორც ლანსი, დიმიუდი, როგორც ოსტენდი, ლეზ-ეპარჟი, როგორც ნანსი. დიდება უფალს, რომ მარნასთან ბრწყინვალე ბრძოლამ ჩვენი რიგები შეკრა და შეამჭიდროვა. და, თუ სარწმუნოა ის, რასაც წერენ, რომ ეს ბრძოლა ისეთივე სასწაული იყო, როგორც ტოლბიაკის თავზე ხლოდვიგის ჯვრის გამოჩენა, წმინდა ჟენევიევას მიერ პარიზის, ჟანა დ'არკის მიერ ორლეანის, ხოლო რომის მაცხოვრებლების ლეე პირველის მიერ გადაარჩენა, რომელმაც ვანდელ გენზერის მათი დანდობა თხოვა, მაშასადამე, უფალმა არც ჩვენ მიგვატოვა, შუბლმეკრული რომ უყურებდა, მისი შვილები მისგან მინიჭებულ თავისუფლებას როგორ იყენებდნენ, მაგრამ ყოველ მათგანს სათნოებისა და სიყვარულის უნარი მაინც შეუნარჩუნა.

„კურთხეულ იყოს გმირების სხონა“. მერე ადგილი იყო დარჩენილი სახელის ჩასანერად, პატარა ნაკადულად რომ ერთვოდა დიდ ნითელ მდინარეს, გიგანტური საშვილოსნოს სისხლდენას — სახელი ფაქიზი მასწავლებლური ხელნაწერით გამოიყვანა მისმა დამ მარიმ, მაშინ ახალგაზრდა მასწავლებელმა, რომელსაც ისტორიამ (მსოფლიო ისტორიამ, რომელიც ჩვენი ოჯახის უცნობ ისტორიას ჩაეხლართა) ორი ძმა წაართვა. ღია ბარათის კიდევ კი მიანერა, რადგან იმ ხაზზე სახელი ძლივს ეტეოდა: „ბელგიაში დაიჭრა 21 წლის ასაკში, გარდაიცვალა ტურში 1916 წლის 26 მაისს“. ლაკონური წინადადება დაეინყებინა ხანგრძლივი ღამეებისგან ჟოჯოხეთს გადაარჩენს.

ამ ვინრო სივრცეში დროისგან უკვე გადახუნებული იისფერი მელნით მამიდა სიცოცხლისა და სიკვდილის მთელ საიდუმლოს ჩატეხს. ოცდაერთი წელი. ლა პერუზი, როგორც ჩვენ ვიცოდით, მამიდამ თვითონ გვასწავლა, თოთხმეტი წლისა უკვე ფრეგატს მეთაურობდა, შეიდი წლის შემდეგ, ოცდაერთი წლისამ, ალბათ, ამ ქვეყანაზე ყველაფრის ნახვა მოასწრო. ჟოჯოხეთმა მშობლიური სოფლის გარდა, აბა, რა ნახა, რომელიც იმიტომ მიატოვა, რომ მომკვდარიყო, და კიდევ ომისგან აოხრებული პეიზაჟები ნახა; აბა, რა დამამსოვრდებოდა, პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებისა და სანიტარული ავტომობილის ბრუზუნის სახურავის გარდა. ჟოჯოხეთი, რომელმაც შეიძლება ქალის ალერსი არც კი იცოდა, ჯოჯოხეთურ სასაკლაოზე გაუშვეს; იგი სრულიად ახალგაზრდა იყო იმისთვის, რომ ცხოვრების მთავარ მოვლენებში ჩარეულიყო. „ჟოჯოხეთი დაიღუპა“ — 1916 წლის 26 მაისს ასე ჩანერა მარიმ.

1. გეოდეზიური ხელსაწყო დედამიწის ზედაპირის სიმაღლეთა განსაზღვრად ამორჩეულ ნერტილთან და ზღვის დონესთან შედარებით.  
 2. აღფრედ ფონ შლიფენი (1833-1913) — გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი, გენერალ-ფელდმარშალი.  
 3. ამ შემთხვევაში — თავდაცვითი ნაკვებობა.  
 4. მინაყრილი სანგრის ნაპირზე  
 5. დაბინძურებული წყლის სადინარი მიწისქვეშა არხი და ქალაქებში, ნავის დასაყრდელი ადგილი. (გადატანით) გახრწნილების ბუდე.

ჯუზეპე ფიუმარა, თანამედროვე იტალიელი პროზაიკოსი, ავტორია ასევე რამდენიმე პოეტური კრებულისა. მისი მოთხრობები, უმთავრესად, თავისი სოფლის ცოცხალ სურათებს, ადამიანებს, სოციალურ გარემოს წარმოგვიდგენს, რომლებშიც იგრძნობა თავისი მამულის სიყვარული და ნოსტალგია ძველი, ბუნებრივი ყოფა-ცხოვრებისა.

ჯუზეპე ფიუმარა

„ეეჰ! აჰ!“

მბხსმჰს, ბავშვობაში ჩვენ სოფელში სულ ათიოდე ავტომობილი და ოცამდე რადიო იყო, კიდევ ოცდაათიოდე დასაქოქი გრამოფონი და რამდენიმე ფირფიტა: „პატრონის ხმა“, რომელზეც უკანა ფეხებზე წამოსკუპებული ძაღლი იყო გამოსახული.

თუკი ვინმე მუსიკის მოყვარული მოიძებნებოდა ჩვენში, ყველა სადალაქოში იყრიდა თავს, სადაც იყო რამდენიმე ინსტრუმენტი, უმთავრესად, სიმებიანი საკრავები — გიტარა, მანდოლინა და ვიოლინოც კი. წვიმიან დღეებში, როცა გლეხები სამუშაოდ არ მიდიოდნენ, სადალაქო მოუთმენელი მსმენელებითა და შემსრულებლებით ივსებოდა, ვისაც კი დაკვრა შეეძლო, ყველა აქ იყრიდა თავს; დალაქი ნამდვილ მანქნოდ მიაჩნდათ; ისიც, როგორც კი მარტო დარჩებოდა და

პუნქტუალურიც, ზოგჯერ ყეყეჩს კი არ ჰგავდა.

- ახლა რასა იქმს, კიდევ უკრავს?
- აღარ.
- თუკი ასეთი მუყაითი იყო, თან ნიჭიერიც, რატომ მიატოვა?..
- აღარ უკრავს, ახლა წერს.
- აჰ!
- ეეჰ!

სწორედ მას ველოდები ახლა! ძალიან მინდა, მე და ჩემმა მეგობარმა ერთი კონცერტი მოგიძღვნათ, თან მუსიკის დამფასებლები შევიყარეთ. მაესტრო, აბა, თქვენი ინსტრუმენტებიც გვაჩვენეთ.

მაესტრომ ერთი ჯიბიდან ამოიღო პატარა სტვირი, ისეთი, მწყემსები რომ აკეთებენ და მაშინვე სონატის შესრულება დაიწყეს; მაესტრომ მართლაც შესა-



დროს იხელთებდა, მაშინვე აიღებდა ინსტრუმენტს და უკრავდა, სულ ვარჯიშობდა. მის საუბრებს ყველა გულსყურით უსმენდა. აი, ამ დღეებში და მეზობლებზე მსჯელობასა და კამათის ვითარებაში იზრდებოდნენ ბავშვები, მშობლებს თმის შესაკრქად რომ მიჰყავდათ ხოლმე. მერედა, რას არ ნახავდით ამ სადალაქოში — კარს უკან, მარჯვნივ ორი პიუპიტრი, ორი გიტარა და სკამზე კარგა დაძინილი სონატა და ზედ კალამი იდო. ყოველ საღამოს ჩვენი დალაქი ნახევრად მიხურავდა დარბაზს, კარს ელექტროქურას მიადგამდა და შეუდგებოდა გიტარის აწყობას, თან ბუზღუნებდა ზღვიდან მონაბერი ნოტიო ქარი ტონალობას უცვლისო; მერე აიღებდა სონატას და შეუდგებოდა მის დამუშავებას.

სწორედ ამ დროს იღებდა კარი და შემოდის აქოშინებული ბიჭი, დაგვიანებითვის ბოდიშს იხდის, მაესტრო რალაცას ჩაიბურტყუნებს გაბრაზებული; ბიჭი უკრავს, გაკვეთილს აბარებს, მაგრამ ისევ გაიღება კარი და ამჯერად შემოდის შუახის ორივეს შეათვალთვლებს და ისაა, წასასვლელად მიტრიალდება, რომ დალაქი „მაესტრო“, შესძახებს.

ერთი წუთი მოიცადეთ, მაესტრო, თუ შეიძლება, ერთ ჩემ ყოფილ მოწაფეს ველოდები, შვილი უნდა მომიყვანოს და მინდა პატარა კონცერტი მოვანყო, თქვენთან ერთად, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მანამდე ამ ბიჭს, ამ რეგავსა დაკვეთილს ჩავუტარებ და...

- თქვენ იმ ყოფილ მოწაფეს ასე აფასებთ?
- ეჰჰ, ასეა, ყოჩალი კი იყო, ბეჯითი,

# ბანსაკუთრებული ავტორების სიმრავლე

ამერიკის კულტურის დღეების ფარგლებში მწერალთა სახლმა და შეერთებული შტატების საელჩომ ამერიკული პოეზიის საღამო გამართეს.

საღამოს დავით გაბუნია გაუძღვა. მან საზოგადოებას წარუდგინა პოეზიის მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე, შეერთებული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე ჯეიმს დიუი, რომელმაც მოკლედ ისაუბრა ამერიკის კულტურის დღეებზე და წაიკითხა რამდენიმე ლექსი.

ამერიკული პოეზიის საღამო ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ზვიად რატიანსა და მის თარგმანებს დაეთმო. პოეტმა და მთარგმნელმა წაიკითხა მარკ სტრენდის ლექსები, ისაუბრა ავტორზე, თარგმნის პროცესსა და მის სირთულეებზე:

„მარკ სტრენდი კანადელია, იქ დაიბადა, მაგრამ თავი ამერიკულ პოეზიას მიაკუთვნა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად იქ გადავიდა, არც იმიტომ, რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ამერიკულ პოეტს მეტი ასპარეზი აქვს, არამედ იმიტომ, რომ თავს ამერიკელი პოეტების მემკვიდრედ თვლიდა და თავისი პოეზიის წყაროდ მათი შემოქმედება მიიჩნდა. როგორც პოეტმა, ამერიკელობა აირჩია და ამერიკულმა პოეზიამაც მიიღო ის, შეითვისა მისი ლექსები“.



ზვიად რატიანმა რამდენიმე თარგმნილი ლექსი წაიკითხა, აუდიტორიას უამბო ავტორთან მიმონერის ისტორია, გამოთქვა იმედი, რომ სტრენდის ლექსების თარგმნას გააგრძელებს და საქმეს წიგნის გამოცემამდე მიიყვანს.

პოეზიის საღამოს მეორე ნაწილი კი დაეთმო შოთა იათაშვილსა და ალენ გინსბერგის „ყმუილს“.

ყველა განსაკუთრებით ელოდა პოემის გაუქვრებას, ატმოსფეროდ შესაბამისი შექმნის მასპინძლებმა — თავისუფალი, XX საუკუნის 50-70-იანი წლების ბიტნიკურ გარემოში რომ გადაგისროდა. აკი, „ყმუილს“ დაწერისთანავე „ბიტნიკების ბიბლია“ უწოდეს.

მიჩნეულია, რომ ამ პოემამ თანამედროვე ლიტერატურაში ძირეული გარდატეხა მოახდინა, მისი გამოქვეყნება სრულიად განსხვავებული, თავისუფალი, თანამედროვე ამერიკული პოეზიის დასაბამად იქცა. „ძალიან მძაფრი ტექსტი, შეიძლება ზღვარგადასულიც თავის სურათხატებით, ტრაგიზმით, იმ ყველაფრით, რაც მასში ტრიალებს“ — ასე დაახასიათა „ყმუილი“ მთარგმნელმა.

შოთა იათაშვილის საუბრისას თითქოს გაცოცხლდა გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრება, რომელიც (ახალი გამოცემებით, ან უცხოენოვანი მხატვრული ლიტერატურის შემოღებით თუ ვიმსჯელებთ), ერთი შეხედვით, უძრავად იდგა, მაგრამ ამავე დროს ინტერესების, ძიების, აღმოჩენების, მძაფრი შთაბეჭდილებების წლები იყო, განსაკუთრებით მწერალთა იმ თაობისთვის, მაშინ რომ იწყებდა შემოქმედებით საქმიანობას.

90-იანებში სასურველი ტექსტების მოძიება ჭირდა, ამიტომ ქსეროქსით გადაღებული ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურა ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთ-ერთი ასეთივე სასურველი საკითხავი გახლდათ ზურაბ ქარუმიძის მიერ შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი ამერიკული პოეზიის ანთოლოგია. მასში შესულ ავტორთა ნაწარმოებების ქსეროასლები დიდად მოთხოვნილი იყო ახალგაზრდა ავტორებსა და მთარგმნელებში.

სწორედ იმ ანთოლოგიიდან ითარგმნა ქართულად ბევრი ამერიკელი პოეტი, რომელთა შორის ალენ გინსბერგიც იყო. „ყმუილის“ თარგმანზე შოთა იათაშვილი დათო ბარბაქაძემ დაითანხმა. თარგმანს საბოლოო რედაქტირება ზურაბ ქარუმიძემ გაუწია. „რითაც დაიწყო, იმით დამთავრდა ეს ისტორია — ზურამ ჩამოიტანა „ანთოლოგია“ და მანვე მიიყვანა „ყმუილი“ გამოცემამდე, როცა თარგმანს რედაქტირება გაუწია. დიდი მადლობა ამისთვის“, — გაიხსენა შოთამ.

პოეზიის საღამოზე მონაწილეები იყვნენ ახალგაზრდა მუსიკოსები, რომელთაც რამდენიმე ჯაზური კომპოზიცია შეასრულეს.

შოთა ჩანტლაძე გაიხსენეს მწერალთა სახლში. „ვიხსენებ ჩვენს მეგობარს, პოეტს, ადამიანს, უნიკალურ ადამიანს, ამას ვამბობ სრული შეგნებით, — ასე დაიწყო საუბარი ზურაბ კიკნაძემ, — მას არ შეეძლო ულექსოდ ცხოვრება და არასოდეს ლექსი არ გაუყვია წარმატებაზე. რა არის წარმატება პოეტისთვის? დაფასება, პოპულარობა, ჯილდოები. შოთას ჰყავდა რამდენიმე სახელმწიფო მეგობარი პოეტი, სხვათა შორის, კარგად წერდნენ კიდეც, გამოსცემდნენ კრებულებს. შოთასაც რამდენჯერმე ჰქონდა ამის საშუალება, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ეგრეთ წოდებული „პარავოზი“ — ლექსი ლენინზე ან კომუნისტურ პარტიაზე, ამაზე კი შოთა არ წავიდა და ისე გარდაიცვალა, რომ მისი ერთი ლექსიც არ დაბეჭდილა. შოთა ჩანტლაძის მსგავსი უკომპრომისო პოეტი მხოლოდ ნიკო სამადაშვილი მახსენდება, სხვა არავინ. თუმცა ნიკოს, სამამულო ომამდე, რამდენიმე ლექსი, მგონი, დაბეჭდილი ჰქონდა“.

ბატონმა ზურაბმა დიდხანს ისაუბრა. გაიხსენა შოთა ჩანტლაძესთან ერთად გატარებული სტუდენტობის წლები, მათ თავს გადამხდარი პატარ-პატარა ამბები. პოეზიაზე მეტად, ბატონ შოთას პიროვნულ, ადამიანურ თვისებებზე გაამახვილა ყურადღება და მისი რამდენიმე მინიატურაც წაიკითხა.



შოთა ჩანტლაძის პიროვნული პორტრეტი დაახტა გივი შაჰნაზარმაძეც, არ დავიწყებია არც მისი ენამოსწრებულობა, ენაკვიმატობა, ისაუბრა პრინციპებზე, რომლითაც შოთა ჩანტლაძე ცხოვრობდა და რომელსაც არ ღალატობდა მამისაც კი, როცა მატერიალურად ძალზე უჭირდა. მეგობრის შემოქმედების შეფასებისას კი გივი შაჰნაზარმა თქვა: „ყველაფერთან ერთად, შოთასთან ისეთი ურბანიზმია, რომლის მსგავსიც ძალზე იშვიათია ქართულ პოეზიაში. ხშირად ვამბობ, დავწერე კიდეც და მინდა, გავიმეორო ეს სურვილი, იქნებ, ამ ბრწყინვალე პოეტ-ურბანისტის სახელი ძველ ქალაქში ერთი პატარა ქუჩისთვის დაგვექმნა. სიცოცხლე წარმავალია, მაგრამ შოთას სახელი, მხოლოდ როგორც პოეტის კი არა, როგორც პიროვნების, ეპოქალური პიროვნებისა, დიდხანს შემორჩება ქართულ სინამდ-

ვილეს, ქართული ლიტერატურის ისტორიას.“

მკითხველისთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ათიოდე წლის შემდეგ ლაშა თაბუკაშვილი ახალი გმირებით, სახეებით, სიუჟეტებით, ისტორიებით ბრუნდება. ფრაგმენტები ბატონი ლაშას ახალი ნაწარმოებიდან „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე შარშან დეკემბერში დაიბეჭდა, საზოგადოებაც მომლოდინე იყო თხზულებების „გაგრძელების“. მოლოდინი მალე დასრულდა — რომანი „ერთი გაგვიცინე, გუინპლენ!“ გამოცემულია. ასე რომ, ერთ დროს სისხლსაც შემოქმედებითი ცხოვრებით მცხოვრები ლაშა თა-



ბუკაშვილი — ოცამდე მოთხრობისა და მრავალი პიესის ავტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ნიუ-იორკის იუჯინ ო'ნილის სახელობის დრამატურგიული ცენტრის მიერ გასული საუკუნის საუკეთესო დრამატურგთა შორის, ასევე ყველა დროის საუკეთესო დრამატურგთა შორის დასახელებული, სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ნაწარმოებებისა და მსოფლიოს დრამატულ თეატრებში განხორციელებული პიესების ავტორი დაბრუნდა და დაბრუნდა ძალზე შთაბეჭდავად — პირველი რომანით „ერთი გაგვიცინე, გუინპლენ!“ ნიგინი გამოსცა „ინტელექტმა“, რედაქტორი გახლავთ ზვიად კვარაცხელია, გარეკანის მხატვრობა თენგიზ სეფიაშვილს ეკუთვნის.

ათი წელი დიდი დროა, საქართველოში კი, როგორც ბატონმა ლაშამ ბრძანა, „ძალიან მალე გასაფლავებენ“, საკმარისია გარკვეული პაუზა, გარკვეული ხელისშემლელი გარემოებები და თითქოს აღარ ხარ მწერალი, მაგრამ საქართველოში ზოგჯერ ცდებიან კიდეც, ამის ერთ-ერთი დასტურია „ერთი გაგვიცინე, გუინპლენ!“ რომანი, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში ინერებოდა. ასე რომ, ჩვენ რომ „პაუზა“ გვეგონა, სინამდვილეში დიდი მოცულობის მხატვრულ ტექსტზე მუშაობის, შინაგანი ძვრების, ახალი მხატვრული სახეების დაბადების პერიოდი იყო. ლამის ოთხი ამხელა, ვრცელი ნაწარმოები იყო, მაგრამ მკაცრი შემფასებლების, ჩემი მთავარი რედაქტორების — მეუღლისა და უფროსი ვაჟის — „წყალობით“, იმ დიდი ტექსტიდან დარჩა ის, რაც დარჩაო, — თქვა ავტორმა ნიგინის წარდგინებისას.

შემდეგ უშუალოდ ნაწარმოებზე ისაუბრა.

მოქმედება 90-იანი წლების თბილისში ვითარდება. ემიგრანტულ ოჯახში დაბადებული, თერთმეტიწლიანი შთამომავალი ლაზარე იშხნელი ამერიკიდან საქართველოში ჩამოდის და ხვდება ნათესავს, დამწყებ გამომცემელს, 24 წლის ბექა იშხნელს. ლაზარე წარმატებული ბიზნესმენია, თუმცა მის წინაშე ქართველობასთან თვითიდენტიფიკაციის სერიოზული პრობლემა დგას, არარელიგიურია, ემოციისგან დაცლილი, უხმო, ბექა კი ტიპური თბილისელი ბიჭია, „მთელი თავისი შარებით“. მთავარი გმირების ნათესაური კავშირი და წარსულის გაცოცხლების სურვილი ნაწარმოებში მძაფრ შეგრძნებებს უადებს და ექსცენტრიული გადანყვებილების, ტრაგიზმითა და იუმორით საცხე თავგადასავლების მიზეზი ხდება. ნაწარმოები,


დროისა და სივრცის თვალსაზრისით, ფართო არეალს მოიცავს.

გუინპლენი ლაზარე იშხნელია. ბავშვობაში გუინპლენის ნიღაბი რომ მოირგო, მას მერე ყველა გუის ეძახის. მიმართვაც, თავისთავად პარადოქსულია, აკი ნიღაბი ისედაც მოცინარია. ხოლო, როდის ითქმება ფრაზა, რომლითაც მწერალმა რომანი დაასათაურა, ამას მკითხველი თავად გადაწყვეტს რომანში.

„ერთი გაგვიცინე, გუინპლენ!“ თანამედროვე რომანია, აქტუალური პრობლემებით, სახასიათო პერსონაჟებით, გასული საუკუნის 90-იანი წლების ამბებით. იშხნელის ისტორიით დაინტერესებას მწერალი ასაკსა და, შესაბამისად, წარსულისადმი ნოსტალგიურ განწყობას უკავშირებს. „ორი იშხნელის ურთიერთობის დასაწყისი რაღაც ბიძგი იყო ჩემთვის, 10 წელი დიდი დროა საფიქრალად, ბევრი რამ დამიგუბდა“...

დაიწყო კიდეც წერა და როგორც მწერლებს გამოუცდიათ, რაღაც წუთიდან მიხვდა, რომ შედეგი ნაკლებად აინტერესებს, სიამოვნებას მუშაობის პროცესისგან იღებს, გმირები მას აღარ ემორჩილებიან და შეყოვნების შემთხვევაში მწერალს ლამის ცოცხალი საყვედურებით ავსებენ, „ეს უკვე შენი გამოგონილი ამბავი კი აღარ არის, რაღაც მისტიკური პროცესი იწყება“.

მწერალთა სახლში ბევრი ახალი ნიგნის პრეზენტაცია გამართულა, თუმცა იშვიათად, მწერალს ასე ესაუბროს შემო-



ქმედებით პროცესზე. არ ვიცი, შესაძლოა, ბატონი ლაშა იმ საზოგადოებასთან იყო ასე გახსნილი, მაჩაბლის ქუჩაზე რომ შეიკრიბა, მაგრამ მისი საუბარი საუკეთესო მასტერ-კლასი იქნებოდა მათთვის, ვინც წერს, ან ფიქრობს, დაიწყოს წერა. ის არ ქადაგებდა, არც ორატორობდა, უბრალოდ, ყვებოდა თავის თავზე: „ძალიან მკაცრია ჩვენი საქმე, რასაც მწერლობა ჰქვია. ყველაზე შეურიგებელი საკუთარი თავის მიმართ ხარ, თუმცა ეს პროცესი პათოლოგიამდე არ უნდა მივიდეს და თავს იმაზე მეტი არ უნდა მოსთხოვო, რაც ღვთისგან გეზომა. ყოველი მისვლა ფურცელთან ნეოფიტის შეგრძნებას ბადებს, ამ დროს ყოველთვის ახალბედა ხარ. თუკი ამ განცდისგან განიძარცვები, საკუთარ თავში დაღლილი კალმოსანს დაინახავ, მაშინვე სასაცილო, უბადრუკი ხდები... არის მაინც ის უცხო თვალი, რომელიც უნდა გაინტერესებდეს, თუმცა წერის პროცესში მკითხველზე კი არა, შენს გმირებზე, გულისნადებზე ფიქრობ. ამ რომანში სიჩქარე, ექსპრესია, „იუმორის“ რომ ეძახიან, ძალუმადაა, არის აღმორიც და დრამატიზმიც, მაგრამ როგორც კი გადააჭარბებ და მოისურვებ პროცესის ძალდატანებით გაგრძელებას, იწყება უკუსვლა. შენ შენს გმირებთან ერთად ხარ ჩამოყვანილი ალბინოსურ თოქში და ის რომ გადაჭრა, ჩაიჩხები“.

მკითხველს ასეთი ავტორების სიმრავლეს ვუსურვებდი.

მომზადდა თამარ ჟურული

## ლიტერატურული გაზეთი

საპარტიველოს კულტურისა და კვლავთა დაცვის სამინისტრო  
საპარტიველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com